

ISSN 0868-4537

ეროვნული  
ბიბლიოთეკა

178

1993

# სამართალი

პრაქტიკა • მეცნიერება • ვუბლიცისტიკა

7-8

1993

IUS

TBILISI GEORGIA

# სამართალი

სამეცნიერო-პრაქტიკული ჟურნალი

№7-8

1993

ივლისი-აგვისტო

ბამონდის 1926 წლიდან

პრაქტიკა ● მეცნიერება ● კუბლიცისტიკა

მთავარი რედაქტორი

ზურაბ რატიანი

სარედაქციო კოლეგია:

ანზო არსენაშვილი  
(პასუხისმგებელი მდივანი)

გელა ბერაქიანი

(მთავარი რედაქტორის მოადგილე)

ვლადიმერ ბარათაშვილი

ოთარ ბაყრაღია

გივი იწყვირავი

კონსტანტინე კეკელიძე

გიორგი ლეკვიანი

თენგიზ ლილუაშვილი

შალვა ნათელაშვილი

თეოდორე ნინია

ნოდარ ნებიერიძე

დავით სარალიძე

გიორგი ტყეშელაძე

მინდია უგრეხელიძე

ჯონი ჯალაღანი

ჩვენი ჟურნალის დამფუძნებ-  
ლები არიან: ჟურნალ „სამართ-  
ლის“ რედაქცია, საქართველოს  
რესპუბლიკის იურისტთა კავშირი,  
საქართველოს რესპუბლიკის უზ-  
ენაესი სასამართლო, საქართვე-  
ლოს რესპუბლიკის იუსტი-  
ციის სამინისტრო, საქართველოს  
რესპუბლიკის პროკურატურა, სა-  
ქართველოს რესპუბლიკის უზენა-  
ესი საარბიტრაჟო სასამართლო.

### გკითხველთა საზურაღდებო!

სტატიების ავტორთა თვალსაზრისი შესაძლოა არ ემთხვეოდეს რედაქციისას. მასალები, რომელთა მოცულობა არ უნდა აღემატებოდეს 12 გვერდს, მოგვარდეთ მისამართით: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი № 30.  
ტელ: 99-02-45, 93-41-50, 99-51-01.

ჟურნალი რეგისტრირებულია საქართველოს რესპუბლიკის იუსტიციის სამინისტროში. რეგისტრაციის ნომერია 0830. ინდექსი 76185

ფასი 120 კუპ.

# ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

## დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კონსტიტუცია

ალბერტ აბესაძე — მკაცრი გაკვეთილი . . . . . 3

## დამოუკიდებელი საქართველოს ახალი კანონები

საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ . . . . . 6

არჩილ ლორია — კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და მისი  
თავისებურებანი . . . . . 26

ლევან ჯომარაძე — მშენებლობის დარგში ახალი კანონმდებლობის შემუშავებისათვის . . . 33

## პრაქტიკა, წინადადებები, ზენიზნები

გია მეფარიშვილი — რუბიკონი უნდა გადაილახოს . . . . . 38

ლალი თადიაშვილი — ბინების პრივატიზაციის ხელშეკრულების ცნების საკითხისათვის . . 42

ლამარა ჩორგოლაშვილი — ახლებურად გადავწყვიტოთ დელიქტური ვალდებულებები 47

ლალი ფაფაშვილი — დანაშაულის ცნების პრობლემა სისხლის სამართლის თეორიასა და  
კანონმდებლობაში . . . . . 53

## თვალსაზრისი

ჩვენი ინტერვიუ . . . . . 59

## უცხოეთის პრესის ფურცლებზე

ტატიანა დელა მარა — პროკურატურა „ახალ“ რუსეთში . . . . . 63

## კონტაქტები უცხოელ იურისტებთან

სამუილ პ. შანტიგტონი — დემოკრატიის შესამე ტალღა . . . . . 70

## ქართული სამართლის ისტორია

გიორგი ნადარეიშვილი — „უჭუარობით დამტკიცება“ . . . . . 77

რედაქციის მისამართი: 380046, თბილისი, რუსთაველის გამზირი 80  
ტელ. 99-02-45, 98-41-50, 99-51-01

გადაეცა წარმოებას 28.06.98 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 29.09.98 წ.,  
ფორმატი 70X108 1, ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 5, პირობითი ნაბეჭდი ფურცელი 7,  
სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 6,5. შეკვ. 980. ტირაჟი 2100

საქართველოს შურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საფოსტოს“ სტამბა.  
380099, თბილისი, შ. კოსტავას 14

## მკაცრი ბაკვეთილი

საქართველოს დემოკრატიულ კონსტიტუციასა და მუშაკობის პროცესში, რაც ახალ ეტაპს მოასწავებს საქართველოს სახელმწიფო-ებრივი აღმშენებლობის საქმეში, ინტერესმოკლავალი არ იქნება გავცნოთ ზოგიერთ მოსაზრებას საბჭოთა კავშირის საქართველოს კონსტიტუციის შესახებ.

თავის დროზე მათზე ბევრი ითქვა და დიფერა, თუმცა სრული სიპართლის თვალს ამ საკანონმდებლო აქტაზე სამოცდათი წლის განმავლობაში მკაცრად ტაბუ კონდა დამდვილი.

სწორად ამ საპითხაზე გვესაზრება სახელმწიფო საკონსტიტუციო კომისიის წევრი, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი, დოცენტი ალბერტ აბესაძე.

\* \* \*

ახლა, როცა ისტორიისა და დროის გადასახედიდან ვაფასებთ საბჭოთა საქართველოს 1922, 1927, 1937 და 1978 წლების კონსტიტუციებს, უფრო გამოკვეთილად ჩანს მათი ნამდვილი არსი.

პირველ რიგში, ეს კონსტიტუციები იყო თავისი ეპოქის არა წმინდა იურიდიული, არამედ პოლიტიზირებული აქტები, რომელთა მთავარი ამოცანა იყო კომუნისტური საბჭოთა სისტემის განმტკიცება. ამ საკანონმდებლო აქტებით საბჭოთა სისტემაში შემავალი ერები და ხალხები ფაქტობრივად განიხილებოდნენ როგორც ტოტალიტარიზმის სუბიექტები, რომელთაც კომუნისტური იდეოლოგიის არნახული წნეხის ქვეშ ერთი მიმართულებით ვგალებოდათ აზროვნება. ყველა ამ კონსტიტუციების დამახასიათებელი ნიშანი იყო აგრეთვე რეპრესიული საბჭოთა ტიპის სახელმწიფო მანქანისათვის დემოკრატიული ელფერის მიცემა და ილუზიების შექმნა, რომ ნამდვილად ხალხი იყო ქვეყნის ბედის განმკითხავი. მათში სიმძიმის ცენტრი გადატანილი იყო არა სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის დემოკრატიული კავშირების მოწესრიგებაზე, არა პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების რეალური გარანტიების სისტემაზე, არამედ პრიორიტეტული სახელმწიფო სტრუქტურების საქმიანობის პრინციპების დაკანონებაზე. ყველა ეს კონსტიტუცია, ამკარად თუ შენიღბვით, ამკვიდრებდნენ პროლეტარული კლასობრივი ძალადობის მეთოდებს, რითაც ფაქტობრივად გზას უხსნიდნენ საზოგადოების განვითარების არა ბუნებრივი, არამედ ნახტომისებური განვითარების კურსს. ბოლშევიკური სახელმწიფოს მესვეურთა აზრით ამ კონსტიტუციებში ჩაწერილი პრინციპების ცხოვრებაში გატარებას თითქოსდა უნდა მოჰყოლოდა ახალი ტიპის საზოგადოებისა და პიროვნების ზნეობრივ-კულტურული ღირებულებების დამკვიდრება. სინამდვილეში ეს იყო ცრურეკლუციური, უტოპისტური იდეოლოგია, რომელმაც ისტორიული კრახი განიცადა.

საბჭოთა პერიოდის საქართველოს ყველა კონსტიტუციის მნიშვნელოვანი თავისებურება იყო აგრეთვე მათ მიერ საქართველოს ეროვნულ-ისტორიულ განვითარების სპეციფიკის შეგნებული უგულებელყოფა. ეს იყო საბჭოთა ავტორიტარული ბიუროკრატიული სახელმწიფო მოდელის საქართველოს სინამდვილეში ძალადობით დანერგვის დაკანონება. ამ კონსტიტუციებმა გაუხსნეს გზა

საქართველოს სინამდვილეში საბჭოური ტიპის ადმინისტრაციული სისტემისა და მისი მთავარი ძარღვის — პარტიულ-სახელმწიფო ბიუროკრატის ბატონობას.

საბჭოური კონსტიტუციებით დაკანონდა სახელმწიფოებრივი მშენებლობის ისეთი ინსტიტუტები, რომლებმაც ხელი შეუწვევს ავტორიტარიზმის მიერ პიროვნების მსხვერვისა და მისი აზროვნების დეფორმირებას. აღნიშნულ კონსტიტუციების მესვეურებს პიროვნება და მისი უფლებები მიაჩნდათ არა ახალი საზოგადოების აშენების წინაპირობად, არამედ სახელმწიფო პოლიტიკის გატარების საშუალებად. სოციალიზმის ცრუმეცნიერული იდეების საფარქვეშ პიროვნება სახელმწიფომ უსახო მასის უბრალო ჭანჭიკად აქცია, რომლის მანიპულირება ბიუროკრატთა ხელოვნების დონეზე აიყვანა. ეკონომიკურ თავისუფლებას წართმეული პიროვნება სახელმწიფო ბიუროკრატის ხელში სათამაშო თოჯინა გახდა. სწორედ ამ კონსტიტუციებში ჩადებულმა წინააღმდეგობებმა მოამზადეს ნიადაგი საზოგადოების გათიშვისათვის, რამაც უმაღლესი თავე როგორც კი რეპრესიული საბჭო სახელმწიფო მანქანა დაიშალა.

სიტყვასა და საქმის დაპირისპირებამ იმ პერიოდის ყველა კონსტიტუციის ძველ კპოვას გამოძახილი. ეს კონსტიტუციები, მართალია, აღიარებდნენ პიროვნების ხელშეუხებლობას, სიტყვის თავისუფლებასა და მოქალაქის სხვა დემოკრატიულ უფლებებს, მაგრამ სახელმწიფოს რეპრესიული მანქანა კანონქვემდებარე აქტებით იმავე წუთს ფეხქვეშ თელავდა კონსტიტუციურ დებულებებს. ტრაგედია ისიც იყო, რომ ყველაფერი ეს კეთდებოდა სამყაროსა და ადამიანის რევოლუციური ძალისმიერი გარდაქმნის იდეების ღოზუნგებით, რომლის დროსაც ადამიანისა და საზოგადოების სულიერ აღორძინებაზე ზრუნვა ფაქტობრივად მივიწყებული აღმოჩნდა. შემთხვევითი არ იყო ისიც, რომ ბოლშევიკური იდეოლოგიის დასამკვიდრებლად ახალი რეჟიმის სახელმწიფომ პირველი დღეებიდანვე სამკვდრო-სასიცოცხლო ომი გამოუცხადა რელიგიას და მასიური ტერორისა და რეპრესიების გატარებით წელში გატეხა თბოზიციური სულისკვეთების გლეხობა და ინტელიგენცია. ოცდაათიან წლებში სიკვდილის ბიუროკრატიული მანქანა ქვეყანაში უფრო სწრაფად მუშაობდა, ვიდრე ეს მაშინდელი კონსტიტუციის მესვეურებს ჰქონდათ წარმოდგენილი.

მაგალითად, დღეს კარგად არის ცნობილი, რომ კიროვის მკვლელობა 1934 წელს საბაბად გამოიყენეს მთელს ქვეყანასა და მათ შორის საქართველოში პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთა და სხვაგვარად მოაზროვნეთა წინააღმდეგ ახალი მასიური ტერორის დაწყებისათვის. თავის დროზე ასეთ ტერორს ლენინმა და ტროცკიმ ჩაუყარეს საფუძველი. 1934 წლის 10 ივლისს საკავშირო შინაგან საქმეთა კომისარიატთან ჩამოყალიბდა არასასამართლო ორგანო-განსაკუთრებული სათათბირო, რომელმაც ფაქტობრივად შეცვალა სასამართლო ხელისუფლება. 1934 წლის დეკემბრის სპეციალური კანონით საგამომიებო ვადები სისხლის სამართლის საქმეებზე შემცირდა 10 დღემდე, აიკრძალა ამ კატეგორიის საქმეების საკასაციო ინსტანციაში გაგზავნა და გაუქმდა შეწყალების მოთხოვნის უფლება. სიკვდილის განაჩენები ძალაში უნდა მოეყვანათ დაუყოვნებლივ, რასაც წარმატებით ასრულებდნენ. პოლიტიკურ საქმეთა სასამართლო განხილვების დაჩქარების მიზნით ნებადართული იქნა სიკვდილის განაჩენების გამოტანა საერთო სიებით, როცა სახელმწიფოს დამსჯელი ორგანოების ორ-სამ კაციან ჯგუფებს ათეულობით ადამიანების ბედის გადასაწყვეტად ზოგჯერ 4-5 წუთი სჭირდებოდათ.

ბედის დაცინვას ჰგავდა ისიც, რომ 1936 წლის „ყველაზე დემოკრატიული“ საკავშირო კონსტიტუციის მზადების გადაწყვეტ პერიოდში, კერძოდ, 1935 წლის 10 აპრილს მიღებულ იქნა სპეციალური კანონი, რომლის ძალი

თაც სისხლის სამართლის პასუხისგებაში შეეძლოთ მიეცათ და გამოეტანათ სასიკვდილო განაჩენები სსრ კავშირის ყველა მოქალაქისათვის, რომლებსაც 12 წელი შეუსრულდებოდათ. ამ დრაკონული კანონის ავტორთა აზრით, შეიღებოს სიკვდილის შიშს უნდა აელაპარაკებინა ის „ურჩი“ სახელმწიფოს მოღალატენი, რომლებიც პოლიტიკური ბრალდებებით საბრალდებო სკამზე აღმოჩნდნენ. მართლმსაჯულების განხორციელებაში სასამართლოსათვის ჯგერდის ავლასთან ერთად, ეს იყო ინკვიზიციური მეთოდების ახლებურ პირობებში დაკანონება, რასაც არაფერი საერთო არ ჰქონდა საქართველოს 1937 წლის კონსტიტუციაში ჩაწერილ პიროვნების დემოკრატიულ უფლებებთან. სახელმწიფო ხელისუფლების ყოვლისშემძლეობისა და უკანონობით განაწამები მილიონები შემდგომშიც ამაოდ ეძებდნენ ამ კონსტიტუციებში პიროვნების უფლებების დაცვის რეალურ გარანტიებს.

საქართველოს არც ერთი საბჭოთა პერიოდის კონსტიტუცია ვერ გახდა ბირდაპირი მოქმედების იურიდიული აქტი, რომლის ბაზაზე პრაქტიკულად შესაძლებელი გახდებოდა თუნდაც ღოზუნგებად ჩამოთვლილი პიროვნების უფლებებისა და თავისუფლებების რეალური განხორციელება. ცხოვრებამ ერთხელ კიდევ დაგვარწმუნა, რომ დემოკრატიული ხასიათის უფლებების მექანიკური ჩამოთვლა კონსტიტუციაში ჯერ კიდევ არ ნიშნავს მათი რეალიზაციის მექანიზმის უცილობელ ამოქმედებას. უწყებრივმა აქტებმა, რომლებიც ყოველი ფეხის ნაბიჯზე ეწინააღმდეგებოდნენ კონსტიტუციებს, წალეკეს ქვეყანა. ეს იყო ბიუროკრატიული სისტემის უკურნებელი სენი, რომლის შედეგები საკმაოდ ძვირად დაუჯდა ჩვენს საზოგადოებას.

ხდებოდა კურიოზებიც: პირველი საბჭოთა კონსტიტუციების ტექსტები სხვადასხვა მიზეზის გამო, ზოგჯერ უცნობი იყო ფართო საზოგადოებისათვის. მაგალითად, აფხაზეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის პირველმა—1925 წლის 1 აპრილის კონსტიტუციამ, რასაც ახლა ხშირად იმოწმებენ აფხაზეთის ექსტრემისტი ლიდერები, ისე იარსება 25 თვის განმავლობაში, რომ მისი ტექსტი საერთოდ გამოქვეყნებული არ ყოფილა.

აქედან შეიძლება გაკეთდეს ის დასკვნაც, თუ რა დონეზე იდგა სახელმწიფოს კონსტიტუციური კანონმდებლობის მომზადება და როგორ ცდილობდნენ გარკვეული წრეები თავიანთი პოლიტიკური ამბიციების შესანიღბავად გამოეყენებინათ სახელმწიფოს ეს უმნიშვნელოვანესი აქტები.

ფორმალური აღმოჩნდა არა მარტო კონსტიტუციით აღიარებული პიროვნების ზოგიერთი დემოკრატიული ხასიათის უფლება, არამედ საქართველოს სახელმწიფო სუვერენიტეტიც. საბჭოთა კავშირში ნებაყოფლობით შესვლა და ამ კავშირიდან თავისუფალი გამოსვლის უფლება, რასაც საბჭოთა საქართველოსა და სსრ კავშირის მრავალი კონსტიტუციების რედაქცია ითვალისწინებდა, ფაქტობრივად არც შეიძლება მომხდარიყო. საქმე ის იყო, რომ არც საკავშირო და არც რესპუბლიკურ დონეზე არ არსებობდა იმ პროცედურის მომწესრიგებელი ზუსტი იურიდიული მექანიზმი. მის შემუშავებას ცენტრალური ხელისუფლება არც ჩქარობდა, რადგანაც საბჭოთა ქვეყანა თავისი „ზენიტის“ პირობებში სანამდვილეში იყო არა სუვერენულ სახელმწიფოთა ნებაყოფლობითი კავშირი, არამედ მკაცრად ცენტრალიზებული უნიტარული სახელმწიფო, სადაც პარტიული დიქტატურა ყოველგვარ კონსტიტუციაზე და კანონზე მაღლა იდგა.

დღეს, როცა ისტორიამ უკვე გამოუტანა მკაცრი, მაგრამ სამართლიანი განაჩენი სოციალიზმის საბჭოურ სისტემას, იმ პერიოდის პრაქტიკა სერიოზული გაფრთხილებაა მომავალი სუვერენული საქართველოს კონსტიტუციური მშენებლობისათვის.



# საქართველოს რესპუბლიკის კანონი პოლიციის შესახებ

## თავი I. ზოგადი დებულებები

### მუხლი 1. საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია არის სამართალდამცავი გასამხედროებული სახელმწიფო ორგანო, რომელიც დეპარტამენტის სახით შედის საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და უზრუნველყოფს სახელმწიფოში არსებული კანონიერების რეჟიმის განუხრელ დაცვას.

აკრძალულია საპოლიციო ფუნქციების მქონე ფორმირების შექმნა, რომელიც არ არის გათვალისწინებული ამ კანონით.

### მუხლი 2. პოლიციის ამოცანები

პოლიციის ამოცანებია:

- კანონით დადგენილი წესით პიროვნების, დაწესებულებისა და ორგანიზაციის უფლებების დაცვა მართლსაწინააღმდეგო ხელყოფისაგან;
- საზოგადოებრივი წესრიგის და საზოგადოებრივი უშიშროების დაცვა;
- დანაშაულისა და სხვა სამართალდარღვევათა თავიდან აცილება;
- დამნაშავე პირის ძებნა და დანაშაულის გახსნა;
- კანონით გათვალისწინებული სხვა ამოცანების შესრულება.

აკრძალულია პოლიციის გამოყენება იმ ამოცანების შესასრულებლად, რომლებიც არ ეკისრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის სხვა საკანონმდებლო აქტებით.

### მუხლი 3. პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლები

პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი საფუძვლებია:

საქართველოს კონსტიტუცია, საერთაშორისო-სამართლებრივი აქტები, ეს კანონი, საქართველოს რესპუბლიკის კანონები, საქართველოს პარლამენტის სახელმწიფოს მეთაურის და მინისტრთა კაბინეტის ნორმატიული აქტები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს ნორმატიული აქტები.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები; კანონები, ხელისუფლების და მმართველობის უმაღლესი ორგანოების ნორმატიული აქტები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას;



ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივი ორგანოების გადაწყვეტილებები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების კანონმდებლობას.

**მუხლი 4. პოლიციის საქმიანობის პრინციპები** +

პოლიციის საქმიანობა ემყარება კანონიერების, პიროვნების პატივისა და ღირსების დაცვის, სოციალური სამართლიანობის, ჰუმანიზმის და საქვეყნობის პრინციპებს.

პოლიცია მოვალეა პატივი სცეს და დაიცვას პიროვნების უფლებები და თავისუფლებები მიუხედავად მისი მოქალაქეობრივი, სოციალური, ქონებრივი მდგომარეობისა, რასობრივი და ეროვნული კუთვნილებისა, სქესისა, ასაკისა, განათლებისა, ენისა და სარწმუნოებისა, პოლიტიკური და სხვა შეხედულებებისა.

აკრძალულია პოლიციაში პოლიტიკური ორგანიზაციის შექმნა და მასში მონაწილეობა.

**მუხლი 5. საქვეყნობა პოლიციის საქმიანობაში**

პოლიცია თავისი საქმიანობის შესახებ ინფორმაციას აწვდის სახელმწიფო ორგანოებს, საზოგადოებრივ გაერთიანებებს, შრომით კოლექტივებს, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებსა და მოქალაქეებს.

პოლიციას უფლება არა აქვს გაამჟღავნოს სახელმწიფო, სამსახურებრივი ან კომერციული საიდუმლოების შემცველი ინფორმაცია, გამოძიებისა და მოკვლევის მასალები, ინფორმაცია, რომელიც ეხება მოქალაქის პირად ცხოვრებას, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

**მუხლი 6. საქართველოს რესპუბლიკის პოლიციის საერთაშორისო ურთიერთობანი**

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია თანამშრომლობს სხვა ქვეყნების სამართალდამცავ ორგანოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობის შესაბამისად დადებული ხელშეკრულებების საფუძველზე.

**მუხლი 7. პოლიციის თანამშრომლობა სხვა ორგანოებთან**

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულის გახსნის, თავიდან აცილებისა და აღკვეთის, მოკვლევის მიზნით პოლიცია თანამშრომლობს სხვა სახელმწიფო ორგანოებთან, საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან, მშრომელთა კოლექტივებთან და მოქალაქეებთან.

**თავი II. პოლიციის მოვალეობები და უფლებები**

**მუხლი 8. პოლიციის მოვალეობები**

პოლიცია თავისი ამოცანების შესაბამისად მოვალეა:



1) კომპეტენციის ფარგლებში აღმოუჩინოს მოქალაქეს სათანადო დახმარება;

2) შესაძლებლობა მისცეს დაკავებულ ან დაპატიმრებულ პირს კანონის შესაბამისად განახორციელოს სამართლებრივი დაცვის უფლება, შეატყობინოს მის შესახებ ოჯახს, სამუშაო ან სასწავლო დაწესებულების ხელმძღვანელობას;

3) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ზუტად დაიცვას მოქალაქის კანონიერი უფლებები, მოქალაქის უფლებები შეზღუდოს მხოლოდ კანონით დადგენილი წესით. მოქალაქის უფლების იძულებითი შეზღუდვის ყოველ ცალკეულ შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი წარუდგება მოქალაქეს, წარუდგენს პირადობის მოწმობას, განუმარტავს კონკრეტული შეზღუდვის გამოყენების საფუძველს და უფლებებს.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია მოქალაქესთან ურთიერთობის დროს ზუსტად დაიცვას სამსახურებრივი ეთიკის ნორმები. თუ პოლიციის თანამშრომლის მოქმედებას, როდესაც იგი ზღუდავს მოქალაქის უფლებას, თან სდევს სიტყვები: „კანონის სახელით!“ ყოველი მოქალაქე ვალდებულია დაემორჩილოს და შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა;

4) დაადგინოს დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევების გამომწვევი მიზეზები და პირობები, მიიღოს ზომები მათ აღმოსაფხვრელად, ჩაატაროს სამართალდამრღვევ პიროვნებებთან ინდივიდუალურ-პროფილაქტიკური მუშაობა;

5) გამოავლინოს, გახსნას და აღკვეთოს დანაშაული;

6) მიიღოს და რეგისტრაციაში გაატაროს შემოსული ინფორმაცია დანაშაულის, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, საზოგადოებრივად საშიში სხვა ქმედობის და უგზოუკვლოდ დაკარგულ პირთა შესახებ;

7) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით ადმრას სისხლის სამართლის საქმე, ჩაატაროს გადაუდებელი საგამოძიებო მოქმედებები, თუ არსებობს ისეთი დანაშაულის ნიშნები, რომლის გამოც წინასწარი გამოძიების წარმოება სავალდებულოა. გამოვლენილი დანაშაულის, დაწყებული წარმოების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს პროკურორს;

8) დაუყოვნებლივ მოახდინოს რეაგირება დანაშაულის და სხვა სამართალდარღვევის შესახებ შემოსულ განცხადებებსა და შეტყობინებებზე;

9) შეასრულოს პროკურორისა და გამომძიებლის წერილობითი დავალებები და მითითებები საგამოძიებო და ოპერატიულ-სამძებრო მოქმედების შესახებ, დახმარება აღმოუჩინოს მათ საგამოძიებო მოქმედების წარმოებისას;

10) მოძებნოს დანაშაულის ჩამდენი პირი, რომელიც გამოძიებას და სასამართლოს ემალება, მოძებნოს უგზო-უკვლოდ დაკარგული და სხვა პირები, რომელთა მოძებნაც მას კანონით ევალება;

11) ჩაატაროს ტექნიკურ-კრიმინალისტიკური გამოკვლევები ოპერატიულ-სამძებრო მასალებსა და ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა საქმეებზე;

12) მიიღოს გადაუდებელი ზომები ადამიანის სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საფრთხის შექმნისას, ავარიის, კატასტროფის, ხანძრის, სტიქიური უბედურებისა და სხვა საგანგებო შემთხვევების დროს უმეთვალყურეოდ დარჩენილი ქონების დასაცავად;

13) საგანგებო წესების, სამხედრო ან საომარი მდგომარეობის შემოღების შემთხვევაში, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მონაწილეობა მიიღოს დადგენილ რეჟიმის, ზოლო ეპიდემიებისა და ეპიზოოტიების დროს — საკარანტინო ღონისძიებების განხორციელებაში;

14) გადაუდებელი დახმარება აღმოუჩინოს საზოგადოებრივად საშიში ქმედობისა და უბედური შემთხვევის შედეგად დაზარალებულს, უმწეო მდგომარეობაში, აგრეთვე ნარკოტიკული, ტოქსიკური ან ალკოჰოლური სიმთვრალის მდგომარეობაში მყოფს, თუ მას დაკარგული აქვს დამოუკიდებლად გადაადგილების უნარი, ან შეუძლია საფრთხე შეუქმნას საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ.

15) მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, ზედამხედველობა გაუწიოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვას, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალებები, გასცეს სატრანსპორტო საშუალებათა მართვის უფლების მოწმობები;

16) უზურნველყოს ცეცხლსასროლი იარაღის, საბრძოლო მასალის, ძლიერმოქმედი ქიმიურ და შხამიან ნივთიერებათა, თავდაცვის ინდივიდუალურ საშუალებათა შეძენის, შენახვის, ტარების, გადაზიდვის, გადაგზავნის კანონით დადგენილი რეჟიმის, ტირების, სასროლელების და სხვა ობიექტების გახსნისა და საქმიანობის წესების დაცვა (ამ ობიექტების ნუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი);

17) საჭიერო ზომადღის და საზღვაო ტრანსპორტის მგზავრების უსაფრთხოების დაცვის მიზნით შეამოწმოს გადასატანად წარმოდგენილი მგზავრის ხელბარგი და ბარგი, თუ საჭიროა პირადად შეამოწმოს მგზავრი;

18) კანონით დადგენილი წესით გასცეს საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქის პასპორტი და პირადობის მოწმობა. უზურნველყოს საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე უცხოელი მოქალაქეებისა და მოქალაქეობის არმქონე პირების მიერ რეგისტრაციის და სატრანსპორტო მგზავრობის წესების დაცვა;

19) აღასრულოს სასამართლო გადაწყვეტილებები, მოსამართლის, პროკურორისა და გამომძიებლის დადგენილებები იმ პირთა წარმოდგენის შესახებ, რომლებიც თავს არიდებენ სასამართლოში, პროკურატურაში ან საგამომძიებო ორგანოებში გამოცხადებას;

20) აღასრულოს სასამართლოს, პროკურორის და გამომძიებლის გადაწყვეტილებები დაკავების ან დაპატიმრების შესახებ;

21) კანონით გათვალისწინებული წესით სამედიცინო დაწესებულებაში მიიყვანოს ქრონიკული ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, ვენერიული სენით ან შიდსით დაავადებული პირი, რომელიც თავს არიდებს ამ დაწესებულებაში გამოცხადებას;

22) აღკვეთოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევები, კანონით დადგენილი წესით განიხილოს და გადაწყვიტოს მის კომპეტენციას მიკუთვნებული საქმეები ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ;

23) სხვა სახელმწიფო ორგანოებთან და საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან ერთად მონაწილეობა მიიღოს მაწანწალობისა და ბავშვთა უმთავაღყურეობის თავიდან აცილებაში;

24) უზურნველყოს დაკავებული ან დაპატიმრებული პირის დაცვა და დაყვანა;

25) აღასრულოს მოსამართლის დადგენილებები ადმინისტრაციული დაპატიმრების შესახებ;

26) ხელშეკრულების საფუძველზე დაიცვას მესაკუთრის ქონება;

27) განახორციელოს გადაუდებელი ღონისძიებები უპატრონო ქონების დასაცავად, ვიდრე ქონება არ გადაეცემა შესაბამის სახელმწიფო ორგანოს, თანამდებობის პირს ან მესაკუთრეს;

28) უზრუნველყოს ნაპოვნი ან პოლიციაში ჩაბარებული დოკუმენტების, ნივთების, ფასეულობებისა და სხვა ქონების დაცვა-შენახვა. მიიღოს ზომები კანონიერი მფლობელისთვის მათი გადაცემისთვის ან დადგენილი წესით რეალიზაციისთვის.

29) დადგენილი წესით აცნობოს ჯანმრთელობის დაცვის დაწესებულებებს იმ პირის შესახებ, რომელიც სისტემატურად ლოთობს, არასამედიცინო მიზნით იყენებს ნარკოტიკულ ნივთიერებებს თუ სხვა გამაბრუნებელ საშუალებებს ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო მონაცემები, რომ დაავადებულია გადამდები ვენერიული სენით ან შიდსით.

30) განახორციელოს დაზარალებულის, მოწმისა და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეების, მათი ოჯახის წევრების დაცვის ღონისძიებები, თუ მათი სიცოცხლე, ჯანმრთელობა ან ქონება საფრთხეშია.

31) უზრუნველყოს მიტინგების, დემონსტრაციების, მოლაქეთა მშვიდობიანი მასობრივი ღონისძიებების მონაწილეთა უსაფრთხოება;

32) თავისი კომპეტენციის ფარგლებში დაიცვას დეპუტატები, დეპუტატობის კანდიდატები, მათი ნდობით აღჭურვილი პირები, სახელმწიფო დაწესებულებების თანამდებობის პირები, საარჩევნო კომისიები, თუ მათ კანონურ საქმიანობას წინააღმდეგობა ექმნება;

33) დაეხმარონ სახანძრო და მაშველ სამსახურებს ხანძრის თავიდან აცილების, ჩაქრობის, აგრეთვე სამაშველო სამუშაოების დროს;

34) დაეხმარონ სამხედრო მმართველობის ორგანოებს დაკარგული და გატაცებული იარაღის, საბრძოლო მასალისა და ტექნიკის, სამხედრო ქონების, აგრეთვე სავალდებულო სამხედრო სამსახურს თავსარიდებულ სამხედრო მოსამსახურეთა და სამხედრო ვალდებულთა მოძებნაში;

35) დაეხმარონ ბუნების დაცვისა და საბაჟო სამსახურებს კანონიერი საქმიანობის განხორციელებაში;

36) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გააკონტროლოს სისხლის სამართლის კანონმდებლობით გათვალისწინებული იმ შეზღუდვების შესრულება რომლებიც დაწესებული აქვთ: თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან გათავისუფლებულ პირებს; თავისუფლების აღკვეთის ადგილებიდან შრომაში სავალდებულო ჩაბმით ვადაზე ადრე პირობით გათავისუფლებულ პირებს; პირებს, რომლებიც სასჯელის მოხდისაგან პირობით არიან გათავისუფლებული; პირებს, რომელთაც გადაეღოთ განაჩენის აღსრულება;

37) წერილობით ან ზეპირად ოფიციალურად მოუხადოს ბოდიში მოქალაქეს, რომლის მიმართ პოლიციამ უკანონოდ გამოიყენა იძულების ღონისძიებები. მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები პოლიციის არამართლზომიერი მოქმედების შედეგად დაზარალებული მოქალაქის, ორგანიზაციის მორალური ან ქონებრივი რეაბილიტაციისთვის.

შეასრულოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა მოვალეობები.

## მუხლი 9. პოლიციის უფლებები

პოლიციას დაკისრებული მოვალეობების შესასრულებლად უფლება აქვს:

1) მოსთხოვოს მოქალაქეს დაიცვას მართლწესრიგი, ზოლო ამ მოთხოვნის შეუსრულებლობის შემთხვევაში მიიღოს კანონით გათვალისწინებული ზომები;

2) შეამოწმოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი საბუთები, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები მის მიერ დანაშაულის ან ადმინისტრაციული გადაცდომის ჩადენის შესახებ;

3) სისხლის სამართლის საქმის ან ადმინისტრაციული გადაცდომის მასალებთან დაკავშირებით პოლიციაში გამოიძახოს მოქალაქე, ჩამოართვას ანსნა განმარტება, მოსთხოვოს საჭირო ცნობები და დოკუმენტები; კანონით დადგენილი წესით იძულებით წარადგინოს პოლიციაში მოქალაქე, თუ იგი არასპატიო მიზეზით თავს არიდებს გამოცხადებას;

4) შეადგინოს ოქმი ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა შესახებ და თავისი კომპეტენციის ფარგლებში შეუფარდოს დამრღვევს ადმინისტრაციული სახდელი;

5) წარადგინოს და პოლიციაში არაუმეტეს რვა საათისა ამყოფოს სამართალდამრღვევი მისი პიროვნების დადგენისა და ნივთების დათვალიერების მიზნით, რის შესახებაც კანონით დადგენილი წესით დაუყოვნებლივ შეადგინოს სათანადო ოქმი;

6) დადგენილი წესით ჩაატაროს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებული საგამომიებო და სხვა საპროცესო მოქმედება;

7) დადგენილი წესით დააკავოს პირი, რომელსაც მიესაჯა პირობით თავისუფლების აღკვეთა შრომაში სავალდებულო ჩაბმით, ან პირი, რომელიც თავისუფლების აღკვეთის ადგილიდან პირობით გათავისუფლდა შრომაში სავალდებულო ჩაბმით და თვითნებურად მიატოვა სამუშაო ადგილი;

8) სამედიცინო დაწესებულებაში წარადგინოს პირი, რომელიც ალკოჰოლური, ნარკოტიკული ან ტოქსიკური სიმთვრალის შედეგად საფრთხეს უქმნის საკუთარ თავს ან გარშემო მყოფთ; გაასინჯინოს გამოსაფხიზლებლად მიყვანილი პირი, შეინახოს მისი ნივთები, დოკუმენტები, რის შესახებაც შეადგინოს სათანადო ოქმი;

9) კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში განახორციელოს ოპერატიული-სამძებრო ღონისიებები;

10) კანონმდებლობით დადგენილი წესით განახორციელოს მატერიალურ ფასეულობათა დაცვა და დაცვის კონტროლი;

12) დანაშაულის აღკვეთის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვიმიტანილი პირის დაკავების ან ბრალდებულის, დაპატიმრების მიზნით, ან იმ შემთხვევაში, როცა ადამიანის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება, მობინადრეთა თანხმობის გარეშე დღე-ღამის ნებისმიერ დროს შევიდეს ბინაში, დაწესებულების, საწარმოს, ორგანიზაციის და კერძო პირის კუთვნილ არასაცხოვრებელ სათავსში, მიწის ნაკვეთში (აუცილებლობის შემთხვევაში, ფიზიკური ძალის გამოყენებითაც), ექსტერიტორიული და სპეციალური სარეჟიმო სტატუსის მქონე არასაცხოვრებელი სათავსის და მიწის ნაკვეთის გარდა, რაც არა უგვიანეს 24 საათისა წერილობით აცნობოს პროკურორს;

13) აღკვეთოს უკანონო მიტინგი, დემონსტრაცია, პიკეტირება და სხვაგვარი აქცია, აგრეთვე მიმდინარე მშვიდობიანი აქცია, თუ იგი საფრთხეს შეუქმნის საზოგადოებრივ უშიშროებას, პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, საკუთრებას და კანონით დაცულ სხვა უფლებებს;

14) საზოგადოებრივი უსაფრთხოების, მოქალაქეთა სიცოცხლის, ჯანმრთელობისა და ქონების დაცვის, ცალკეულ ოპერატიულ-სამძებრო და საგამომიებო მოქმედების ჩატარების მიზნით ჩაკეტოს ან შეზღუდოს მოძრაობა გზებსა და ქუჩების მონაკვეთებზე;

15) აკრძალოს სატრანსპორტო საშუალებების გამოყენება, თუ მათი კონსტრუქცია და ტექნიკური მდგომარეობა არ აკმაყოფილებს დადგენილ მოთხოვნებს; სამართალდარღვევის ჩადენის შემთხვევაში გააჩეროს და დაათვალიეროს

სატრანსპორტო საშუალებები, შეამოწმოს მძღოლის მართვის მოწმობა და სხვა საჭირო დოკუმენტები; მიიღოს ზომები სამართალდარღვევის აღსაკვეთად, მოაწესრიგოს საგზაო მოძრაობა, გააკონტროლოს საგზაო მოძრაობის წესების, ნორმატივებისა და სტანდარტების დაცვა, დადგენილი წესით ჩაატაროს ავტოსატრანსპორტო საშუალებების ტექნიკური დათვალიერება, აღრიცხოს და რეგისტრაციაში გაატაროს სატრანსპორტო საშუალება, გასცეს სატრანსპორტო საშუალების მართვის უფლების მოწმობა;

16) სატრანსპორტო საშუალების მართვას ჩამოაშოროს პირი, რომელსაც არა აქვს მართვის უფლების დამადასტურებელი მოწმობა, ან რომლის მიმართაც არსებობს საკმაო საფუძველი, რომ იგი ალკოჰოლური, ტოქსიკური ან ნარკოტიკული სიმთვრალის მდგომარეობაშია; პოლიცია მოვალეა ადგილზე შეამოწმოს ეს პირი და დაუყოვნებლივ წარადგინოს იგი სპეციალურ სამედიცინო დაწესებულებაში სიმთვრალის ხარისხის დასადგენად;

17) დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში მისცეს ნებართვა საწარმოებს, ორგანიზაციებს, დაწესებულებებსა და მოქალაქეებს შეიძინონ, შეინახონ, გადაიტანონ ცეცხლსასროლი იარაღი, საბრძოლო მასალა, აქტიური თავდაცვის საშუალებები და ნაკეთობანი, გაზის პისტოლეტები, გაზიანი ბალონები, ელექტროშოკური მოწყობილობები და სხვა; გააუქმოს ეს ნებართვა, თუ მისი მფლობელები არ ასრულებენ მათი ხმარების დადგენილ წესს და აუცილებლობის შემთხვევაში ჩამოართვას მათ აღნიშნული საგნები, საშუალებები და ნაკეთობანი;

18) დადგენილი წესით გასცეს იარაღის სარემონტო, პიროტექნიკური საწარმოს, სასროლეთის, ტირის, ცეცხლსასროლი იარაღითა და საბრძოლო მასალით მოვაჭრე მაღაზიის გახსნის ნებართვა; გააუქმოს ასეთი ნებართვა, თუ მისი მფლობელი არღვევს დადგენილ წესს;

19) დამნაშავის დენის, დაკავებულის პოლიციაში წარმოსადგენად, აგრეთვე, სამკურნალო დაწესებულებაში იმ პირთა მისაყვანად, რომლებიც სასწრაფო სამედიცინო დახმარებას საჭიროებენ, უფასოდ ისარგებლოს სატრანსპორტო საშუალებით (დიპლომატიური ან საკონსულო წარმომადგენლობის, საერთაშორისო ორგანიზაციების და სპეციალური ტრანსპორტის გარდა);

20) საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო საზღვარზე გადაადგილებისას დანაშაულის შესახებ საკმაო მონაცემების არსებობის საფუძველზე საბაჟო სამსახურთან ერთად ჩაატარონ მოქალაქეთა პირადი და სატრანსპორტო საშუალებათა შემოწმება;

21) სამხედრო პატრულის არყოფნის შემთხვევაში დააკავოს სამხედრო მოსამსახურე საზოგადოებრივი წესრიგის დარღვევისა და დანაშაულის ჩადენისათვის; გადასცეს დაკავებული სამხედრო მოსამსახურე და მოსაკვლევე მასალები სამხედრო კომენდანტს, სამხედრო ნაწილის მეთაურს ან სამხედრო პროკურატურას;

22) საგანგებო, სამხედრო ან საომარი მდგომარეობის პირობებში, აგრეთვე დამნაშავეთა და სამართალდარღვევათა დაკავების მიზნით, პოლიცია დასახლებულ პუნქტებში, საგზაო მაგისტრალბზე და ტერიტორიულ წყლებში აწყობს რეიდებს. რეიდის დროს პოლიციას უფლება აქვს კანონით დადგენილი წესით გააჩეროს პირი და სატრანსპორტო საშუალება (დიპლომატიური და საკონსულო წარმომადგენლობების, საერთაშორისო ორგანიზაციებისა და სპეციალური ტრანსპორტის გარდა); მოსთხოვოს მოქალაქეს პირადობის დამადასტურებელი საბუთი, მართვის უფლების მოწმობა, სატრანსპორტო საშუალების ტექნიკური პასპორტი, საგზაო ფურცელი, ზედღებული; სისხლის სამართლის

საპროცესო და ადმინისტრაციული სამართალდარღვევების შესახებ კანონმდებლობით გათვალისწინებული საფუძვლითა და წესით ჩაატაროს სატრანსპორტო საშუალების, ტვირთის შემოწმება და ჩხრეკა, მოქალაქის პირადი შემოწმება ან პირადი ჩხრეკა;

23) უსასყიდლოდ მიიღოს საწარმოს, ორგანიზაციისა და მოქალაქისგან ინფორმაცია, იმ შემთხვევების გარდა, როცა კანონით დადგენილია ინფორმაციის მიღების სპეციალური წესი;

24) კანონით დადგენილ წესით ისარგებლოს მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით დანაშაულის გარემოებათა და მის ჩამდენ პირთა დასადგენად, გამოძიებისა და სასამართლოსაგან მიმალული, უგზო-უკვლოდ დაკარგული პირის მოსაძებნად, ამოუცნობი გვამის ვინაობის დასადგენად, სამართალდარღვევათა თავიდან ასაცილებლად, მართლწესრიგის განსამტკიცებლად;

25) სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით მოახდინოს დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილის, ბრალდებულის (განსასჯელის), ამოუცნობი გვამის რეგისტრაცია, დაქტილოსკოპია, ფოტო-კინო-აუდიო და ვიდეო გადაღება, შედარებითი გამოკვლევებისათვის ნიმუშების აღება;

26) მგზავრების პირადი უსაფრთხოების დაცვის, დანაშაულის ჩადენაში ეჭვმიტანილი პირის, ბრალდებულის დაკავების ან დაპატიმრების მიზნით დადგენილი წესით შეაყენოს სარკინიგზო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტის გასვლა არა უმეტეს 30 წუთისა;

27) დანაშაულის გახსნისა და დამნაშავის დაკავების მიზნით ისარგებლოს მოქალაქეთა დახმარებით.

### **თავი III. ფიზიკური, იძულების, საცხილური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

#### **მუხლი 10. ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალებების, ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, სპეციალური საშუალებები და სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი ამ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევაში და წესით.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ფიზიკური იძულების, სპეციალური საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ წინასწარ გააფრთხილოს პირი, მისცეს საკმარისი დრო, რათა მან შეასრულოს პოლიციის თანამშრომლის კანონიერი მოთხოვნა იმ შემთხვევის გარდა, როდესაც დაყოვნებამ შეიძლება გამოიწვიოს მოქალაქისა და პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის ხელყოფა, სხვა მძიმე შედეგი, ან თუ შექმნილ სიტუაციაში შეუძლებელია ასეთი გაფრთხილების გაკეთება.

სპეციალური საშუალების სახე, ფიზიკური იძულების ინტენსიურობა განისაზღვრება კონკრეტული სიტუაციის, სამართალდარღვევის ხასიათისა და სამართალდამრღვევის ინდივიდუალური თავისებურების გათვალისწინებით.

#### **მუხლი 11. ფიზიკური იძულების გამოყენება**

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს გამოიყენოს ფიზიკური იძულება, მათ შორის ორთაბრძოლის სპეციალური ხერხები პირადი და მოქალაქეთა

1993

უსაფრთხოების დაცვის უზრუნველსაყოფად, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის აღსაკვეთად, დანაშაულისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევის დასაკავებლად, თუ უძალადო მეთოდების გამოყენება ვერ უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის მიერ კანონით დაკისრებული მოვალეობების შესრულებას.

## მუხლი 12. სპეციალური საშუალებების გამოყენება

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულთან და საზოგადოებრივად საშიშ ქმედობებთან ბრძოლის მიზნით პოლიციას უფლება აქვს გამოიყენოს სპეციალურა საშუალებები: ხელბორკილი ან შებორკვის სხვა საშუალება, რეზინის ხელკეტი ცრემლსადენი გაზი, ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა, დაბრკოლების დამანგრეველი და ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება, წყალსატყორცნი, ჯავშანმანქანა და სხვა სპეციალური სატრანსპორტო საშუალება, სპეციალური სადებავი, სასამსახურო ძაღლი და ცხენები, ელექტროშოკური მოწყობილობა:

1) ხელბორკილი და შებორკვის სხვა საშუალება — დანაშაულის და საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის მიმართ, რომელიც უძალიანდება ან შეიძლება გაუძალიანდეს პოლიციის თანამშრომელს, ან ცდილობს გაქცევას; დაკავებულის და დაპატიმრებულის ბადრაგირებისას; თუ პირს თავისი საშიში მოქმედებით შეუძლია ზიანი მიაყენოს თავის თავს და გარეშე პირებს;


2) რეზინის ხელკეტი — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე და დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; დანაშაულის ჩამდენი, საზოგადოებრივი წესრიგის დამრღვევი პირის დაკავებისას, თუ იგი ბოროტად არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის კანონიერ მოთხოვნას; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად;

3) ცრემლსადენი გაზი — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე, დაცულ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად; საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი და ჯგუფური დარღვევის აღსაკვეთად; დანაშაულის, საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დაკავებისას ან მისი იძულების მიზნით, რათა მან დატოვოს დაკავებული სატრანსპორტო საშუალება ან შენობა-ნაგებობა, სადაც თავს აფარებს;

4) ფსიქოლოგიური ზემოქმედების შუქბგერითი მოწყობილობა — სახელმწიფო და საზოგადოებრივ ობიექტებზე თავდასხმის მოსაგერიებლად, პოლიციის თანამშრომელზე და მოქალაქეზე თავდასხმის მოსაგერიებლად, შეიარაღებული წინააღმდეგობის გამწევი პირის დასაკავებლად, შენობა-ნაგებობებიდან, მიწის ნაკვეთიდან, სატრანსპორტო საშუალებიდან შეჭრილი დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის გამოსაძევებლად, მძევლების გასათავისუფლებლად;

5) ტრანსპორტის იძულებითი გაჩერების საშუალება — სატრანსპორტო საშუალების იძულებითი გასაჩერებლად, რომლის მძღოლმა არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა გაჩერებულიყო;

6) დაბრკოლების დამანგრეველი საშუალება — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დაკავებისას, მძევლების გასათავისუფლებლად;



7) წყალსატყორცი და ჯავშანმანქანა — საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად; სახელმწიფო ან საზოგადოებრივ ობიექტებზე ჯგუფური თავდასხმის მოსაგერიებლად, სატრანსპორტო საშუალების იძულებით გასაჩერებლად, რომლის მძღოლმაც არ შეასრულა პოლიციის თანამშრომლის მოთხოვნა გაჩერებულის, შეიარაღებულ დამნაშავეთა დასაკავებლად;

8) სპეციალური საღებავი — დანაშაულის ჩამდენი პირის გამოსავლენად;

9) სასამსახურო ძალი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, დაკავებული ან დაპატიმრებული პირის ბადრაგირებისას, მოქალაქეზე ან პოლიციის თანამშრომელზე თავდასხმის მოსაგერიებლად;

10) სასამსახურო ცხენი — დანაშაულის ან საზოგადოებრივად საშიში ქმედობის ჩამდენი პირის დევნისას და დაკავებისას, საპატრულო სამსახურის შესრულებისას, საზოგადოებრივი წესრიგის მასობრივი დარღვევის აღსაკვეთად;

11) ელექტროშოკური მოწყობილობა — მოქალაქეზე, პოლიციის თანამშრომელზე ან დაცულ ობიექტზე თავდასხმის მოსაგერიებლად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია პირველადი სამედიცინო დახმარება აღმოუჩინოს ფიზიკური იძულების ან სპეციალური საშუალებების გამოყენებით დაზარალებულ პირს, დაუყოვნებლივ აცნობოს ფიზიკური ან სპეციალური საშუალების გამოყენების შედეგად პირის დაჭრის ან დაზიანების შესახებ უშუალო უფროსს და პროკურორს.

აკრძალულია ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალებების გამოყენება ორსულობის, მცირეწლოვანობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როცა ისინი შეიარაღებულ ან ჯგუფურ თავდასხმას ახდენენ, შეიარაღებულ წინააღმდეგობას უწევენ პოლიციას, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქეთა და პოლიციის მუშაკთა სიცოცხლესა და ჯანმრთელობას, თუ სხვაგვარი ხერხებითა და საშუალებებით ასეთი თავდასხმის მოგერიება შეუძლებელია.

პოლიციის შეიარაღებაში არსებულ სპეციალურ საშუალებათა შენახვის, ტარებისა და გამოყენების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

პოლიციის თანამშრომელს ეკრძალება ისეთი ფიზიკური იძულების და სპეციალური საშუალების გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახინრებას იწვევს, დაკავშირებულია გაუმართლებელ რისკთან ან იკრძალება საერთაშორისო კონვენციებითა და საერთაშორისო აქტებით.

**მუხლი 13. ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების უფლება**

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს შეინახოს, ატაროს და გამოიყენოს სამსახურებრივი დანიშნულების ცეცხლსასროლი იარაღი.

პოლიციის თანამშრომლის განკარგულებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის შენახვისა და ტარების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებად ითვლება გამიზნული გასროლა.

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უკიდურესი ღონისძიების სახით, გამოიყენოს ცეცხლსასროლი იარაღი:

1) მოქალაქისა და თავის დასაცავად ისეთი საფრთხისაგან, რომელიც რეალურ საშიშროებას უქმნის მათ სიცოცხლეს ან ჯანმრთელობას;



2) ცეცხლსასროლი იარაღის წართმევის აღსაკვეთად;

3) მძევლების გასათავისუფლებლად;

4) დაკავების ან პატიმრობის ადგილიდან გაქცევის აღსაკვეთად;

5) მძიმე დანაშაულის აღსაკვეთად, ასეთი დანაშაულის ჩამდენი პირის დაკავებისას, თუ იგი წინააღმდეგობას უწევს პოლიციის თანამშრომელს ან შეეცდება გაქცევას;

6) მოქალაქეთა ბინებზე, დაცულ ობიექტებზე, სახელმწიფო ორგანოების, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, კერძო საკუთრების ობიექტებზე თავდასხმის მოგერიებისას;

7) მოქალაქეთა დაცვისას საშიშ ცხოველთა თავდასხმისაგან;

8) განგაშის სიგნალის მიცემის ან დამხმარე ძალის გამოძახებისას;

9) სატრანსპორტო საშუალების გაჩერების მიზნით სატრანსპორტო საშუალების დაზიანებისათვის, თუ მძღოლის მოქმედება რეალურ საფრთხეს უქმნის ადამიანთა სიცოცხლეს და ჯანმრთელობას, ხოლო მძღოლი არ ემორჩილება პოლიციის თანამშრომლის არაერთგზის მოთხოვნას სატრანსპორტო საშუალების გაჩერების შესახებ.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენებას წინ უნდა უძღოდეს სიტყვიერი გაფრთხილება მისი გამოყენების შესახებ. აუცილებლობის შემთხვევაში შეიძლება გამაფრთხილებელი გასროლა.

გაფრთხილების გარეშე ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენება შეიძლება:

1) შეიარაღებული, საბრძოლო ტექნიკის, ნებისმიერი სახის სატრანსპორტო ან მექანიკური საშუალებით მოულოდნელი თავდასხმისას;

2) ტრანსპორტის გამოყენებით ან სატრანსპორტო საშუალებიდან დაკავებულის ან პატიმრის გაქცევისას;

3) დამნაშავის დაკავების ან დაპატიმრების დროს შეიარაღებული წინააღმდეგობის გაწევისას;

4) დაკავებულის ან დაპატიმრებულის შეიარაღებული გაქცევისას;

5) დაკავებულის ან დაპატიმრებულის სატრანსპორტო საშუალებიდან, ან შეზღუდული ხილვადობის და ტყიან ადგილებში გაქცევისას.

აკრძალულია ცეცხლსასროლი იარაღის ისეთ ადგილებში გამოყენება; სადაც შესაძლოა სხვა პირთა დაშავება, აგრეთვე ცეცხლსაშიშ და აფეთქებადსაშიშ ადგილებში; ასევე ორსულობის, მცირეწლოვნობის, ინვალიდობის, ხანდაზმულობის აშკარა ნიშნების მქონე პირთა მიმართ, იმ შემთხვევების გარდა, როდესაც ისინი შეიარაღებულნი ან ჯგუფურად ესხმიან თავს, რაც საფრთხეს უქმნის მოქალაქის ან პოლიციის თანამშრომლის სიცოცხლეს.

ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შემთხვევაში პოლიციის თანამშრომელი მოვალეა ყოველი ღონე იხმაროს; სხვა პირთა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, დაზარალებულისათვის გადაუდებელი სამედიცინო დახმარების გასაწევად.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია ცეცხლსასროლი იარაღის გამოყენების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს თავის უშუალო უფროსს და პროკურორს.

პოლიციის შეიარაღებაში არსებული ცეცხლსასროლი იარაღის და საბრძოლო მასალების წუსხას ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია ისეთი სახის ცეცხლსასროლი იარაღისა და საბრძოლო მასალის გამოყენება, რომელიც ადამიანის მძიმე დასახიჩრებას იწვევს, დაკავშირ-



რებულია გაუმართლებელ რისკთან და იკრძალება საერთაშორისო კონვენციებით და საერთაშორისო აქტებით.

**თავი IV. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა**

**მუხლი 14. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის პრინციპები**

დანაშაულის გახსნისა და თავიდან აცილების მიზნით პოლიცია ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას ეწევა ღია და ფარული საშუალებებით და მეთოდებით.

აკრძალულია ისეთი ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებანი, რომლებიც:

- 1) საფრთხეს უქმნის პიროვნების სიცოცხლეს, ჯანმრთელობას, პატივსა და ღირსებას, ქონებას;
- 2) საფრთხეს უქმნის სახელმწიფო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების, მეწარმეთა ქონებას და კანონით დაცულ უფლებებსა და თავისუფლებებს;
- 3) დაკავშირებულია მოტყუებასთან, შანტაჟთან, ძალით დაყოლიებასთან დანაშაულის და სხვა სახის სამართალდარღვევის ჩასადენად.

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიება, რომელიც დროებით ზღუდავს პიროვნების პირადი ცხოვრების, მიმოწერის, სატელეფონო საუბრის და სატელეგრაფო შეტყობინებათა საიდუმლოებას, გამოიყენება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში და წესით.

**მუხლი 15. პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობის ამოცანები**

ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებით მოპოვებული საგნები, დოკუმენტები და ინფორმაცია გამოიყენება:

- 1) დანაშაულის გასახსნელად და თავიდან ასაცილებლად, დანაშაულის ჩამდენი პირის დასაკავებლად;
- 2) სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებათა მოსაპოვებლად;
- 3) იმ ფაქტობრივი მონაცემების მისაღებად, რომლებიც საფუძვლად დაედება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ საგამოძიებო და საპროცესო მოქმედებას.

აკრძალულია სისხლის სამართლის საქმის მტკიცებულებად ოპერატიულ-სამძებრო გზით მიღებული საგნის, დოკუმენტის ან ინფორმაციის გამოყენება, თუ იგი მიღებული, შემოწმებული და შეფასებული არ იქნება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით.


პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობას კონტროლს უწევენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროები.

პოლიციის ოპერატიულ-სამძებრო საქმიანობა რეგულირდება ამ კანონით, კანონით ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებათა შესახებ და სხვა ნორმატიული აქტებით.

**თავი V. პოლიციის ორგანიზაცია**

**მუხლი 16. პოლიციის სისტემა**

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია, რომლის შემადგენლობაში შედიან აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციები თავის მოვალეობას ასრულებს საქართველოს რესპუბლიკის მთელ ტერიტორიაზე.



პოლიციის სამსახურები საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს პოლიციის დეპარტამენტში ფუნქციონირებენ სამმართველოების და განყოფილებების სახით. რეგიონებში და ადგილებზე პოლიციის სამსახურები სტრუქტურულად შედიან შინაგან საქმეთა რაიონულ, საქალაქო რეგიონულ სამმართველოებსა და განყოფილებებში.

საქართველოს რესპუბლიკის პოლიცია ფუნქციონირებს ცენტრალიზებული წესით.

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების პოლიციის სტრუქტურული დანაყოფები შედიან საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს სისტემაში და შესაბამისად — საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მინისტრების უშუალო დაქვემდებარებაში.

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, რაიონის (ქალაქის) მმართველობის ორგანოებთან შეთანხმებით.

აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა რაიონული (საქალაქო) განყოფილებების (სამმართველოების) უფროსებს თანამდებობაზე ნიშნავს და თანამდებობიდან ათავისუფლებს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთის და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრის წარდგინებით და რაიონის (ქალაქის) მმართველობის ადგილობრივ ორგანოსთან შეთანხმებით.

პოლიციის ორგანიზაციასა და სტრუქტურას განსაზღვრავს დებულება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შესახებ, რომელსაც ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.


### **მუხლი 17. შინაგან საქმეთა სხვა ორგანოების მუშაკთა მონაწილეობა პოლიციის ამოცანების შესრულებაში**

საზოგადოებრივი წესრიგისა და უშიშროების დაცვის, დანაშაულობასთან ბრძოლის, მაგისტრალური გზებისა და მნიშვნელოვანი ობიექტების დაცვის ამოცანების შესრულებაში შეიძლება ჩაებნენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს შინაგანი ჯარის სამხედრო ქვედანაყოფები (ასეული, ბატალიონი, ბრიგადა), ხოლო საგანგებო და სამხედრო მდგომარეობის პირობებში — შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელები და ამ სასწავლებელთა ატესტირებული თანამშრომლები.

ამ კანონით გათვალისწინებული უფლება-მოვალეობები, სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები ვრცელდება შინაგანი ჯარის ქვედანაყოფების სამხედრო მოსამსახურეებზე, შინაგან საქმეთა სამინისტროს სასწავლებელთა მსმენელებზე, ამ სასწავლებელთა ატესტირებულ თანამშრომლებზე სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას.

### **მუხლი 18. საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს კომპეტენცია პოლიციის საქმიანობაში**

საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო:  
განსაზღვრავს პოლიციის საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;  
აზორციელებს პოლიციის საქმიანობის სამართლებრივი უზრუნველყოფის ღონისძიებებს;



კოორდინაციას და სამსახურებრივ კონტროლს უწევს პოლიციის ორგანოებისა და ქვედანაყოფების საქმიანობას;

სამეცნიერო-საკონსულტაციო მეთოდიკურ და პრაქტიკულ დახმარებას უწევს პოლიციას;

ავტონომიური რესპუბლიკების რაიონებისა და ქალაქების პოლიციის თანამშრომლებს გზავნის სამსახურის ტერიტორიის ფარგლებს გარეთ სტიქიური უბედურების, კატასტროფების, მასობრივი არეულობისა და საგანგაშო შემთხვევების დროს რესპუბლიკური და სხვა რეგიონთაშორისო ღონისძიებების განხორციელებისას მართლწესრიგის უზრუნველყოფის მიზნით;

საგანგებო, სამხედრო და სხვა ექსტრემალურ მდგომარეობისას უზრუნველყოფს პოლიციის პირადი შემადგენლობის გადაყვანას სამსახურის განსაკუთრებულ რეჟიმზე;

აყალიბებს და განაგებს საცნობარო-საინფორმაციო ბანკს; ამყარებს კავშირებს და უზრუნველყოფს ინფორმაციის გაცვლას სხვა სახელმწიფოთა საპოლიციო ორგანოებთან;

ხელმძღვანელობს პოლიციის კადრების მომზადებას;

აკონტროლებს პოლიციის თანამშრომელთა მიერ დადგენილი წესისა და დისციპლინის დაცვას;

შეიმუშავებს პოლიციაში სამსახურის ერთიან მოთხოვნებს, პირობებსა და წესს, საშტატო ერთეულების ტიპობრივ ნორმატივებს;

ადგენს პოლიციაში საქმისწარმოების ორგანიზაციის წესსა და პირობებს; წარმოადგენს პოლიციის ინტერესებს საქართველოს რესპუბლიკის ხელისუფლებისა და მმართველობის უმაღლეს ორგანოებში;

თავისი კომპეტენციის ფარგლებში წყვეტს პოლიციის პირადი შემადგენლობისათვის სპეციალური წოდებების მინიჭების, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხებს.

**თავი VI. სამსახური პოლიციაში. პოლიციის კადრები**

**მუხლი 19. პოლიციის თანამშრომელი**

პოლიციის თანამშრომელი არის საქართველოს რესპუბლიკის სახელმწიფო მოსამსახურე, რომელსაც მინიჭებული აქვს სპეციალური წოდება და დადებული აქვს ფიცი.

პოლიციის თანამშრომლის ფიცის ტექსტს ამტკიცებს საქართველოს პარლამენტი.

თავისი კომპეტენციის ფარგლებში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას, პოლიციის თანამშრომელი სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია.

პოლიციის თანამშრომელი ვალდებულია დადგენილი წესით გაიაროს ატესტაცია. თანამდებობის შესაბამისად მას ენიჭება სპეციალური წოდება და სპეციალური ფორმის ტანსაცმლისა და სასამსახურო იარაღის ტარების უფლება.

პირი, რომელიც საზოგადოებრივ საწყისებზე ან ხელშეკრულებით მუშაობს პოლიციაში, სამსახურებრივად მოვალეობის შესრულების დროს სახელმწიფო ხელისუფლების წარმომადგენელია. მისი სამართლებრივი სტატუსი, უფლებები და მოვალეობები, სამართლებრივი და სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და სხვა საკანონმდებლო აქტებით.

## მუხლი 20. პოლიციის სამსახურში მიღების წესი

პოლიციის სამსახურში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე არანაკლებ 18 და არაუმეტეს 35 წლის, რომელმაც იცის სახელმწიფო ენა, პიროვნული თვისებებით, განათლებით (არანაკლებ საშუალო ზოგადსაგანმანათლებლო განათლებისა), ფიზიკური მომზადებით და ჯანმრთელობის მდგომარეობით შეძლებს შეასრულოს დაკისრებული მოვალეობანი.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი სავალდებულო სპეციალურ მომზადებას გადის დადგენილი წესის მიხედვით.

პოლიციის სამსახურში მიღებული პირი თავისუფლდება სამხედრო სავალდებულო სამსახურისაგან, იხსნება სამხედრო აღრიცხვიდან და ირიცხება შინაგან საქმეთა სამინისტროს პირად შემადგენლობაში.

პირი პოლიციის რიგოსან და უმცროს მეთაურთა თანამდებობაზე შეიძლება დაინიშნოს ხელშეკრულების საფუძველზე.

პოლიციაში არ მიიღებიან:

1. ნასამართლენი პირი;
2. ალკოჰოლიზმით, ნარკომანიით, ტოქსიკომანიით, შიდსით, ფსიქიურ და სხვა ქრონიკული სნეულებით დაავადებული პირი;
3. პირი, რომელიც სასამართლო წესით ქმედუნარიოდ არის ცნობილი.

## მუხლი 21. პოლიციაში სამსახურის გავლის წესი

პოლიციაში სამსახურის გავლის წესს ამტკიცებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტი.

აკრძალულია პოლიციის თანამშრომლის გაფიცვა ან მასში მონაწილეობა თანამშრომელს აკრძალული აქვს სამსახურთან ერთად კომერციულ და სხვა ანაზღაურებად საქმიანობაში მონაწილეობა, გარდა სამეცნიერო-პედაგოგიური და შემოქმედებითი საქმიანობისა.

## მუხლი 22. პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის წესი

პოლიციის თანამშრომელს სამსახურიდან დაითხოვენ:

- 1) განსაზღვრული ასაკის მიღწევისას ან წელთა ნამსახურობის გამო პოლიციაში სამსახურის გავლის წესის მიხედვით;
- 2) ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების, დასახიჩრების ან ქრონიკული დაავადებისას, რომლის გამოც აღარ შეუძლია სამსახურის გაგრძელება;
- 3) ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვადის ვასვლის შემდეგ;
- 4) ხელშეკრულებით გათვალისწინებული მოთხოვნების შეუსრულებლობისთვის;
- 5) სამსახურებრივი შეუსაბამობის გამო;
- 6) სამსახურებრივი დისციპლინის უხეში ან სისტემატური დარღვევისთვის;
- 7) შტატების შემცირებისას;
- 8) სახელმწიფო ხელისუფლების, მმართველობის, პროკურატურის ორგანოებში, სასამართლოში არჩევის ან დანიშვნისას;
- 9) საკუთარი სურვილით;
- 10) ფიცის გატეხის, პოლიციის თანამშრომლისთვის შეუფერებელი საქციელისთვის;

11) დანაშაულის ჩადენისთვის — კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე.

პოლიციის თანამშრომლის სამსახურიდან დათხოვნის გადაწყვეტილება იღებენ საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა მინისტრი, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების შინაგან საქმეთა მინისტრები, ქალაქის (რაიონის) შინაგან საქმეთა განყოფილებების (სამმართველოების) უფროსები, საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების უფროსები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

### **მუხლი 23. პოლიციის კადრების მომზადება**

პოლიციის კადრების მომზადება ხდება საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს უმაღლეს, საშუალო სპეციალურ სასწავლებლებსა და კვალიფიკაციის ამაღლების ცენტრში.

შინაგან საქმეთა უმაღლეს და საშუალო-სპეციალურ სასწავლებლებში მიიღება საქართველოს რესპუბლიკის მოქალაქე ჩვილბეტიდან ოცდაათ წლამდე, რომელიც აკმაყოფილებს პოლიციის თანამშრომლისთვის წაყენებულ მოთხოვნებს, ზოლო უცხო სახელმწიფოს მოქალაქე ამ სასწავლებელში მიიღება დადგენილ წესით.

### **თავი VII. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი და სოციალური დაცვა. პოლიციის თანამშრომლის კასუნისმკვალობა**

#### **მუხლი 24. პოლიციის საქმიანობაში ჩაურევლობა**

სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომელი ემორჩილება თავის უშუალო და ზემდგომ უფროსს. ამკარად უკანონო ბრძანების ან მითითების მიღებისას პოლიციის თანამშრომელი ხელმძღვანელობს კანონით.

ამკარად უკანონო ბრძანების ან მითითების შესრულება პოლიციის თანამშრომელს არ ათავისუფლებს პასუხისმგებლობისგან.

აკრძალულია პოლიციის კანონიერ საქმიანობაში ჩარევა, გარდა კანონით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

#### **მუხლი 25. პოლიციის თანამშრომლის სამართლებრივი დაცვა**

პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებასთან დაკავშირებული კანონიერი მოთხოვნის შესრულება სავალდებულოა ყველა მოქალაქისა და თანამდებობის პირისთვის.

პოლიციის თანამშრომლის და მისი ოჯახის წევრების ხელშეუხებლობას ქონებას, პატივსა და ღირსებას იცავს კანონი.

პოლიციის თანამშრომლის შეურაცხყოფა, წნააღმდეგობის გაწევა, მისი სიცოცხლის ხელყოფა ან სხვა ქმედობა, რომელიც ხელს უშლის პოლიციის თანამშრომელს სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებაში, ისჯება კანონით.

#### **მუხლი 26. პოლიციის თანამშრომლის უფლება სასამართლო დაცვაზე**

პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს სასამართლოში გაასაჩივროს ბრძანება პოლიციიდან მისი დათხოვნის შესახებ.

**მუხლი 27. პოლიციის თანამშრომლის ქმედობით გამოწვეული ზარალის ანაზღაურება**

პოლიციის თანამშრომლის უკანონო ქმედობით მოქალაქეებისთვის, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისათვის მიყენებული ზარალი ანაზღაურდება კანონმდებლობით დადგენილი წესით.

პოლიციის თანამშრომლის მართლზომიერი მოქმედებით მოქალაქეების, საწარმოების, დაწესებულებებისა და ორგანიზაციებისთვის მიყენებულ ზარალს ანაზღაურებს სახელმწიფო კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 28. პოლიციის თანამშრომლის ფორმა**

პოლიციის თანამშრომელი ატარებს საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის მიერ დადგენილი ფორმის ტანსაცმელს.

პოლიციის თანამშრომელს თავისი უფლებაპოსილების დასადასტურებლად ეძლევა პირადობის მოწმობა და სპეციალური ქეტონი.

**მუხლი 29. წახალისება მუშაობაში წარმატებებისთვის**

სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულების, ხანგრძლივი უძწიკვლო მუშაობისა და სხვა მიღწევებისთვის პოლიციის თანამშრომლის წახალისებლად გამოიყენება შემდეგი ღონისძიებები:

- 1) მადლობის გამოცხადება;
- 2) პრემიის მიცემა ან ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება;
- 3) 5 დღე-ღამის დამატებითი შვებულების მიცემა;
- 4) მადლობის სიგელით დაჯილდოება;
- 5) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნით დაჯილდოება;
- 6) მორიგი სპეციალური წოდების ვადამდე მინაჭება;
- 7) წინათ დადებული დისციპლინური სახდელის ვადამდე მოხსნა;
- 8) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას გამოჩენილი ვაჟკაცობისა და მამაცობისათვის სახელმწიფო ჯილდოზე წარდგენა.

პოლიციის თანამშრომლის წახალისების წესს ადგენს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წესდება.

**მუხლი 30. პოლიციის თანამშრომლის პასუხისმგებლობა**

პოლიციის თანამშრომელი ადმინისტრაციული სამართალდარღვევისა და დანაშაულისთვის პასუხს აგებს საერთო წესით.

დანაშაულისთვის დაკავებული, დაპატიმრებული ან მსჯავრდებული პოლიციის თანამშრომელი თავსდება ან სასჯელს იხდის სხვა სპეცკონტინენტისგან იზოლირებულად.

სამსახურებრივი დისციპლინის დარღვევისთვის პოლიციის თანამშრომლის მიმართ გამოიყენება დისციპლინური სახდელები:

- 1) შენიშვნა;
- 2) საყვედური;
- 3) სასტიკი საყვედური;
- 4) შინაგან საქმეთა სამინისტროს სამკერდე ნიშნის ჩამორთმევა;
- 5) თანამდებობიდან ჩამოქვეითება;
- 6) სპეციალური წოდების ერთი საფეხურით ჩამოქვეითება;



7) დისციპლინური პატიმრობა 3-დან 10 დღე-ღამემდე ჰაუპტვახტში მოხ-  
დით;

8) შინაგან საქმეთა ორგანოებიდან დათხოვნა.

დისციპლინური სახდელების შეფარდების და მოხსნის წესს ადგენს სა-  
ქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს დისციპლინური წეს-  
დება.

### მუხლი 31. პოლიციის თანამშრომლის სოციალური დაცვა

სახელმწიფო უზრუნველყოფს პოლიციის თანამშრომლის სოციალურ დაც-  
ვას.

1) პოლიციის თანამშრომლისთვის დადგენილია ორმოცდაერთსაათიანი  
სამუშაო კვირა და არანორმირებული სამუშაო დღე;

2) პოლიციის თანამშრომელი პოლიციაში სამსახურისთვის იღებს ყო-  
ველთვიურ ხელფასს, რომელიც შეიცავს თანამდებობრივი და სპეციალური წო-  
დებისთვის დადგენილ განაკვეთს, წელთა ნამსახურობის დანამატს, რაიონულ  
კოეფიციენტს, სადაც იგი დაწესებულია; დანამატს დასვენებისა და უქმე დღე-  
ებში მუშაობისთვის, ღამის საათებში და ზეგანაკვეთური მუშაობისთვის და სხვა  
გასამრჯელოს, კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა დანამატებსა და კომ-  
პენსაციებს;

3) პოლიციის თანამშრომლის წლიური შვებულების ხანგრძლივობა 30  
კალენდარული დღეა, თუ მას აქვს შინაგან საქმეთა ორგანოებში მუშაობის 10  
წლამდე სტაჟი; 35 კალენდარული დღე — 10-დან 15 წლამდე; 40 კალენდარუ-  
ლი დღე — 15-დან 20 წლამდე; 45 კალენდარული დღე — 20 წელზე მეტი  
მუშაობის სტაჟისთვის;

4) პოლიციის თანამშრომელი ექვემდებარება სავალდებულო სახელმწიფო  
დაზღვევას პოლიციის თანამშრომლის სამსახურებრივი მოვალეობის შესრუ-  
ლებისას პოლიციის თანამშრომლის ან მისი ახლობლისთვის მიყენებული ზა-  
რალი ანაზღაურდება სრული მოცულობით სახელმწიფო ბიუჯეტიდან.

5) სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას პოლიციის თანამშრომლის  
დაღუპვის შემთხვევაში მის ოჯახს სახელმწიფო ბიუჯეტის სახსრებიდან უხ-  
დიან ერთდროულ კომპენსაციას 10 წლის ხელფასის ოდენობით. დაკრძალვის  
ხარჯებს სახელმწიფო გაიღებს;

6) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც დაიჭრა, ან დასახინჩრა სამსახუ-  
რებრივი მოვალეობის შესრულებისას, სხეულის დაზიანების სიმძიმის ხარისხის  
შესაბამისად ეძლევა კომპენსაცია ბიუჯეტის სახსრებიდან 1-დან 5 წლამდე მი-  
ღებული ხელფასის ოდენობით;

7) პოლიციის თანამშრომელს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლო-  
ბით დადგენილი წესით ეძლევა სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საცხოვ-  
რებელი ბინა ან სახლი, ურიგოდ ედგმება ტელეფონი. ბინის კომუნალური მომ-  
სახურების ქირას, ტელეფონის გადასახადს იგი იხდის ორმოცდაათპროცენტიანი  
შეღავათით;

8) საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესის შე-  
საბამისად, პოლიციის თანამშრომელი სარგებლობს შეღავათებით მიწის რენტის  
გადასახადის, კოოპერაციული ან ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის შე-  
ღავათიანი სახელმწიფო კრედიტის მიღების უფლებით;

9) პოლიციის თანამშრომელს სახელმწიფო-კომუნალური ფონდიდან საც-  
ხოვრებელი ბინის (სახლის) გამოყოფის შეუძლებლობის შემთხვევაში ეძლევა



სრული კომპენსაცია დროებითი საცხოვრებელი ბინის (სახლის) ქირის გადასახდელად;

10) პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს უფასოდ ისარგებლოს საქალაქო, საგარეუბნო და ადგილობრივი მიმოსვლის ყველა სახეობის სახელმწიფო ტრანსპორტით (ტაქსის გარდა);

11) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც გათავისუფლდა სამსახურიდან ასაკის, ავადმყოფობის, შტატების შემცირების ან ჯანმრთელობის მოშლის გამო, მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად აქვს პენსიის მიღების უფლება. მას და მისი ოჯახის წევრებს უნარჩუნდებათ შინაგან საქმეთა სამინისტროს სამედიცინო დაწესებულებებში სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის უფლება.

სამედიცინო მომსახურებით სარგებლობის ასეთივე უფლება უნარჩუნდებათ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას დაღუპული პოლიციის თანამშრომლის ოჯახის წევრებს;

12) პოლიციის თანამშრომელს პენსია ენიშნება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით დადგენილი წესით, წელთა ნამსახურობის ვადის მიღწევის გამო პენსიაზე გასვლის დროს ან პროფესიული დაავადების შემთხვევაში, აგრეთვე დადგენილი ასაკის შესრულების ან ინვალიდობის გამო სამსახურიდან გათავისუფლების შემდეგ პოლიციის თანამშრომელს უნარჩუნდება ამ კანონით გათვალისწინებული გარანტიები;

13) პოლიციის თანამშრომელს, რომელიც სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისთვის იყენებს პირად საკუთრებაში არსებულ სატრანსპორტო საშუალებას, სატრანსპორტო საშუალების შენახვის, საწვავ-საპოხი მასალის ხარჯებს უნაზღაურებს სახელმწიფო დადგენილი წესით.

14) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე სამსახურებრივ მივლინებაში მყოფ პოლიციის თანამშრომელს უფლება აქვს მივლინების მოწმობის საფუძველზე ურიგოდ შეიძინოს სამგზავრო ბილეთი ყველა სახის ტრანსპორტზე და ურიგოდ შესახლდეს სასტუმროში;

შინაგან საქმეთა სამინისტროს თანამშრომლების სოციალური დაცვის გარანტიები განისაზღვრება ამ კანონით და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აქტებით.

## თავი VIII. პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

**მუხლი 32.** საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიციის დაფინანსება და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საქართველოს რესპუბლიკის, აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების, რაიონებისა და ქალაქების პოლიცია ფინანსდება საქართველოს რესპუბლიკის ბიუჯეტიდან, დაწესებულებების, ორგანიზაციების და მოქალაქეებისგან შემოსული სახსრებიდან.

ხელისუფლების და მმართველობის ადგილობრივ ორგანოებს, ოპერატიული მდგომარეობიდან გამომდინარე, რაიონის (ქალაქის) შინაგან საქმეთა განყოფილებებში საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტროს, აფხაზეთისა და აჭარის შინაგან საქმეთა სამინისტროების გადაწყვეტილებით შეუძლიათ ადგილობრივი ბიუჯეტიდან დააფინანსონ პოლიციის თანამშრომელთა დამატებითი საშტატო ერთეულები.

რესპუბლიკის პოლიციას, მის ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს შენობა-ნაგებობებით და კავშირგაბმულობის საშუალებებით უფასოდ უზრუნველყოფენ სახელმწიფო მმართველობის ადგილობრივი ორგანოები, ხოლო სატრანსპორტო პოლიციის ორგანოებს, ქვედანაყოფებს და დაწესებულებებს — შესაბამისი სატრანსპორტო უწყებები და ორგანოები.

ფორმის ტანსაცმლით, ტაბელის იარაღით, ტყვია-წამლით, სპეციალურა საშუალებებითა და ტექნიკით რესპუბლიკის რაიონისა და ქალაქის პოლიციას უზრუნველყოფს საქართველოს რესპუბლიკის შინაგან საქმეთა სამინისტრო.

## **თავი IX. პოლიციის საქმიანობაში მოქალაქეთა უფლებებისა და კანონიერების დაცვის გარანტიები**

### **მუხლი 33. პოლიციელის ქმედობის გასაჩივრების უფლება**

მოქალაქეს უფლება აქვს გაასაჩივროს პოლიციელის ქმედობა პოლიციის ზემდგომ თანამდებობის პირთან, პროკურორთან ან სასამართლოში.

### **მუხლი 34. განცხადებებისა და საჩივრების განხილვა პოლიციაში**

პოლიცია განიხილავს შემოსულ განცხადებებსა და საჩივრებს კანონიერების დარღვევებზე.

პოლიციაში შემოსული განცხადება და საჩივარი განიხილება არაუგვიანეს ერთი თვის ვადაში.

დანაშაულის ან ადმინისტრაციულ სამართალდარღვევის შესახებ პოლიციაში შემოსული განცხადება ან საჩივარი დაუყოვნებლივ განიხილება, ანონიმური განცხადება და საჩივარი არ განიხილება.

### **მუხლი 35. პოლიციის საქმიანობის კონტროლი**

პოლიციის საქმიანობას აკონტროლებენ ხელისუფლებისა და მმართველობის ორგანოები თავიანთი კომპეტენციის ფარგლებში.

პოლიციის საქმიანობის მაკონტროლებელი ორგანოები არ ერევიან მის ოპერატიულ-სამძებრო და საპროცესო საქმიანობაში ან ადმინისტრაციულ გადაცდომათა საქმის წარმოებაში.

### **მუხლი 36. პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვისადმი ზედამხედველობა**

პოლიციის საქმიანობაში კანონიერების დაცვის ზედამხედველობას უწევს საქართველოს რესპუბლიკის გენერალური პროკურორი და მისდამი დაქვემდებარებული პროკურორები.

საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე —

საქართველოს მეთაური **ვიშარდ შვივარდნაძე**

საქართველოს პარლამენტის სპიკერი **ვასტანბ ზოზუაძე**

თბილისი

1993 წლის 27 ივლისი

## კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ და მისი თავისებურებანი

1993 წლის 25 მარტს რესპუბლიკის პარლამენტმა მიიღო კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“<sup>1</sup>, რომელიც ქვეყნის კონსტიტუციის შემდეგ ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი აქტია. კანონმა დიდი რეზონანსი გამოიწვია საზოგადოებრიობაში.<sup>2</sup> პოლიტიკოსთა უკრავლესობა აღიარებს, რომ იგი არის უაღრესად დემოკრატიული და ლოიალური და მთლიანად ეყრდნობა საერთაშორისო სამართლით აღიარებულ უმთავრეს პრინციპებს, რაზედაც ის ფაქტიც მეტყველებს, რომ კანონით აკრძალულია საქართველოს მოქალაქეობის ჩამორთმევა.

ამავე კანონით აღიარებულია, რომ ყველა ადამიანს აქვს საქართველოს მოქალაქეობის უფლება, რომლის შეზღუდვა დაუშვებელია მკაცრად განსაზღვრული შემთხვევების გარდა (მუხლი 2).

კანონით განსაზღვრულია საქართველოს მოქალაქეობის შექმნის საფუძვლებიც. კერძოდ, მე-10 მუხლში ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეობის შექმნა ხდება: დაბადებით, საქართველოს მოქალაქეობის მიღებით (ნატურალიზაცია) და საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებებით და ამ კანონით გათვალისწინებული სხვა საფუძვლებით.

კანონი, ზემოთ ჩამოთვლილ საფუძვლებთან ერთად, ითვალისწინებს მოქალაქეობის შექმნის ე. წ. „ნულოვან ვარიანტსაც“. კერძოდ, მე-3 მუხლის მიხედვით საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობდა საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისთვისაც. თუმცა, მხოლოდ ეს არ არის საკმარისი, არამედ, საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლება ის პირი, რომელიც ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღიდან სამი თვის ვადაში წერილობით არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე და 4 თვის განმავლობაში მიაკითხავს შინაგან საქმეთა ორგანოებს საცხოვრებელი ადგილის მიხედვით, სადაც მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს — საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობას, რაზედაც დამატებით არის მითითებული 44-ე მუხლში.

მე-3 მუხლის „ა“ პუნქტის შინაარსიდან გამომდინარეობს, რომ პირის საქართველოს მოქალაქედ ჩათვლისათვის თანაბრად აუცილებელია ორი პირობის შესრულება, კერძოდ, კანონის სამოქმედოდ შემოღების დღიდან სამი თვის განმავლობაში პირმა არ უნდა განაცხადოს წერილობითი უარი საქართველოს მოქალაქეობაზე და, ამასთან, ოთხი თვის ვადაში მიიღოს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტი. პრაქტიკაში შეიძლება მოხდეს, რომ საქართველოში ხუთი წლის მანძილზე მუდმივად მცხოვრებმა პირმა, რო-

1 იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 27 მარტი.

2 იქვე, 28-30 მარტი.

ბელიც კანონის ძალაში შესვლის მომენტისთვისაც მუდმივად ცხოვრობს ჩვენს რესპუბლიკაში, მითითებული სამი თვის ვადაში წერილობით უარი არ განაცხადოს საქართველოს მოქალაქეობაზე, მაგრამ არც იმაზე იზრუნოს, რომ დაწესებულ 4-თვიან ვადაში აიღოს საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა. ვფიქრობთ, მე-3 მუხლის „ა“ პუნქტს ესაჭიროება განმარტება, კერძოდ, თუ პირი სამი თვის ვადაში არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე, იგი ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ. ხოლო პირი, რომელიც ჩაითვლება საქართველოს მოქალაქედ და კანონის სამოქმედოდ შემოღების დღიდან ოთხი თვის ვადაში არასაპატიო მიზეზით არ აიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს, საქართველოს რესპუბლიკის მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად მიეცემა ადმინისტრაციულ პასუხისგებაში. ამით განისაზღვრება, რომ საქართველოს მოქალაქედ ჩათვლება ის პირი, რომელიც მუდმივად ცხოვრობს საქართველოში არანაკლებ ხუთი წლისა და ცხოვრობს ამ კანონის სამოქმედოდ შემოღების დღისთვისაც თუ იგი სამი თვის ვადაში არ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე. ამის შემდეგ საქართველოს მოქალაქეზე, როგორც ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 185-ე მუხლის სუბიექტზე, შესაძლებელი იქნება დადგენილი პასუხისმგებლობის დაკისრებაც, რათა უზრუნველყოფილი იქნეს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების აღებისათვის დაწესებული ოთხთვიანი ვადის დაცვა, მაგრამ, ვინაიდან საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობები და პასპორტები მზადდება საზღვარგარეთ და მთელი ტირაჟის შემოტანა საკმაოდ გაჭიანურდა, შესაძლოა დადგეს ოთხთვიანი ვადის გაზრდის აუცილებლობა.

ნატურალიზაცია, ე. ი. საქართველოს მოქალაქედ მიღება გათვალისწინებულია კანონის 26-ე მუხლით, რომლის ძალითაც საქართველოს მოქალაქედ მიიღება სრულწლოვანი უცხოელი მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი, რომელიც აკმაყოფილებს ამ მუხლში მოცემულ ოთხ მოთხოვნას. მათგან პირველია საქართველოს ტერიტორიაზე უკანასკნელი ათი წლის მანძილზე მუდმივად ცხოვრების აუცილებლობა. ეს პირობა როგორც ქვემოთ დავინახავთ, გარკვეულწილად განაპირობებს დანარჩენი სამი მოთხოვნის დაცვასაც. ეს მოთხოვნები მდგომარეობს იმაში, რომ მოქალაქეობის მსურველი უნდა ფლობდეს ქართულ ან აფხაზურ ენას, ასევე უნდა იცოდეს საქართველოს ისტორია, კანონმდებლობა და საქართველოს რესპუბლიკაში უნდა ჰქონდეს სამუშაო ადგილი ან რაიმე უძრავი ქონება.

როგორც ჩანს, საქართველოს მოქალაქედ მიღებისათვის საქართველოში მუდმივად ცხოვრების ათწლიანი ცენზის დაწესება უპირველესი და აუცილებელი პირობაა, რომელსაც უნდა აკმაყოფილებდეს საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველი. ჩვენს ქვეყანაში ათი წლის ცხოვრების პერიოდში განებისმიერი პირისათვის შესაძლებელი გახდება როგორც სახელმწიფო ენის შესწავლა, ისე მის ისტორიასა და კანონმდებლობასთან გაცნობა და, თუ უძრავი ქონების შეძენის არა, სამუშაო ადგილის შოვნის შესაძლებლობაც მატულობს.

ამავე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით საქართველოს მოქალაქეობის მიღების მსურველი არ უნდა იყოს ნასამართლევი ისეთი განზრახვი დანაშაულისათვის, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას სამ წელზე მეტი ვადით, ხოლო თუ პირს ასეთი ნასამართლობა მოხსნილი ან გაქარწყლებული აქვს, ეს უკანასკნელი ადარ ჩაითვლება დამაბრკოლებელ გარემოებად.

მას შემდეგ, რაც დადასტურდება, რომ საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველი პირი აკმაყოფილებს 26-ე მუხლის პირველ და მეორე ნაწილებში მოცემულ მოთხოვნებს, ამ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, მან ხელი უნდა

მოაწეროს საქართველოს მოქალაქის დეკლარაციას, რის შემდეგაც იგი ჩვენი ქვეყნის მოქალაქედ მიღებულად ჩაითვლება და მიიღებს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტს.

საქართველოს მოქალაქის დეკლარაციის ტექსტი, რომელიც თავისი დადგენილებით დამატეხიდა საქართველოს პარლამენტმა, 1993 წლის 27 მარტს, „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონთან ერთად გამოქვეყნდა პრესაში. ეს დეკლარაცია და კანონის 26-ე მუხლი აშკარად კოლიზიური არიან. საქმის არის, რომ 26-ე მუხლის „ბ“ პუნქტით საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველს მოეთხოვება დადგენილ ფარგლებში იცოდეს ქართული ან აფხაზური ენა, ხოლო დეკლარაციის ძალით კი აღნიშნულმა პირმა სახელმწიფო ენად უნდა აღიაროს ქართული ენა. წინააღმდეგობა აშკარაა — თუ პირმა იცის მხოლოდ აფხაზური ენა, კანონით მას უფლება აქვს მიიღოს საქართველოს მოქალაქეობა, მაგრამ, გაუგებარია, რომელ ენაზე გაეცნობა და მოაწერს ხელს იგი მოქალაქის დეკლარაციას. იმის გათვალისწინებით, რომ საქართველოს მოქალაქედ მიღების მსურველმა სახელმწიფო ენად უნდა ცნოს ქართული, ცხადია, საქართველოს მოქალაქის დეკლარაციასაც ქართულ ენაზე უნდა გაეცნოს და მოაწეროს ხელი. ამდენად, 26-ე მუხლის „ბ“ პუნქტში აფხაზურ ენაზე მითითება საერთოდ ზედმეტია, მითუმეტეს, რომ სახელმწიფო ენად ქართული ენა აღიარებული.

აღსანიშნავია, რომ კანონი „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ იცნობს ნატურალიზაციის გაიოლებულ პროცედურასაც, რომელიც მოცემულია 27-ე და 28-ე მუხლებში. 27-ე მუხლის თანახმად, საქართველოს მეთაურს, გამონაკლისის სახით, 26-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული პირობების შეუსრულებლად შეუძლია საქართველოს მოქალაქედ მიიღოს პირი, თუ ამ უკანასკნელს კაცობრიობის და საქართველოს წინაშე მიუძღვის განსაკუთრებული დამსახურება თავისი სამეცნიერო თუ საზოგადოებრივი საქმიანობით ან აქვს ისეთი პროფესია და კვალიფიკაცია, რომელიც საჭიროა საქართველოს რესპუბლიკისათვის, ან თუ ასეთი პირის საქართველოს მოქალაქედ მიღება გამომდინარეობს ჩვენი ქვეყნის სახელმწიფო ინტერესებიდან<sup>3</sup>.

კანონის 28-ე მუხლში აღნიშნულია საქართველოს მოქალაქეზე დაქორწინებული პირის საქართველოს მოქალაქედ მიღების შესახებ. ასეთი პირის საქართველოს მოქალაქედ მიღებისათვის საკმარისია იგი ჩვენს ქვეყანაში მუდმივად ცხოვრობდეს უკანასკნელი 3 წლის მანძილზე (რა თქმა უნდა მეუღლესთან ერთად, რომელიც საქართველოს მოქალაქეა) და აკმაყოფილებდეს 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და მეორე ნაწილის მოთხოვნებს. როგორც ვხედავთ, აქაც ადგილი აქვს ნატურალიზაციის პირობების გაიოლებას, კერძოდ, საქართველოში აუცილებელი ცხოვრების ვადა შემცირებულია 3 წლამდე და მოხსნილია საქართველოში სამუშაო ადგილის ან რაიმე უძრავი ქონების ფლობის აუცილებლობაც.

კანონი აღიარებს მოქალაქეობის შექმნის როგორც „სისხლის“, ისე „ტერიტორიის“ პრინციპებს. მაგალითად, ბავშვი, რომლის ორივე მშობელი მისა დაბადების მომენტისათვის საქართველოს მოქალაქეა, ითვლება საქართველოს მოქალაქედ, მიუხედავად დაბადების ადგილისა (მუხ. 11). ასეთივე წესია მაშინაც, როცა ბავშვის ერთ-ერთი მშობელი საქართველოს მოქალაქეა, ხოლო მეორე — მოქალაქეობის არმქონე ან უცნობია (მუხ. 12-ის I ნაწ. პ. „გ“).

3 იხ. საქართველოს რესპუბლიკის 1992 წლის 6 ნოემბრის კანონი „სახელმწიფო ხელისუფლების შესახებ“ (მუხ. მე-17, პ. 18), გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1992 წლის 10 ნოემბერი.

ანალოგიურად წყდება ბავშვის მოქალაქეობის საკითხი, თუ ამ უკანასკნელის მამად მიჩნეულია საქართველოს მოქალაქე, დედა კი — მოქალაქეობის არმქონედ (მუხ. 12, ნ. 3).

რაც შეეხება ტერიტორიის პრინციპს, მის თანახმად საქართველოს მოქალაქედ ჩაითვლებიან ბავშვები, რომლებიც დაიბადნენ საქართველოს ტერიტორიაზე და რომელთა მშობლებიც საქართველოში მუდმივად მცხოვრები მოქალაქეობის არმქონე პირები არიან, ასევე — საქართველოს ტერიტორიაზე ნაპოვნი ბავშვები, რომელთა მშობლების ვინაობაც დაუდგენელია (შესაბამისად მე-13 და მე-15 მუხლები).

ნიშანდობლივია ისიც, რომ კანონი, ეყრდნობა დემოკრატიულობისა და ჰუმანურობის პრინციპებს და უშვებს შესაძლებლობას სრულწლოვანების მიღწევისას პირმა თავისი ნებით აირჩიოს მოქალაქეობა, თუ მისი მშობლები სხვადასხვა მოქალაქეობის მატარებელი არიან. ეს მოვლენა ოპტაციის სახელითაა ცნობილი თანამედროვე საერთაშორისო სამართალში და გათვალისწინებულია კანონის მე-19 მუხლით.

კანონის 31-ე მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეს შეუძლია უარი თქვას მოქალაქეობაზე, თუმცა ამ მუხლის მეორე ნაწილში გათვალისწინებულია საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე უარის თქმის შესაძლებლობაც კერძოდ, „საქართველოს მოქალაქეს შეიძლება უარი ეთქვას საქართველოს მოქალაქეობიდან გასვლაზე სახელმწიფოს წინაშე შეუსრულებელი მოვალეობის, სამხედრო ვალდებულების მოუხდელობის ან ქონებრივ ვალდებულებათა არსებობისას, რომლებიც დაკავშირებულია მოქალაქეთა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი ორგანიზაციების არსებით ინტერესებთან“.

საფურადღებოა 31-ე მუხლის მესამე ნაწილი, სადაც ნათქვამია, რომ საქართველოს მოქალაქეობიდან ვერ გავა პირი, რომელიც მიცემულია სისხლის სამართლის პასუხისგებაში ან რომლის მიმართაც გამოტანილია კანონიერ ძალაში შესული განაჩენი, რომელიც აღსრულებას ექვემდებარება.

საქართველოს მოქალაქეობა შეიძლება შეწყდეს მოქალაქეობის დაკარგვის გზითაც. კანონის 32-ე მუხლი ზუსტად განსაზღვრავს შემთხვევებს, როცა შეიძლება ადგილი ჰქონდეს მოქალაქეობის დაკარგვას. თუ საქართველოს მოქალაქე „რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების ნებართვის გარეშე შევა უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის ორგანოებში და მმართველობის სხვა ორგანოებში ან სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში“, იგი დაკარგავს საქართველოს მოქალაქეობას. საზღვარგარეთ მუდმივად მცხოვრები საქართველოს მოქალაქე კი ვალდებულია ორი წლის განმავლობაში დადგეს საკონსულო აღრიცხვაზე იმ ქვეყანაში, სადაც მუდმივად ცხოვრობს, ხოლო არასაპატიო მიზეზით ამ ვადის გაშვება გამოიწვევს მოქალაქეობის დაკარგვას. ამასთან, საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვას საფუძვლად შეიძლება დაედოს როგორც ყალბი დოკუმენტების წარდგენის გზით საქართველოს მოქალაქეობის შექმნა, ისე სხვა ქვეყნის მოქალაქეობის მიღებაც. მაგრამ კანონი არ განმარტავს თუ რომელი ორგანოების კომპეტენციაში შევა საქართველოს მოქალაქისათვის უცხო ქვეყნის სამხედრო სამსახურში, პოლიციაში, იუსტიციის, მმართველობისა თუ ხელისუფლების სხვა ორგანოებში მუშაობაზე უფლების მიცემა. ამასთან, კანონის 33-ე მუხლში ნათქვამია, რომ სახელმწიფოს მეთაური იღებს გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქეობის დაკარგვაზე. აქედან გამომდინარე, მასვე უნდა ჰქონდეს უფლება, ნება დართოს საქართველოს მოქალაქეს შევიდეს სხვა ქვეყნის სამსახურში.

კანონი არამართო ნებას აძლევს საქართველოს მოქალაქეს უარი თქვას ჩვენი ქვეყნის მოქალაქეობაზე, არამედ ითვალისწინებს მისი აღდგენის შესაძლებლობასაც. 29-ე მუხლის თანახმად, პირს საქართველოს მოქალაქეობა ვი-ველგვარი პირობების დაცვის გარეშე დაუყოვნებლივ აღუდგება მისი არამართლობიერად დაკარგვის შემთხვევაში, ხოლო, თუ პირი მოქალაქეობიდან თავისი ნებით გავიდა ან მოქალაქეობა შეუწყდა მშობლების არჩევანის შედეგად საქართველოს მოქალაქეობის აღდგენის თაობაზე განცხადების შეტანის მომენ-ტისათვის იგი მუდმივად უნდა ცხოვრობდეს საქართველოში და აკმაყოფილებ-დეს ამ კანონის 26-ე მუხლის პირველი ნაწილის „ბ“ და „გ“ პუნქტებისა და მეორე ნაწილის მოთხოვნებს.

33-ე მუხლის ძალით გადაწყვეტილებას საქართველოს მოქალაქედ მიღე-ბის, მოქალაქეობის აღდგენის, მოქალაქეობიდან გასვლისა და მისი დაკარგვის თაობაზე ერთპიროვნულად იღებს საქართველოს სახელმწიფოს მეთაური, რომე-ლიც აღნიშნულ საკითხებზე განცხადებებისა და წარდგინებების დაკმაყოფილე-ბის შემთხვევაში გამოსცემს ბრძანებულებას, ხოლო უარყოფითი გადაწყვეტი-ლების მიღების შემთხვევაში გამოსცემს განკარგულებას, რომელიც შეიძლე-ბასაჩივრდეს საქართველოს რესპუბლიკის უზენაეს სასამართლოში. რაც შეეხებ-ს სხვა თანამდებობის პირთა პასუხისმგებლობის საკითხს, იგი გადაწყდება მოქ-მედი კანონმდებლობის საფუძველზე (შესაბამისად 37-ე და 42-ე მუხლები).

კანონის თანახმად 14 წლამდე ასაკის პირთა მოქალაქეობის საკითხთან და-კავშირებით შუამდგომლობები შეაქვთ მათ კანონიერ წარმომადგენლებს. მაგრამ არაქმედუნარიანთა წრე მხოლოდ ამით როდი შემოიფარგლება, არამედ მასში შედიან ის პირებიც, რომლებიც სულიერი თუ ფიზიკური დაავადების გამო სასამართლომ ცნო არაქმედუნარიანებად და დაენიშნათ მეურვე. დასახელებულ პირთა მოქალაქეობის საკითხთან დაკავშირებითაც საჭიროა მათი კანონიერი წარმომადგენლების შუამდგომლობათა არსებობა<sup>4</sup>. მიუხედავად ასეთი ხარვეზი-სა, ვფიქრობთ, მიზანშეწონილი იქნებოდა მიგვეჩინია, რომ 42-ე მუხლის მეორე ნაწილის მოთხოვნა ვრცელდება ყველა არაქმედუნარიანი პირის მიმართ. ამას-თან, მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს შეზღუდული (ე. ი. ნაწილობრივ) ქმედუნარიანი პირების არსებობაც. გამორიცხული არ არის, რომ რაიმე საპატიო მიზეზით, ასეთმა პირმაც პირადად ვერ მოახერხოს განცხადების შეტანა. ამ დროს მოქალაქეობის საკითხზე შუამდგომლობა, შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის თანხმობით, უნდა შეიტანოს მისმა კანონიერმა წარმომადგენელმა.

არაქმედუნარიან პირებზე საუბრისას არ შეიძლება გვერდი ავუაროთ კა-ნონის 23-ე მუხლს, რომლითაც არაქმედუნარიანი პირის მოქალაქეობა ცალსა-ხად განისაზღვრება მხოლოდ მეურვის მოქალაქეობის შესაბამისად და რაიმე გამონაკლისი დაშვებული არ არის. ვფიქრობთ, ამ მუხლში საუბარია მხოლოდ იმ სრულწლოვან პირებზე, რომლებიც სასამართლომ ცნო არაქმედუნარიანებად და აქ არ იგულისხმებიან არასრულწლოვანები, ვინაიდან მათი მოქალაქეობის საკითხი, როცა ამ უკანასკნელებზე დაწესებულია მეურვეობა, გადაწყდება 22-ე მუხლის შესაბამისად. რაც შეეხება სასამართლოს მიერ არაქმედუნარიანად ცნო ბილი პირის მოქალაქეობის განსაზღვრას მხოლოდ მეურვის მოქალაქეობით, არასწორია. ხომ შეიძლება, რომ საქართველოს არაქმედუნარიან მოქალაქეს მეურვედ დაენიშნოს უცხო ქვეყნის მოქალაქე ან მოქალაქეობის არმქონე პირი. პირველ შემთხვევაში არაქმედუნარიანი პირი კარგავს საქართველოს მოქალაქე-

<sup>4</sup> იხ. „საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი“, მუხლი 15.



ობას, რადგან, კანონის თანახმად, იგი უნდა გახდეს უცხო ქვეყნის მოქალაქე, რაც ძალიან წააგავს მოქალაქეობის იძულებით შეცვლას. სახელმწიფოს კი არა აქვს მორალური უფლება, უარი თქვას თავისი არაქმედუნარიანი მოქალაქის სამართლებრივ დაცვაზე და გადასცეს იგი უცხო სახელმწიფოს. ამასთან, ვინ მოგვცემს იმის გარანტიას, რომ სახელმწიფო, რომლის მოქალაქეც არის მეურვე, ისურვებს ნატურალიზაციისათვის აუცილებელი პირობების დაუცველად, დაუყოვნებლივ მიიღოს თავის მოქალაქეობაში საქართველოს არაქმედუნარიანი მოქალაქე. გამოდის, რომ პირი, თუნდაც გარკვეული დროით, რჩება აპატრიად. ასევე მოხდება მეორე შემთხვევაშიც, რაც ჩვენი აზრით, მიუღებელია, მიო უმეტეს, რომ საერთაშორისო პრაქტიკაში მყარადაა დამკვიდრებული აპატრიზმის, როგორც იურიდიული ანომალიის აღმოფხვრის ტენდენცია.

საინტერესოა, რომ კანონმდებელი არ გამოიციხავს არაქმედუნარიანი პირის მოქალაქეობის საკითხზე დავის წარმოშობისა და მისი სასამართლოს წესით გადაჭრის შესაძლებლობასაც. კერძოდ, 24-ე მუხლის შინაარსიდან გამომდინარე შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ დავა არაქმედუნარიანი პირის მოქალაქეობის საკითხზე განიხილება და შესაბამისად გადაწყდება ამ უკანასკნელის ინტერესებიდან გამომდინარე. ე. ი. შესაძლებელია არაქმედუნარიანი პირის მოქალაქეობის საკითხი გადაწყდეს არა ისე, როგორც 23-ე მუხლშია მითითებული, არამედ სხვაგვარადაც.

მივედით იმ დასკვნამდე, რომ 23-ე მუხლის მოცემული ფორმულირება მიზანშეუწონელია. ვფიქრობთ, უმჯობესია იგი ჩამოყალიბდეს ასე: „არაქმედუნარიანი პირის მოქალაქეობა შეიძლება შეიცვალოს მეურვის შუამდგომლობით არაქმედუნარიანი პირის ინტერესებიდან გამომდინარე“. ამრიგად, დადგინდებოდა, რომ პირი არაქმედუნარიანად ცნობის შემდეგაც შეინარჩუნებდა პირვანდელ მოქალაქეობას, ხოლო მისთვის მოქალაქეობის შეცვლა დაიშვებოდა, თუ ეს უფრო ხელსაყრელი იქნებოდა მისთვის.

43-ე მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტად ითვლება საქართველოს მოქალაქის პირადობის მოწმობა და საქართველოს მოქალაქის პასპორტი. აღნიშნული დოკუმენტები გაიცემა 16 წელს მიღწეულ მოქალაქეზე, ხოლო 16 წლამდე ბავშვების მოქალაქეობის დადასტურება მოხდება მათი დაბადების მოწმობებით ან მშობლების მოქალაქეობის მოწმობით და პასპორტით, ხოლო თუ ბავშვის მშობლები უცნობია — მხოლოდ დაბადების მოწმობით.

საქართველს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს ჩვენს ქვეყანაში მცხოვრებ მოქალაქეებზე გასცემენ შინაგან საქმეთა ორგანოები, ხოლო უცხოეთში მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებზე პასპორტებს გასცემენ საქართველოს რესპუბლიკის შესაბამისი დიპლომატიური წარმომადგენლობები ან საკონსულო დაწესებულებები. საინტერესოა, რომ ჯერ კიდევ კანონპროექტის შემუშავების პერიოდში იურისტების ერთ ნაწილს მიაჩნდა, რომ მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების (გარდა დიპლომატიური და სამსახურებრივი პასპორტებისა) გაცემა უნდა მომხდარიყო იუსტიციის სამინისტროში. საქმე ის არის, რომ კანონის მიხედვით საქართველოს მოქალაქეობასთან დაკავშირებულ თითქმის ყველა საკითხზე (ნატურალიზაცია, ოპტაცია და სხვ.), გარდა მოქალაქეობის შექმნის ნულოვანი ვარიანტისა, განცხადებებს, შუამდგომლობებს და წარდგინებებს განიხილავს და მასალებს ამზადებს საქართველოს რესპუბლი-



კის იუსტიციის სამინისტრო. საკითხის დადებითად გადაწყვეტის შემთხვევაში, პირი იძულებული ხდება მიმართოს შინაგან საქმეთა სამინისტროს, სადაც ხელახლა უნდა შეიტანოს და შეავსოს სხვადასხვა საბუთი მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტის მისაღებად, რაც გარკვეულ უხერხულობებს ქმნის. მითუმეტეს, რომ მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტისათვის მრავალ აუცილებელ ცნობას დღეისათვის გასცემენ იუსტიციის სამინისტროს სისტემაში შემავალი ორგანოები. აქვე ხდება საქართველოს მოქალაქის გვარისა თუ სახელის შეცვლა. ამიტომ საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელი დოკუმენტების გაცემა იუსტიციის სამინისტროს ორგანოების მიერ საგრძნობლად გაამარტივებდა როგორც მოქალაქეობის საკითხთა განხილვისა და საბოლოოდ გადაწყვეტის, ისე დასახელებული დოკუმენტების გაცემის პროცედურასაც. სამწუხაროდ, ეს წინადადება არ გაიზიარეს<sup>5</sup>.

აღსანიშნავია, რომ „საქართველოს მოქალაქეობის შესახებ“ კანონი ითვალისწინებს ამავე კანონის მე-3 მუხლში მითითებული ვადების აღდგენის შესაძლებლობასაც, კერძოდ, თუ პირი საპატიო მიზეზით სამთვიან ვადაში ვერ განაცხადებს უარს საქართველოს მოქალაქეობაზე ან ოთხვიან ვადაში ვერ მიიღებს საქართველოს მოქალაქეობის დამადასტურებელ დოკუმენტებს, გაშვებული ვადა შეიძლება აღუდგეს საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით (მუხ. 45).

ეს კანონი, სხვა კანონებთან ერთად, აღიარებს, საერთაშორისო აქტების უპირატესობას ქვეყანაში მოქმედ აქტებთან შედარებით. კერძოდ, 46-ე მუხლის თანახმად საქართველოს მოქალაქეობის საკითხების გადაწყვეტისას, ამ კანონთან ერთად გამოიყენება საქართველოს რესპუბლიკის საერთაშორისო ხელშეკრულებები, ხოლო კანონსა და საერთაშორისო ხელშეკრულებებს შორის კოლიზიის შემთხვევაში მოქმედებენ ამ უკანასკნელის ნორმები, რაც სწორედ ჩვენი ქვეყნის კანონმდებლობის დემოკრატიულობაზე მიუთითებს. საერთოდ, მოქალაქეობის შესახებ საქართველოს რესპუბლიკის კანონი ყველაზე დემოკრატიულია ყოფილ საბჭოთა კავშირის ქვეყნებში მიღებულ კანონთა შორის.

<sup>5</sup> იხ. გაზ. „საქართველოს რესპუბლიკა“, 1993 წლის 24 თებერვალი.

## ეკონომიკური და სოციალური კანონმდებლობის შეფუთვა

ვალდებულებითი სამართლის რთულ პრობლემებს შორის ერთერთი უმთავრესია ახალი სამეურნეო კანონმდებლობის შექმნა მშენებლობის დარგში.

წინამდებარე წერილში შევხვდებით მშენებლობის სფეროში სამეურნეო კანონმდებლობის მხოლოდ ძირითად საკითხებს.

საქართველოს რესპუბლიკაში მშენებლობის სამართლებრივი რეგულირების კონცეფციის შემუშავებისათვის, ჩვენი აზრით, აუცილებელია გამოვიყენოთ როგორც ჩვენი რესპუბლიკის, ისე კაპიტალისტური ქვეყნების საკანონმდებლო პრაქტიკა, რადგან მათ საბაზრო ეკონომიკის პირობებში საინვესტიციო პროცესის სამართლებრივი რეგულირების საქმეში მდიდარი გამოცდილება აქვთ.

მშენებლობის ხელშეკრულება თავისი ბუნებით, მართალია, იგივე ნარდობის ხელშეკრულებაა, მაგრამ მისი თავისებურებანი შესაძლებლობას იძლევიან გამოვიყენოთ იგი როგორც დამოუკიდებელი კატეგორია.

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, ისევე როგორც ყოფილი საბჭოთა კავშირის სხვა რესპუბლიკების კოდექსები, კაპიტალისტური ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებისაგან განსხვავებით, შეიცავს დამოუკიდებელ თავს „ნარდობა კაპიტალურ მშენებლობაში“ (თ. 30), რომელიც შედგება 6 მუხლისაგან.

საზღვარგარეთის ქვეყნების სამოქალაქო კოდექსებში გვხვდება ცალკეული მუხლები, რომლებიც ეძღვნება ნარდობას მშენებლობაში, მაგრამ ისინი მეტად მცირერიცხოვანნი არიან. რაც შეეხება სხვა მუხლებს, რომლებიც არეგულირებენ სამშენებლო ურთიერთობებს, ისინი ეკუთვნიან საკუთრებითი სამართლის ინსტიტუტს, დასახლებული პუნქტების განაშენიანებას და ა. შ. ნორმატიული აქტები, რომლებიც უშუალოდ მოაწესრიგებდნენ სამშენებლო ნარდობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, უმრავლეს სახელმწიფოში არ გვხვდება. ინგლისური სამართლის სისტემაში შემავალი ქვეყნების სასამართლო პრაქტიკა აღნიშნულ ხელშეკრულებას მთავრად ნარდობის ხელშეკრულებას, ხოლო კანონმდებლობა არეგულირებს სამშენებლო ნარდობის მხოლოდ ზოგიერთ ასპექტს.

დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ განვითარებული საბაზრო ურთიერთობების კანონი დეტალურად არ არეგულირებს სამშენებლო ნარდობის ხელშეკრულებას, ეს ურთიერთობები ფაქტობრივად რეგულირდება ხელშეკრულების მხარეთა მიერ და ხშირად ტრანსფორმირდება ფორმალურ სამართალში, რომელიც ფაქტიურად სამართლად არც ითვლება.

სამშენებლო ნარდობის ურთიერთობათა რეგულირების აღნიშნული ფორმა დამახასიათებელია როგორც საერთო, ისე რომანო-გერმანული სამართლისათვის, ამასთან, ეს არ ნიშნავს, რომ მშენებლობის სფეროში არსებობს სახელშეკრულებო პირობების ფორმირების განუსაზღვრელი თავისუფლება.

საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსში გვხვდება სპეციალური ნორმები, რომლებიც არეგულირებენ ნარდობას მშენებლობაში (საფრანგეთის სამოქალაქო სამართლის კოდექსი, თ. III, „შრომისა და მომსახურების დაქირავების შესახებ“ და თ. IV, „ხანდაზმულობის დროის შესახებ“) მაგალითად, საფრანგეთის ამ კოდექსის 1792 მუხლის თანახმად, „ნაგებობის ყველა მშენებელი კანონის ძალით პასუხს აგებს ზიანის მიყენებაზე, ასევე გრუნტის უკმარისობაზე, რომელიც საფრთხის ქვეშ აყენებს ნაგებობის ვარგისიანობას, ან რომელიც ეხება მის ერთ-ერთ არსებით ელემენტს, ან მისი მოწყობილობის ერთ-ერთ ელემენტს და ხელს უშლის ამ ნაგებობის გამოყენებას დანიშნულებისამებრ“. ამასთან, ამ კოდექსის საზღვრებს იქით, კერძო სამართლის სფეროში წყაროდ გვევლინება „სამშენებლო სამუშაოთა საერთო პირობები“, რომელიც დამუშავებულია სტანდარტიზაციის ფრანგული ასოციაციის მიერ.

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსში არ მოიხსენიება მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულებანი. სამშენებლო ნარდობის დროს გამოიყენება ვალდებულებითი სამართლის ზოგადი დებულებანი, აგრეთვე ნარდობის ხელშეკრულების ნორმები. ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი რეგულირების ძირითადი წყარო არის ე. წ. „სახელშეკრულებო პირობები“, რომელიც შემუშავებულია სპეციალიზირებული პროფესიული ორგანიზაციების მიერ.

ინგლისში, (არაკოდიფიცირებული სამართლის ქვეყანაში), სადაც სამართლის ძირითადი წყაროა სასამართლო პრეცედენტი, კიდევ უფრო დიდ როლს თამაშობს მშენებლობის ხელშეკრულებათა ფორმულარები, მაგალითად, სამოქალაქო ინჟინრების ინსტიტუტის მიერ შემუშავებული და სამოქალაქო ინჟინერინგის ხელშეკრულების დასადებად განკუთვნილი პირობები სხვადასხვა ქვეყნების სპეციალისტების მიერ აღიარებულია როგორც ერთ-ერთი ყველაზე უფრო საუკეთესო პირობები მსოფლიო სამშენებლო პრაქტიკაში.

აშშ საპრეცედენტო სამართლის ქვეყანაა, მაგრამ აქეთ სახელშეკრულებო სამართლის კრებული (კერძო კოდიფიკაცია), თუმცა, მასში არ არის დებულებები მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულების შესახებ. ერთიანი სამშენებლო კოდექსი და ცალკეული შტატების კოდექსები ძირითადად შეიცავენ ტექნიკურ ნორმებს, ისევე როგორც ყოფილი სსრ კავშირის სამშენებლო ნორმები და წესები.

მშენებლობაში ნარდობის რეგლამენტაცია, ისე როგორც ტრადიციულა საბაზრო ეკონომიკის სხვა ქვეყნებში, ხორციელდება სამშენებლო ფორმულარების გამოცემით, რომლებშიც გათვალისწინებულია მშენებლობის ნარდობის ხელშეკრულების ძირითადი პირობები. აშშ-ში სამშენებლო ხელშეკრულების პრაქტიკისათვის დამახასიათებელია ის, რომ მასში საკმაოდ სრულად არის ასახული კონტრაგენტების უფლებანი და მოვალეობანი.

საერთაშორისო სამშენებლო პრაქტიკაში ყველაზე მეტად ცნობილია კონტრაქტის ტიპობრივი ფორმა, რომელსაც ეწოდება „მშენებლობის ხელშეკრულების პირობები“ (საერთაშორისო). იგი შემუშავებულია ინჟინერთა საერთაშორისო ფედერაციის მიერ.

სამშენებლო ნარდობის სფეროში სამეურნეო კანონმდებლობის შემუშავებისას, უწინარესად, საჭიროა ტრადიციული საბაზრო ეკონომიკის საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილების გამოყენება. ამასთან, მიგვაჩნია, რომ საქართველოს რესპუბლიკისათვის ყველაზე მეტად საინტერესოა გერმანიის სამეურნეო კანონმდებლობა, მაგრამ ისიც გაუმართლებელია, რომ უარყოთ საქართველოში



ათული წლების მანძილზე მშენებლობაში ნარდობის შესახებ კანონმდებლობის პრაქტიკა.

ცხადია, საკუთრალე სტატიაში შეუძლებელია პრობლემის დეტალური განხილვა, ამიტომ ამჯერად შევეცდები კონცეპტუალურად წარმოვადგინო მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულების კოდიფიკაციის საფუძვლები.

საქართველოს რესპუბლიკის მომავალ სამოქალაქო სამართლის კოდექსში, ჩვენი აზრით, აუცილებელია ცალკე თავად გამოიყოს მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულება, იგი უნდა შეიცავდეს ძირითად დებულებებს.

რადგან მშენებლობის ნარდობის ინსტიტუტი კომპლექსურია, სამოქალაქო სამართლის კოდექსის სპეციალური თავის ნორმებთან ერთად, სამშენებლო ურთიერთობებში უნდა გამოვიყენოთ სამეურნეო კანონმდებლობის სპეციალური საკანონმდებლო აქტი. ასეთი აქტი, ჩვენი აზრით, უნდა იყოს საქართველოს რესპუბლიკის კანონი მშენებლობის შესახებ. ამგვარა წინადადება უფრო ადრეც წამოაყენა ამ სტატიის ავტორმა, თუმცა, ანალოგიური კანონები მოქმედებენ ტრადიციულ საბაზრო ეკონომიკის ქვეყნებშიც. მაგალითად, გერმანიაში 1984 წელს მიიღეს „ფედერალური სამშენებლო კანონი“.

საინვესტიციო პროცესისა და ნარდობის ხელშეკრულების სპეციფიკიდან გამომდინარე არ შეიძლება ხელშეკრულების მონაწილეთა ნებაზე მიშვება ხელშეკრულების პირობების ფორმირებაში. ამიტომ, აუცილებელია შემუშავდეს სპეციალური ნორმატიული აქტი, რომელიც მოაწესრიგებს მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულების კონტრაგენტთა უფლება-მოვალეობებს, რაც უნდა დამტკიცდეს საქართველოს რესპუბლიკის მანისტრთა კაბინეტის დონეზე.

ამ სამართლებრივი აქტის დამუშავებისას, ჩვენი აზრით, აუცილებელია გამოვიყენოთ გერმანიის პრაქტიკა. ყველაზე მეტად ცნობილია ტიპობრივი „VOB პირობები“, რომლებიც ავსებენ კანონმდებლობის ხარვეზებს და არსებითად ავითარებენ სამართალს. ამასთან, სამეურნეო კანონმდებლობის ზოგადი დებულებებიდან ტიპობრივი ხელშეკრულებებისათვის დამახასიათებელია კერძო მითითებანი. ასევე უნდა აღინიშნოს, რომ გერმანიისა და საქართველოს რესპუბლიკის სამეურნეო კანონმდებლობათა დაახლოება საფუძველს ჩაუყრის ამ ორი ქვეყნის ეკონომიკური ურთიერთთანამშრომლობის გაფართოებასაც.

მშენებლობის სფეროში სამეურნეო კანონმდებლობის აქტების შემუშავებისას არ უნდა გავიმეოროთ წარსულის შეცდომები. ყოფილი საბჭოთა კავშირის მშენებლობის კანონმდებლობის 12-ტომეული ხელმიუწვდომელი იყო არა მარტო პრაქტიკული მუშაკებისათვის, არამედ სპეციალისტებისათვისაც. ამიტომ მიგვაჩნია, რომ უნდა შემოვიფარგლოთ მხოლოდ იმ სამართლებრივი წყაროებით, რომელიც ჩამოთვლილია ზევით. რაც შეეხება ტექნიკურ ნორმებს და წესებს, მათ არ უნდა მიეკუთვნოთ სამართლებრივი ხასიათი. ტექნიკური ნორმების და წესების კრებულების გამოცემა ხელს შეუწყობს მშენებლობის და წარმოების ტექნოლოგიის ხარისხის ამაღლებასა და სრულყოფას.

სამეურნეო მექანიზმის კონცეფცია, საინვესტიციო კომპლექსის გადასვლა ბაზარზე, უნდა შეიცავდეს შემდეგ ძირითად დებულებებს: უწინარესად, კანონმდებლობამ უნდა მოიცვას მშენებლობაში ნარდობის ხელშეკრულების ზუსტი განსაზღვრება როგორც სამეურნეო ხელშეკრულებისა, რომლის მიხედვითაც მენარდე კისრულობს ააშენოს და ჩააბაროს შემკვეთს ხელშეკრულების ობიექტი, ხოლო შემკვეთი ვალდებულია მენარდეს გამოუყოს სამშენებლო მოედანი ან უზრუნველყოს სამუშაოთა ფრონტი, მიიღოს შესრულებული სამუშაო და აანაზღაუროს იგი.

მშენებლობაზე ნარდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს მშენებლობის, კაპიტალური რემონტის, მოქმედ საწარმოთა ნაგებობათა და მოწყობალობათა რეკონსტრუქციის განხორციელებაზე, სამონტაჟო სამუშაოების შესრულებაზე რომლებიც დაკავშირებულია ობიექტის ადგილმდებარეობასთან.

ნარდობის ხელშეკრულება შეიძლება დაიდოს საკონკურსო ან მენარდეს და შემკვეთის შორის მოლაპარაკების საფუძველზე. მშენებლობის განხორციელებისათვის უნდა დაიდოს მშენებლობაზე ნარდობის შემდეგი ყველაზე მეტად გავრცელებული სახეები: ხელშეკრულება „გასაღების ჩაბარებით“, კომპლექსური ხელშეკრულება, პირდაპირი ცალკეული ხელშეკრულება.

მშენებლობაზე ნარდობის ხელშეკრულების სამუშაოთა განხორციელების როგორც წესი, უნდა უსწრებდეს შემდეგ ხელშეკრულებათა დადება: ხელშეკრულებები საპროექტო სამუშაოთა შესრულების შესახებ, ხელშეკრულებები საძიებო სამუშაოთა შესახებ (გეოლოგიური, გეოდეზიური, კარტოგრაფიული), ხელშეკრულებები სამცენიერო-ტექნიკური მიღწევების გადაცემის შესახებ. ეს დებულება უნდა აისახოს კანონმდებლობაში. კანონში უნდა განისაზღვროს საინვესტიციო პროცესის მონაწილეთა და პირველ რიგში, მენარდისა და შემკვეთის სამართლებრივი მდგომარეობა (სტატუსი).


საწარმოს ეკონომიკური სუვერენიტეტის პრინციპი რეალიზდება მენარდისა და შემკვეთის დამოუკიდებლობით, რომლებიც აყალიბებენ საწარმოო პროგრამას, ამუშავენ და ამტკიცებენ თავიანთი საქმიანობის ყველა ტექნიკურ-ეკონომიკურ მაჩვენებლებს. მენარდე დამოუკიდებლად დებს ხელშეკრულებას როგორც შემკვეთთან, ისე რესურსების მიმწოდებელთან, ბანკებთან, საპროექტო ორგანიზაციებთან და ა. შ.

მენარდის სამართლებრივი სტატუსის განსაზღვრისას უნდა გავითვალისწინოთ, რომ ამ უკანასკნელის სახით შეიძლება გამოვიდნენ სამშენებლო-სამონტაჟო, საპროექტო-სამშენებლო და სხვა ორგანიზაციები, ასევე ცალკეული იურიდიული და ფიზიკური პირები, რომელთაც კანონით მინიჭებული აქვთ მშენებლობის უფლება, ან შუამავალი ორგანიზაციები, რომლებიც კისრულობენ სამუშაოთა კოორდინაციის ფუნქციებს და აქვთ სამეწარმეო საქმიანობის უფლება.

კანონში უნდა დაფიქსირდეს მენარდის ძირითადი მოვალეობანი, რომლებიც მოიცავენ, შემკვეთის დავალების შესაბამისად, სამუშაოთა ზუსტ შესრულებას. სამუშაოთა წარმოებას საკუთარი რისკით. ხაზი უნდა გაესვას იმას, რომ მენარდემ სამუშაო განახორციელოს შემკვეთის კონტროლით.

ხელშეკრულებაში გათვალისწინებულ შემთხვევათა გარდა, მენარდეს უფლება არა აქვს სუბარენდით გადასცეს სამუშაოთა ნებისმიერი ნაწილი შემკვეთის წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე, რომელზეც არ უნდა ითქვას უარი დასაბუთებული საფუძვლის არსებობის გარდა. ასეთი თანხმობის მიღება მენარდეს არ ათავისუფლებს ხელშეკრულებითი პასუხისმგებლობისაგან. ამასთან, შემკვეთის წინაშე სუბმენარდის მოქმედების, შეცდომების, მისი ავენტების საქმიანობაზე პასუხისმგებლობა აკისრია მენარდეს. ამ შემთხვევაში მენარდე შემკვეთის წინაშე გამოდის გენერალური მენარდის სახით, ზოლო სუბმენარდის წინაშე — შემკვეთის სახით.

ხელშეკრულება „გასაღების ჩაბარებით“ უნდა დაიდოს იმ შემთხვევაში, როცა მენარდე ასრულებს სამუშაოთა და მიწოდებათა კომპლექსს და კისრულობს ობიექტის მოწყობის პასუხისმგებლობას და ცვლის შემკვეთს მშენებლობაში მონაწილე სხვა პირთა მიმართებაში. სამუშაოს, მიწოდების და სხვა ვალდებულებების ნაწილი შეუძლია თავის თავზე აიღოს შემკვეთმა, მაგრამ პასუხის-



ბეზღობა „გასაღების ჩაბარებით“ ჩაბარების შესახებ აწევს მენარდეს, რომელმაც შემკვეთს უნდა ჩააბაროს ხელშეკრულების პირობების, სპეციფიკაციებისა და გარანტიების თანახმად რეალიზაციისათვის მზა ობიექტი. ეს პასუხისმგებლობა შეიძლება გამოირიცხოს ან შემცირდეს, თუკი დამტკიცდება შემკვეთის ბრალი.

„გასაღების ჩაბარებით“ ხელშეკრულება ფორმით უნდა იყოს „მზა პროექციის შესახებ“ ხელშეკრულების მსგავსი, როცა მენარდე კისრულობს ობიექტის ჩაშვების უზრუნველყოფას, ან მზა პროექციის გამოშვების ორგანიზებას ან „მზა პროექციის რეალიზების შესახებ“, როცა მენარდე კისრულობს მზა პროექციის წარმოებისა და გასაღების უზრუნველყოფას, გამოდის რა ამ შემთხვევაში ბროკერის სახით.

მშენებლობაზე კომპლექსური ნარდობის ხელშეკრულება უნდა დაიდოს სამშენებლო და საინჟინრო სამუშაოთა შესრულებაზე, ასევე სამრეწველო მოწყობილობებისა და დანადგარების მონტაჟსა და მიწოდებაზე. კომპლექსური ხელშეკრულების გენერალური მენარდე ახორციელებს ყველა იმ სამუშაოთა კოორდინაციას, რომელზეც პასუხს აგებს მენარდის წინაშე.

პირდაპირი და კომპლექსური ხელშეკრულების დადებისას მენარდე, როგორც წესი, თავის თავზე იღებს შემდეგ ვალდებულებებს:

– სამშენებლო-სამონტაჟო და სპეციალურ სამუშაოთა შესრულების უზრუნველყოფა, დასრულებული ობიექტის ჩაბარება ვადებში ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

– მშენებლობის უზრუნველყოფა ორგანიზაციულ-ტექნოლოგიური საპროექტო დოკუმენტაციით.

მშენებლობაზე ნარდობის პირდაპირი ხელშეკრულება იღება დაფიქსირებულ ცალკეულ ობიექტზე სამშენებლო და საინჟინრო სამუშაოთა ჩატარების შემთხვევაში, რომელიც შეადგენს კომპლექსის ნაწილს მოწყობილობისა და მასალების მიწოდებით ან მიწოდების გარეშე. მენარდე პასუხს აგებს მხოლოდ მის პირდაპირ ვალდებულებებზე.

მშენებლობა საკონკურსო საფუძველზე განისაზღვრება დამთავრებული პროექტით და აქვს მყარი ფასი. მოცემული ხელშეკრულება იღება სამრეწველო და სამოქალაქო მშენებლობებზე, დაპროექტებისა და მშენებლობის მცირე ვადით.

საკონკურსო პირობები განისაზღვრება შემკვეთის მიერ.

ბია კეფარიშვილი

## რუბიკონი უნდა გადაილახოს

საკითხი, რომლის თაობაზეც მკითხველს ჩვენი მოსაზრებები გვინდა გავუზიაროთ, ერთი შეხედვით, საკმაოდ რთული და პრობლემატურია. მის გარშემო საკმაოდ დაიწერა და უფრო მეტი ითქვა. უკვე თითქმის ერთი წელია ჩვენი რესპუბლიკის მართლმსაჯულებისა და სამართალდაცვის ორგანოების მუშაკთა შორის სხვადასხვა დონეზე მიმდინარეობს მძაფრი პოლემიკა. ამიტომ, მიზანშეწონილად ჩავთვალეთ საკუთარი პოზიცია ჩვენც გამოგვეთქვა.

ყველაფერი კი ასე დაიწყო. 1992 წლის 23 აპრილს, საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმმა მიიღო № 14 დადგენილება სახელწოდებით: „უდანაშაულობის პრეზუმფციის და ეჭვმიტანილის, ბრალდებულის, განსასჯელის დაცვის უფლების შესახებ“.

სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის სასამართლო განმარტებებით არც თუ ისე განებივრებული ქართული იურიდიული საზოგადოება ინტერესით შეხვდა ამ მოვლენას. მით უფრო, რომ იგი ეძღვნებოდა მსოფლიო იურისპრუდენციაში ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს და ურთულეს პრობლემას, რომელიც სისხლხორცეულადაა დაკავშირებული პიროვნების უფლებებთან. კერძოდ, რესპუბლიკის უზენაესმა სასამართლომ გადადგა თამამი ნაბიჯი, რათა შექმნილიყო ისეთი ხასიათის აქტი, რომელშიც მორალურად მოძველებულ მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის ბაზაზე, თანამედროვე საერთაშორისო სტანდარტებთან თუნდაც მიახლოებით, გადაწყვეტილიყო ბევრი ის საჭირობო საკითხი, რომლებიც დაკავშირებულნი არიან ეჭვმიტანილის, ბრალდებულის და განსასჯელის დაცვის უფლებასთან.

მკითხველის ყურადღებას ზემოთ აღნიშნული დადგენილების მხოლოდ ერთ პუნქტზე შევაჩერებთ, რომლის გარშემო ხშირად გაისმის პრეტენზიები და კრიტიკა პროკურატურის და საგამოძიებო სამსახურების მხრიდან. კერძოდ, დადგენილების მე-4 პუნქტის მიხედვით სამართალწარმოების ნებისმიერ სტადიაზე და მათ შორის პირის ეჭვმიტანილად დაკავების მომენტიდან, დამცველს საქმეში მონაწილეობისათვის მისი დაშვებიდანვე უფლება აქვს გაეცნოს საქმის მთელ მასალას.

სწორედ ამან გამოიწვია ესოდენ დიდი ვნებათაღელვა საგამომიებო ორგანოების მხრიდან, გამოითქვა შენიშვნა, რომ პლენუმი ვაცდა თავისი კომპეტენციის ფარგლებს და ფაქტობრივად მიიღო აშკარად კანონსაწინააღმდეგო განმარტება, რომელიც ეწინააღმდეგება დამნაშავეობასთან ბრძოლის ინტერესებს და საერთაშორისო პრაქტიკას.

როგორც ვხედავთ, გამოთქმული შენიშვნები საკმაოდ სერიოზულია. დაკავების მომენტიდან საქმის მასალების გაცნობის შესახებ დამცველის უფლებამ მეტად გაართულა გამოძიებლის მდგომარეობა და თითქოს შეიქმნა ისეთი სურათი, რომ პლენუმმა ფაქტობრივად უარყო სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 201-ე და 139-ე მუხლებით გარანტირებული წინასწარი გამოძიების საიდუმლოების ინსტიტუტი.

რამ გამოიწვია ესოდენ მძაფრი რეაქცია?

დამცველს მიეცა წარსულში არნახული უფლება — პირის ეჭვმიტანილად დაკავებისთანავე გაეცნოს სისხლის სამართლის მასალებს. ამან შეარყია ის მტკიცე უფლებრივი დისბალანსი, რომელიც გამოძიების ადრეულ სტადიებზე გამოძიებელსა და ეჭვმიტანილის (ბრალდებულის) დამცველს შორის არსებობდა. ამიერიდან საქმეში არსებული ნებისმიერი მტკიცებულება თუ რომელიმე სხვა ინფორმაცია დამცველის ყურადღების ქვეშაა. ეჭვმიტანილის პირველსავე დაკითხვას დამცველი ესწრება, დამცველს უფლება აქვს ყოველივე შეზღუდვის გარეშე შეხედეს დაკავებულს. ამან კი ძალზე გაართულა დაკავებულთან ოპერატიული მუშაობის პერსპექტიულობა. რეალურად ჩნდება საშიშროება, რომ დამცველი „გათქვამს“ გამოძიებელს და ეჭვმიტანილი ნაკლებ „გულწრფელი“ იქნება დაკითხვების დროს. აქედან კი ერთი ნაბიჯიღა რჩება, რომ საქმე „ჩავარდეს“. ძნელი არაა წარმოვიდგინოთ თუ რა დღეში აღმოჩნდება გამოძიებელი ისეთი კატეგორიის საქმეთა გამოძიებისას, როგორებიცაა ავტოსატრანსპორტო და თანამდებობრივი დანაშაულობანი, და თანაც თუ საქმეში პრინციპული ადვოკატი მონაწილეობს. ამას უნდა დაუმატოთ თანამედროვე საგამომიებო სამსახურების მეტად უდღეური მატერიალურ-ტექნიკური აღჭურვილობა, გამოძიებელთა არც თუ ისე მაღალი კვალიფიკაციის დონე, ქვეყანაში არსებული სრული ქაოსი და განუკითხაობა, ამდენად პროკურატურის და საგამომიებო სამსახურების შემფოთებას საკმაო საფუძველი აქვს.

ახლა, რაც შეეხება საკანონმდებლო სფეროს. სსსკ-ის 46-ე მუხლის თანახმად საქმეში მონაწილეობისათვის დაშვების მომენტიდან დამცველს უფლება აქვს შეხედეს ბრალდებულს, გაეცნოს საქმის მთელ მასალას (ხაზგაზმა — გ.მ.) და ამოიწეროს საქმიდან საჭირო ცნობები. როგორც ვხედავთ, კანონმდებლის პოზიცია აქ ცალსახადაა გამოკვეთილი. მაშინ, როდესაც სსსკ-ის 202-ე მუხლი სულ სხვას ითვალისწინებს — საქმის მთელი მასალა ბრალდებულსა და მის დამცველს წარედგინებათ მხოლოდ ბრალდებულისათვის გამოძიებლის მიერ წინასწარი გამოძიების დამთავრების გამოცხადების შემდეგ. კანონმდებლის პოზიცია აქ ასევე ურყევეა, მაშინაც კი, როდესაც დამცველი საქმეში მონაწილეობს დაკავების ან ბრალდების წაყენების მომენტიდან (ნაწილი მე-2) (ხაზგაზმა — გ. მ.).

ამრიგად, წრე შეიკრა. 1990 წლის 28 დეკემბერს მიღებული კანონი „საქართველოს რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო და საქართველოს



რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის საპროცესო კოდექსებში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ საკმაოდ სერიოზულ ლაფსუსებს შეიცავს.

რა თქმა უნდა, აქ, ამ შემთხვევაში უნდა გავითვალისწინოთ ის გარემოება, რომ სსსკ-ის 46-ე მუხლის საბოლოო რედაქცია 1984 წლის 6 აპრილს მოხდა. ხოლო, სსსკ-ის 202-ესი — 1990 წლის 28 დეკემბერს. ამიტომ, უპირატესობა სწორედ ახლად მიღებულ კანონს უნდა მიენიჭოს. მაგრამ როგორ მოვიქცეთ: 46-ე მუხლი ხომ პრინციპის რანგშია გადაწყვეტილი, 202-ე კი კერძო საკითხს ეხება?

გარდა ამისა, საქართველოს რესპუბლიკაში 1991 წლის 9 აპრილის სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აღდგენის აქციით საერთაშორისო სამართლის პრიმატია გამოცხადებული საქართველოს რესპუბლიკის კანონების მიმართ და საერთაშორისო ნორმების პირდაპირი მოქმედება ერთ-ერთ ძირითად კონსტიტუციურ პრინციპად არის აღიარებული, ვერც გაეროს 1990 წლის აგვისტოს მე-7 კონგრესის მიერ მიღებულ „დებულებას ადვოკატთა როლის შესახებ“ უგულვებელყოფთ, რომლის 21-ე პუნქტი კომპეტენტური ხელისუფლების ვალდებულებას ითვალისწინებს, რათა უზრუნველყონ ადვოკატი ინფორმაციის, დოკუმენტების და საქმის მასალების დროულად გაცნობით<sup>2</sup>.

მართლაც, ძნელი წარმოსადგენია, დაკავების მომენტიდან საქმეში მონაწილეობდეს ეჭვმიტანილის დამცველი, ხოლო საქმის მასალებს, ე. ი. იმ ინფორმაციას, რაშიც იმხილება მისი დაცვის ქვეშ მყოფი, გამოძიების დამთავრების შემდეგ გებულობდეს. არის რაიმე პრაგმატული ასეთი დამცველის საქმიანობაში? ვფიქრობთ, რომ არა თუ სამართლებრივი და დემოკრატიული სახელმწიფოს აშენება გვსურს, ვერსად გავექცევით სისხლის სამართალწარმოებაში ისეთი დემოკრატიული ინსტიტუტის რეალურ არსებობას, როგორც შეჯიბრებითობაა. ამიტომ დამცველს გამოძიების ადრეულ სტადიებიდანვე უნდა ჰქონდეს გამოძიების ტოლფასი უფლებები.

ჩვენი ღრმა რწმენით, საქმეში დაშვების მომენტიდანვე დამცველი უნდა იცნობდეს საქმის მასალებს. წინააღმდეგ შემთხვევაში იბადება კითხვა: როგორ დაიცვას მან თავისი კლიენტი? უფრო მეტიც, საქმის მასალების არცოდნა ფაქტობრივად დაცვაზე უარის თქმაა, რისი უფლებაც დამცველს მოქმედი კანონმდებლობითაც არა აქვს. ვერც ის გამოდგება არგუმენტად, რომ ისეთი ქვეყნების საპროცესო კოდექსები, როგორებიც საფრანგეთი და რუსეთია, დაკავების მომენტიდან საქმეში დაშვებულ დამცველს მხოლოდ გარკვეული საპროცესო დოკუმენტების გაცნობის უფლებას აძლევენ (დაკავების ოქმი, აღმკვეთი ღონისძიებების დადგენილება, დაცვის ქვეშ მყოფის დაკითხვის ოქმები).

სამაგიეროდ სხვა არანაკლებად დემოკრატიულ ქვეყნებში სწორედ ისეთი პრაქტიკაა, როგორსაც საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლო დაადგა. მაგალითად, ამერიკის შეერთებული შტატები (1966 წლიდან მირანდას საქმეზე აშშ-ს უზენაესი სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილებებიდან), იტალიის რესპუბლიკა (1989 წლის სსსკ-ის 304-ე მუხლი), დიდი ბრიტანეთი და ა. შ.

თვით აღნიშნული პრობლემა იურიდიული მეცნიერებისთვის ახალი არ არის.

1 იხ. „საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი ხაბჭოს უწყებები“, 1990, № 12, მუხლი 333.

2 იხ. ჟურნ. „სამართალი“, 1992, № 6-7, გვ. 65-70.

ძის შესახებ საკმაოდ ბევრი აზრი გამოითქვა და თან დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო<sup>9</sup>.

დასასრულს მინდა აღვნიშნო რომ პირადად ჩემთვის საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს პლენუმის პოზიცია ამ საკითხში მისაღება და უფრო მეტიც — აუცილებელი. თუმცა ისიც უნდა ითქვას, რომ ასეთი საკმაოდ მწვავე პრობლემა პირველ რიგში საკანონმდებლო დონეზე გადაწყვეტას საჭიროებს და თანაც დაუყოვნებლივ.

და ბოლოს, კიდევ ერთ საკითხზე უნდა შევჩერდე. ამჟამად რესპუბლიკაში შექმნილ უმძიმეს კრიმინოგენულ სიტუაციის განმუხტვას ხელს ხომ არ შეუშლის დამცველის უფლებების ასე ფართო სპექტრით წარმოდგენა?

შეიძლება ამ ეჭვს ვარკვეული საფუძველი მართლაც ჰქონდეს, მაგრამ ყოველგვარი დაყოვნება (სანამ ამაღლდება გამოძიების ხარისხი და შემდეგ ამოქმედდება საერთაშორისო სტანდარტების დონეზე დაცვის ინსტიტუტი) დაუშვებელია. უფრო მეტიც — საზიანოა და დამლუპველიც. სწორედ შეჯიბრებითობის პრინციპის გაძლიერებაა საჭირო წინასწარი გამოძიების სტადიაზე, რათა რეალურად განხორციელდეს პროცესუალური ჭიდილი ბრალდებასა და დაცვას შორის. ეს კი წინაპირობაა გამოძიების ხარისხის ამაღლებისა და მოსალოდნელი სასამართლო-საგამომიებო შეცდომების აღკვეთისა. სხვა ალტერნატივა არ არსებობს. ასე რომ, რუბიკონი უნდა გადაილახოს!

---

<sup>9</sup> См. Петрухин И. Л. О расширении защиты на предварительном следствии, — «Сов. государство и право», 1982, № 1, с. 62—70; Леви А. Об участии защитника в предварительном следствии, «Соц. законность», 1987, № 4, с. 56; Кобликов А. Участие защитника на предварительном следствии и его процессуальное положение, «Соц. законность», 1987, № 9, с. 46—47; Зубарев В., Мешков Ю. Защитник на предварительном следствии, «Соц. законность», 1988, № 2, с. 56—57; Сидора Ю. Когда защитнику знакомиться с делом, — «Соц. законность», 1988, № 2, с. 57—58; Лукашевич В., Шимановский В. Участие защитника с момента задержания или ареста лица, «Соц. законность», 1990, № 6, с. 38—39; Лукашевич В. З. Об участии защитника в советском уголовном судопроизводстве с момента задержания, ареста или предъявления обвинения, «Правоведение», 1991, № 1, с. 39—48.



## ბინების პრივატიზაციის ხელშეკრულების ხნების საკითხისათვის

სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობათა სფეროში გარკვეული ადგილი უჭირავს ქონების საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემის ურთიერთობებს — მაგალითად, ჩუქების ან პრივატიზაციის ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილ ურთიერთობებს.

დღეისათვის განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს პრივატიზაციის შედეგად წარმოშობილი ურთიერთობების სამართლებრივი ბუნება.

წელიწადზე ცოტა მეტია გასული მას შემდეგ, რაც საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტმა მიიღო დადგენილება ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ, მაგრამ ამ მცირე დროშიც გამოვლინდა ამ დადგენილებით შემოღებული სიახლეების უპირატესობანი არსებული საბინაო მეურნეობის ოპტიმალური მართვის საქმეში. მოქალაქეების უდიდესმა უმრავლესობამ გამოხატა მათ სარგებლობაში არსებული ბინების პრივატიზაციის სურვილი.

პრივატიზაციის პროცესში მოქალაქეების მიერ ქირავნობის ხელშეკრულებით ადრე დაკავებული ბინების საკუთრებაში გადასვლისას წარმოიქმნება მრავალი პრობლემა, რომლებსაც აქვთ თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა, მათ შორის ცენტრალური ადგილი უკავია ბინების პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნების პრობლემას.

საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაცია წარმოადგენს მოქალაქეთათვის სახელმწიფო და საზოგადოებრივი საბინაო ფონდში მათ მიერ დაკავებული საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებაში უსასყიდლოდ გადაცემას. ასეთი გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც ფორმდება ადგილობრივი მმართველობის ორგანოს სახელით საბინაო-საექსპლოატაციო ორგანიზაციასა და მოქალაქეს შორის, ხოლო საწარმოს, დაწესებულებებისა და ორგანიზაციის საცხოვრებელი სახლის (ბინის) გადაცემისას — ადმინისტრაციასა და მოქალაქეს შორის. საცხოვრებელი სახლის (ბინის) საკუთრებად გადაცემისას მოქალაქემ უნდა გადაიხადოს სახელმწიფო ბაჟი, რომელიც განისაზღვრება სახლის (ბინის) ქირისა და კომუნალური მომსახურების გადასახადის ორჯლის ოდენობით.

იურიდიულ ლიტერატურაში განსხვავებული შეხედულებები არსებობს იმის თაობაზე, თუ რომელი ხელშეკრულებით უნდა განხორციელდეს საცხოვრებელი სახლის (ბინის) მოქალაქეთა საკუთრებაში გადასვლა. მაგალითად, ი. გ. ბასინსა და ა. გ. დიდენკოს<sup>1</sup> მიაჩნიათ, რომ საცხოვრებელი სახლის მოქალაქის საკუთრებაში გადასვლა ხდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ფარგლებში, ხოლო, ე. ლ. ნეზგოლინას<sup>2</sup> და ა. ა. პუშკინს<sup>3</sup> მიაჩნიათ, რომ მოქალაქეთა საკუთრებაში ბინების უსასყიდლოდ გადასვლა ხდება ჩუქების ხელშეკრულების საფუძველზე.

<sup>1</sup> См. А. Г. Басин, А. Г. Диденко, новый жилищный кодекс Республики Казахстан, Алма-Ата, 1992, с. 43.

ბ. გ. ბასინისა და ა. გ. დიდნეკოს ზემოთ გამოთქმული მოსაზრება თავისებურად აისახა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის ზემოთ მიყვანილი თეზისები დადგენილების ნორმებში იმის შესახებ, რომ ბინის პრივატიზაცია ხელშეკრულება დამთავრებულად ითვლება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დადების მომენტიდან. უნდა ვაღიაროთ, რომ გარკვეული მსგავსება არსებობს ბინების პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულებასა და ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებას შორის. უმთავრესად, ეს მსგავსება გამოიხატება იმით, რომ ორივე შემთხვევაში ადგილი აქვს ქონების საკუთრებაში გადაცემას. მაგრამ ეს მსგავსება არ იძლევა მათი გაიგივების შესაძლებლობას.

ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ძირითადი მოთხოვნაა ის, რომ გამყიდველი კისრულობს გადასცეს ქონება მყიდველს საკუთრებად, ხოლო მყიდველი კისრულობს მიიღოს ქონება და გადაიხადოს მასში გარკვეული თანხა (საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 237-ე მუხლი). აქედან გამომდინარეობს, რომ ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულება თავისი არსით არის შეთანხმება სხვა პირისათვის საკუთრებაში ქონების სასყიდლიანი გადაცემის შესახებ, ამასთან, გადაცემული ქონების ექვივალენტის როლს ასრულებს ფული. მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების დამახასიათებელი ნიშანია მისი სასყიდლიანი ხასიათი. საქართველოში კი ბინების პრივატიზაცია ხდება უსასყიდლოდ. ის ფაქტი, რომ მოქალაქე იხდის ბინის ქირასა და კომუნალურ ხარჯებს უკანასკნელი ორდ წლის ოდენობით, არ ცვლის ამ ხელშეკრულების უსასყიდლო ხასიათს. ეს გადახდილი თანხები არის სახელმწიფო ბაჟი, როგორც ამის თაობაზე პირდაპირ არის მითითებული საქართველოს მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვლის № 107-ე დადგენილების მე-7 პუნქტში. სახელმწიფო ბაჟის ოდენობა არ აქცევს უსასყიდლო ხელშეკრულებას სასყიდლიანად. უნდა აღინიშნოს, რომ სახელმწიფო ბაჟი გადახდებთ სახლის ჩუქების ხელშეკრულების დროსაც, მაგრამ ეს არ ხდის ჩუქების ხელშეკრულებას სასყიდლიანად.

ყოველი ზემოთ თქმულიდან შეიძლება დავასკვნათ, რომ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის აღნიშნულ დადგენილებაში მითითება იმის თაობაზე, რომ ბინების პრივატიზაცია ფორმდება ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებით, არის ტექნიკური შეცდომა და არ გამომდინარეობს არც დადგენილების სახელწოდებიდან და არც მისი არსიდან<sup>2</sup>.

აღსანიშნავია ისიც, რომ პრივატიზაციის ხელშეკრულება ემსგავსება ჩუქების ხელშეკრულებასაც. ორივე შემთხვევაში ქონების გადასვლა საკუთრებაში ხდება უსასყიდლოდ.

იმ შემთხვევაში, როცა ჩუქების ხელშეკრულების საგანი არის საცხოვრებელი სახლი, მაშინ საკუთრების უფლება წარმოიქმნება ადგილობრივი მმართველობის ორგანოების ტექნიკური ინვენტარიზაციის ბიუროში (განყოფილებაში) დასაჩუქრებული პირის სახელზე რეგისტრაციის მომენტიდან. ამ საერთო საწ-

<sup>2</sup> Е. А. Невзгодина, Правовая природа приватизации жилья, Томск, 1992, с. 51.

<sup>3</sup> А. А. Пушкин, Теоретические проблемы жилищного права, Харьков, 1992, с. 67.

<sup>4</sup> საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსა და საქართველოს რესპუბლიკის პროკავშირების საბჭოს 1989 წლის 21 ივნისის და 1990 წლის 25 იანვრის დადგენილებებით გათვალისწინებული იყო საცხოვრებელი სახლების და ბინების მოქალაქეებისათვის მიყიდვა. ამ შემთხვევაში ურთიერთობები მყარდებოდა ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულებების საფუძველზე. აღნიშნული ნორმატიული აქტების თანახმად, მოქალაქეებისათვის მისაყიდი ბინების ღირებულება განისაზღვრებოდა სამინისტროებისა და უწყებების საპროექტო ორგანიზაციების მიერ ბინების (სახლების) მფლობელთა დაკვეთით.

ყისმა ნიშნებმა მისცეს საფუძველი ა. ა. პუშკინს<sup>1</sup> ემტკიცებინა, რომ საცხოვრებელი სახლების პრივატიზაცია (უსასყიდლოდ გადაცემა) ხორციელდება ჩუქების ხელშეკრულების ფარგლებში. მიეგანია, რომ აღნიშნულმა მსგავსებამ არ უნდა მიჩქმალოს მეტად არსებითი განსხვავება ჩუქებასა და პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) ხელშეკრულებებს შორის.

1. ჩუქების ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელია ის, რომ გამჩუქებული გადასცემს ქონებას სხვა პირს საკუთრებაში ნებაყოფლობით და არა ნაკისრი ვალდებულების გამო.

ბინების პრივატიზაციის ხელშეკრულების დადების საფუძველი კი არის ადმინისტრაციული აქტი. ასეთ აქტს მიეკუთვნება საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის 1 თებერვალს დამტკიცებული დადგენილება „საქართველოს რესპუბლიკაში ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) შესახებ“.

2. ჩუქების ხელშეკრულება, როგორც ყველა სხვა ხელშეკრულება, მოითხოვს მისი მხარეების შეთანხმებას მათი ნების არსებობის შესახებ, ამიტომ ის არის არა მარტო ქონების განკარგვის აქტი მესაკუთრის — გამჩუქებლის მიერ, არამედ საჩუქრის მიღების აქტიც დასაჩუქრებული პირის მხრიდან. დასაჩუქრებული პირის თანხმობა ნაჩუქარი ქონების მიღებაზე შეიძლება მოხდეს ქონების გადაცემამდე ან ქონების მიღების მომენტში. დასაჩუქრებული პირის უარი ქონების მიღებაზე, ისევე როგორც მესაკუთრის — გამჩუქებლის უარი ქონების გაჩუქების შესახებ არ შეიძლება გასაჩივრდეს და აღსრულდეს იძულებითი წესით. სხვაგვარად არის საქმე საცხოვრებელი სახლების პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) დროს.

საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილების შესაბამისად საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემა ხორციელდება ხელშეკრულების საფუძველზე, რომელიც იღება ერთის მხრივ ადგილობრივი მმართველობის ორგანოების საწარმო-დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მიერ, რომელთა ბალანსზეც ირიცხება საცხოვრებელი სახლი (ბინა) და მოქალაქეთა შორის, მეორეს მხრივ, რომლებიც, როგორც წესი, ქირავნობის ხელშეკრულების საფუძველზე უკვე ცხოვრობენ მათთვის საკუთრებაში გადასაცემ ბინაში.

საცხოვრებელი სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის ხელშეკრულების დადება ხდება დამქირავებლის და მისი ოჯახის წევრების სურვილისამებრ ნებაყოფლობით. არაფის არა აქვს უფლება, რა მოტივითაც უნდა იყოს ნაკარნახევი, აიძულოს მოქალაქე. ბინის პრივატიზაციის დროს მოქალაქე თვითონ წყვეტს მიიღოს ბინა პრივატიზაციის წესით საკუთრებაში, თუ დარჩეს ბინის დამქირავებლად. თუ მოქალაქემ და მისი ოჯახის წევრებმა გადაწყვიტეს საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაცია, ხოლო დამქირავებელი-ადგილობრივი მმართველობის ორგანოები (საბინაო-საექსპლოატაციო ორგანოები), საწარმო-დაწესებულებები და ორგანიზაციები უარს ეუბნებიან მათ ხელშეკრულების დადებაზე, ნაჩუქრობის ხელშეკრულებისაგან განსხვავებით, როდესაც არც გამჩუქებელს და არც დასაჩუქრებულს არა აქვს უფლება მოითხოვოს ხელშეკრულების დადება იძულებითი წესით, საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციისას დამქირავებელს შეუძლია სასამართლოს წესით მოითხოვოს მისთვის სახლის (ბინის) უსასყიდლოდ გადაცემის შესახებ ხელშეკრულების დადება.

<sup>1</sup> ა. ა. პუშკინის დასახ. ნაშრომი, გვ. 68.

3. ნაჩუქრობის ხელშეკრულების საგანი შეიძლება იყოს მჩუქებლის კუთვნილი ნებისმიერი ქონება, რომელიც არ არის ამოღებული სამოქალაქო ბრუნვიდან (მათ შორის ფულადი თანხები, ფერწერითი ნაწარმოები, სკულპტურული ნაკეთობანი, ორიგინალური ხელნაწერი და ა. შ.), პრივატიზაციის ხელშეკრულების საგანი კი შეიძლება იყოს მხოლოდ საცხოვრებელი სახლი (ბინა) და მასთან დაკავშირებული სამეურნეო დანიშნულების სარდაფები, სხვენება, ფარდულები, ტერასები და შემოქმედებითი სახელოსნოები.

4. ნაჩუქრობის ხელშეკრულების სუბიექტები არიან მჩუქებელი და დასაჩუქრებული. მჩუქებლები, როგორც წესი, არიან მოქალაქეები და არა დაწესებულება-ორგანიზაციები. დასაჩუქრებულ პირთა წრეს მოქმედი კანონმდებლობა არ ზღუდავს. ასეთები შეიძლება იყვნენ როგორც მოქალაქეები, დაწესებულება-ორგანიზაციები, აგრეთვე სახელმწიფო მთლიანად.

საცხოვრებელი სახლის (ბინის) პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) ხელშეკრულების სუბიექტები არიან საქართველოს მთავრობის დადგენილებით წინასწარ განსაზღვრული ფიზიკური და იურიდიული პირები. ასეთები არიან. ერთი მხრივ, პრივატიზაციის წესით გადასაცემი ბინის მფლობელები და მეორე მხრივ, გადასაცემ ბინაში მცხოვრები დამქირავებლები და მისი ოჯახის წევრები.

ნაჩუქრობის ხელშეკრულებაში მონაწილე დასაჩუქრებული პირი თვითონ და დამოუკიდებლად წყვეტს მიიღოს თუ არა საჩუქარი, ვინმეს თანხმობა მას არ ესაჭიროება, მაშინ, როდესაც პრივატიზაციის წესით ბინის მოქალაქეზე საკუთრებაში გადასვლისათვის აუცილებელია მასთან ერთად სახლში (ბინაში) მცხოვრები ყველა სრულწლოვანი ოჯახის წევრთა წერილობითი თანხმობა, მხოლოდ თუ ბინა უკავია რამდენიმე დამქირავებელს, ბინის პრივატიზაციისათვის საჭიროა ყველა დამქირავებლის თანხმობა.

5. ნაჩუქრობის ხელშეკრულება შეიძლება ითვალისწინებდეს ისეთ პირობას, რომელიც ავალებს დასაჩუქრებულს გამოიყენოს საჩუქარი საერთო სასარგებლო მიზნებისათვის (მოღუსი), მაგალითად, გამჭურვებელმა შეიძლება დაავალოს დასაჩუქრებულ პირს მოახდინოს ნაჩუქარი ტილოების ექსპონირება ან ადგილობრივი მმართველობის ორგანოს დაავალოს ნაჩუქარი სახლის გამოყენება საბავშვო სახლად და ა. შ.

ამგვარი დავალება ბინის პრივატიზაციის დროს გამორიცხულია, პრივატიზირებულ ბინას წინასწარ განსაზღვრული დანიშნულება აქვს — ის უნდა გამოიყენონ საცხოვრებლად.

ბინების პრივატიზაციის (უსასყიდლო გადაცემის) ხელშეკრულება ემსგავსება ქონების უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულებასაც.

ქონების უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულებით ერთი მხარე კისრულობს გადასცეს მეორე მხარეს ქონება დროებითი უსასყიდლო სარგებლობისათვის ხოლო ეს უკანასკნელი კისრულობს სარგებლობის ვადის გასვლის შემდეგ დააბრუნოს აღნიშნული ქონება (სამოქალაქო სამართლის კოდექსის 335-ე მუხლი).

ამ განმარტებიდან ჩანს, რომ განსახილველი ხელშეკრულება, ისევე როგორც ნაჩუქრობის და ბინის პრივატიზაციის ხელშეკრულებები, არის უსასყიდლო ხელშეკრულება.

დასახელებულ ხელშეკრულებათა შორის განსხვავება ის არის, რომ ქონების უსასყიდლო სარგებლობის ხელშეკრულებით ქონება გადადის არა საკუთრებაში, არამედ დროებით სარგებლობაში.

ჩუქების, ქონების სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემის და პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) ხელშეკრულებების სამართლებრივი ანალიზის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ ამ ხელშეკრულებებს, მათი არსებითი სამართლებრივი განსხვავების მიუხედავად, გააჩნიათ მსგავსი ეკონომიკური შინაარსი, რაც საშუალებას გვაძლევს გავაერთიანოთ ისინი ერთიან სამოქალაქო სამართლებრივ ინსტიტუტად, რომელიც ეხება ქონების საკუთრებაში ან სარგებლობაში უსასყიდლოდ გადაცემას, ხოლო ზემოთ აღნიშნული იურიდიული ხასიათის მოსაზრებანი გვაძლევს იმის საფუძველს, რომ თითოეული მათგანი მივიჩნიოთ დამოუკიდებელ სამოქალაქო-სამართლებრივ ხელშეკრულებად.

საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის (უსასყიდლოდ გადაცემის) ხელშეკრულების განსაკუთრებულ და დამოუკიდებელ ხელშეკრულებად ცნობას თეორიულის გარდა აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც.

ცნობილია, რომ საქართველოს რესპუბლიკის საქორწინო და საოჯახო კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად ქორწინების დროს ჩუქების წესით მიღებული ქონება არის იმ მეუღლის საკუთრება, რომელსაც ის გადაეცა საკუთრებაში.

თუ საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის შესახებ ხელშეკრულებას მავაკუთვნებთ ჩუქების ხელშეკრულებას, მაშინ მითითებული კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად ჩუქების წესით მიღებული საცხოვრებელი ბინა უნდა მივიჩნიოთ იმ მეუღლის საკუთრებად, რომლის სახელზედაც იყო გაფორმებული სახლი, მაგრამ როგორც ჩვენ შევეცადეთ გვეჩვენებინა, საცხოვრებელი სახლის პრივატიზაციის ხელშეკრულება არ არის ჩუქების ხელშეკრულება, არამედ იგი არის დამოუკიდებელი და განსაკუთრებული ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც ქორწინების განმავლობაში შეძენილი ქონება არის მათი თანასაკუთრება.

საერთო თანასაკუთრების უფლების განსხვავებული ნიშანია მისი უწილადო ხასიათი. აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ვინ არის ამ საკუთრების მონაწილე და ვის სახელზეა იგი შეძენილი. მაგალითად, სახლის რეგისტრაცია ერთ-ერთი მეუღლის სახელზე არ ნიშნავს, რომ სახლი პირადად მისი საკუთრებაა<sup>6</sup>, სახლი შეადგენს მეუღლეთა საერთო საკუთრებას, ხოლო მისი რეგისტრაციის ფაქტი, მხოლოდ საკუთრების წარმოშობის მომენტს აფიქსირებს.

<sup>6</sup> შ. ლ. ჩიკვაშვილი, საბინაო სამართალი, თბ., 1989, გვ. 515.



# ახლებიან გარემოში დღევანდელი

## გარემოებები

საქართველოს რესპუბლიკის სამოქალაქო სამართლის კოდექსის 457-ე მუხლში ზიანის მიყენებისათვის პასუხისმგებლობის ზოგად საფუძვლებად მიჩნეულია მოქალაქის, პიროვნების და ქონებისათვის მიყენებული ზიანი, მაგრამ არ არის დაკონკრეტებული ვნების მიყენების სფერო და ხასიათი. გაცილებით სრულყოფილია გერმანიის კანონმდებლობით გათვალისწინებული განმარტება, რომელიც ჩვენი ქვეყნის თავისებურებათა გათვალისწინებით შეიძლება ასე ჩამოყალიბდეს: „პირი, რომელმაც ხელჰყო სხვა პირის სიცოცხლე ან მოუშალა ჯანმრთელობა, ხელჰყო მისი თავისუფლება ან კერძო ცხოვრების საიდუმლოება, შელახა მისი ქონებრივი, თუ სხვა უფლებები, ვალდებულია აანაზღაუროს მიყენებული ვნება“.

ასევე, ზოგად საფუძვლებში აუცილებელია მითითება პასუხისმგებლობის დადგომის პირობების შესახებ. სახელდობრ: „ანაზღაურება დგება ვნების არამართლზომიერად განზრახ ან გაუფრთხილებლობით მიყენების შემთხვევაში. ბრალის გარეშე, აგრეთვე შემთხვევით ან მართლზომიერი მოქმედებით (უმოქმედობით) მიყენებული ვნება ანაზღაურდება მხოლოდ კანონით სპეციალურად გათვალისწინებულ შემთხვევაში“.

მოქმედი კოდექსი არ ითვალისწინებს, მაგრამ სასამართლო პრაქტიკა მოითხოვს მუხლის შეტანას დაზარალებულის მოვალეობაზე მიიღოს ზომები ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად მოცემულ ვითარებაში არსებული შესაძლებლობის გათვალისწინებით. მის მიერ ამ მოვალეობის შეუსრულებლობის გამო დამდგარი ზიანის ნაწილი არ უნდა ანაზღაურდეს. აღნიშნული მუხლი თვით დაზარალებულისაგანაც მოითხოვს აქტიურ მოქმედებას ზიანის ასაცილებლად, რაც ხშირად დგება სასამართლო პრაქტიკაშიც, როდესაც ზიანის მიმყენებელი სამართლიანად მოითხოვს ანაზღაურების შემცირებას იმ მოტივით, რომ დაზარალებულმა არ მიიღო მისთვის შესაძლებელი ყველა ზომა ზიანის თავიდან ასაცილებლად ან შესამცირებლად.

აუცილებელია მივიღოთ ნორმა მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობის შეზღუდვის შედეგზე. სახელდობრ, ბათილად ჩაითვალოს შეთანხმება, რომელიც წინასწარ ზღუდავს ან გამორიცხავს პასუხისმგებლობას განზრახ მიყენებული ზიანისათვის.

ვფიქრობთ, სასამართლო პრაქტიკას დაეხმარება ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით გათვალისწინებული წესი, როდესაც დაზარალებულს უფლება ერთმევა მოითხოვოს ვნების ანაზღაურება, რომელიც მიყენებული იყო მისი თანხმობით თუ ასეთი თანხმობით არ ილახება საზოგადოების ან მოქალაქის ინტერესები. აქვე უნდა დაემატოს, რომ თანხმობა არ უნდა ეწინააღმდეგებოდეს ზნეობრივ პრინციპებსაც.



თავიდანვე გაოცებას იწვევდა, რომ მოქმედმა კანონმდებლობამ გაითვალისწინა ზიანის ანაზღაურება, რომელიც მოქალაქემ საფრთხეში მყოფი სოციალისტური ქონების გადარჩენის დროს განიცადა და არაფერი ტყვე აღმინანს გადარჩენის დროს გადამრჩენზე მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე. ამის თაობაზე გამოითქვა აზრი, რომ გადარჩენის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურება არ შეიძლება მივიღოთ როგორც ახალი ვალდებულება იმის გამო, რომ გადამრჩენი მოქმედებს კონსტიტუციისა და მორალის პრინციპებიდან გამომდინარე, რასაც მართებულად არ ეთანხმებიან სხვა ავტორები, ვინაიდან მოქალაქის მორალური და კონსტიტუციური მოვალეობა უნდა შეესაბამებოდეს მის უფლებას ამ მოვალეობის შესრულების დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურებაზე<sup>1</sup>.

ამ ვალდებულების კანონმდებლობით გაუთვალისწინებლობა უხერხულია როგორ შეიძლება, თუნდაც მორალური მოსაზრებით, მოქმედ პირს არ აუნაზღაურდეს ზიანი, რაც მის კეთილშობილურ საქციელს მოჰყვა. ვინაიდან გადარჩენა, მიუხედავად განსხვავებისა, უკიდურესი აუცილებლობაა, რომლის დროსაც გადამრჩენი საკუთარ თავს საფრთხეში აგდებს სხვისი გადარჩენისათვის. ეს ვალდებულება უნდა შევიტანოთ ერთ პარაგრაფში და მუხლი ასე ჩამოყალიბდეს:

„პირს, რომელმაც ზიანი განიცადა იმ საფრთხის თავიდან აცილებაში თავისი ნებით სათანადო რწმუნების გარეშე მონაწილეობისას, რაც რეალურად ემუქრებოდა სხვა პირს და რაც არ შედიოდა მის სამსახურებრივ მოვალეობაში, უნდა აუნაზღაურდეს საკუთარი თავის რისკში ჩაგდებათ მიღებული ვნება იმ პირისაგან, რომელმაც შექმნა მუქარა სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის, ან პირისაგან, რომელიც ვალდებულია უზრუნველყოს მოქალაქეთა უშიშროება და დაეხმაროს მას საფრთხის დროს, აგრეთვე პირისაგან, რომლის სიცოცხლის გადარჩენასაც დაზარალებული ცდილობდა“.

როგორც ვხედავთ, მთავარია პირი მოქმედებდეს ნებაყოფლობით და სხვა პირის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის გადარჩენა მისი სამსახურებრივი მოვალეობა არ უნდა იყოს.

ვფიქრობთ, აუცილებელია კოდექსში იყოს მუხლი ქონების გადარჩენასთან დაკავშირებული ზიანის ანაზღაურების თაობაზეც, მაგრამ არა იმ სახით, რაც ახლა გვაქვს.

პრივატიზაციისა და საბაზრო ეკონომიკის განხორციელების პირობებში სახელმწიფო ქონება მნიშვნელოვნად შემცირდება, საზოგადოება მიდის საკუთრების სხვადასხვა ფორმების თანასწორობის პრინციპის შემოღებისაკენ და ასეთ პირობებში სკუთრების რომელიმე ფორმის გამოყოფა მიუღებელია. ამავე დროს სხვა პირის ქონების გადარჩენის დროს მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხი არ შეიძლება არ დადგეს; ეს შეიძლება იყოს მოქალაქე — მესაკუთრე.

მუხლი ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „თუ პირმა სათანადო რწმუნების გარეშე, თავიდან ააცილა ვნების რეალური საშიშროება სხვა პირის ქონებას, პირობებში, რომელიც გამორიცხავდა ამ საფრთხის შესახებ ქონების მფლობელის გაფრთხილების შესაძლებლობას, მას უფლება აქვს მოითხოვოს საფრთხის თავიდან აცილებისას მიყენებული ვნების ანაზღაურება. ანაზღაურების ოდენობა უნდა აღემატებოდეს თავიდან აცილებულ ვნებას“.

<sup>1</sup> П. Р. Ставинский, «Воз. вреда спасении соц. имущества, жизни здоровья граждан» 1974, стр. 89-92.



გამოდის, რომ ანაზღაურება დგება მხოლოდ მაშინ, თუ პირმა შესძლო ვნების თავიდან აცილება, მაგრამ თუ იგი შეეცადა, მაგრამ ვერ შესძლო, ზიანდამტკიცება არ ანაზღაურდება. იქნებ უფრო განვავრცოთ ეს მუხლი?!

ახლებურად გადაწყვეტის მოითხოვს საკითხი იურიდიული პირის პასუხისმგებლობის შესახებ. სამოქალაქო სამართლის კოდექსის 458-ე მუხლში ლაპარაკია მხოლოდ ორგანიზაციის პასუხისმგებლობაზე მისი მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანისათვის. ვინაიდან, საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლასთან დაკავშირებით, მოქალაქესაც შეიძლება აღმოაჩნდეს დაქირავებული მუშაკი, საჭიროა ამ მუხლით განისაზღვროს იურიდიული პირის (და არა ორგანიზაციის) და მოქალაქის პასუხისმგებლობაც მისი მუშაკის ბრალით მიყენებული ზიანისათვის.

მოქალაქეზე ან იურიდიულ პირზე სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ადმინისტრაციული მმართველობის დარგში თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას მათი უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ მუხლში საჭიროა შემოვიღოთ წესი, რომლის თანახმად ამ პირების უკანონო მოქმედებით მიყენებული ვნებისათვის პასუხისმგებლობა დადგება მხოლოდ იმ პირობით, თუ ზიანის თავიდან აცილება არ შეიძლებოდა გასაჩივრების ჩვეულებრივი წესით, ან თუ დაზარალებულმა გამოიყენა ზიანის თავიდან ასაცილებლად მიმართული ჩვეულებრივ გასაჩივრების ყველა საშუალება, აგრეთვე იმ პირობით თუ მოცემულ შემთხვევაში მუშაკის ბრალი ან ბრალეულობა დადგენილია სისხლის სამართლის ან დისციპლინური წესით.

გასაჩივრების აუცილებლობის შემოტანა მუხლში მით უფრო საჭიროა, რომ მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია სახელმწიფო მმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა არამართლზომიერი მოქმედების სასამართლოში გასაჩივრების წესი.

ჩვენს კოდექსს გაამდიდრებს გერმანიის კანონმდებლობით შემოღებული წესი: სასამართლო გადაწყვეტილების გამოტანისას დაშვებული დარღვევის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. ზიანი ანაზღაურდება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს დარღვევა არის სისხლის სამართლის წესით დასასჯადი ქმედება.

საინტერესოა, რომ თანამდებობის პირი არ არის ვალდებული ანაზღაუროს ზიანი, თუ დაზარალებულმა განზრახ ან გაუფრთხილებლობით არ გაასაჩივრა გადაწყვეტილება ზიანის თავიდან ასაცილებლად.

როგორც ვხედავთ, აქაც გასაჩივრების წესის დარღვევა დაკავშირებულია ზიანის ანაზღაურების შესაძლებლობასთან.

ამავე პარაგრაფში შეტანილია მუხლი მოკვლევის, გამოძიების, პროკურატურის ორგანოებისა და სასამართლოს უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის შესახებ (ხომ არ აჯობებდა დასათაურება — სასამართლო-საგამოძიებო ორგანოების იურისდიქციული მოღვაწეობის სფეროში უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანის ანაზღაურება). სახელმწიფოს მიერ ანაზღაურდება მხოლოდ უკანონო მსჯავრდების, სისხლის სამართლის პასუხისგებაში უკანონოდ მიცემის აღკვეთის ღონისძიებების სახით პატიმრობის ან გაუსვლელობის ხელწერილის უკანონოდ გამოყენების, პატიმრობის ან გამასწორებელი სამუშაოების სახით ადმინისტრაციული სახდელის არასწორად დადების შედეგად მიყენებული ვნება თანამდებობის პირთა ბრალის მიუხედავად.

ამ პირთა სხვა უკანონო მოქმედებით მიყენებული ზიანი კი საერთო საფუძვლებით ანაზღაურდება.

ზიანის ანაზღაურების უფლება წარმოიშობა მოქალაქის რეაბილიტაციის აქტის ძალაში შესვლის შემდეგ — გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში, სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტისას დანაშაულის შემთხვევის არ არსებობის, ქმედობაში დანაშაულის შემადგენლობის არ არსებობის ან მოქალაქის დანაშაულის ჩადენაში მონაწილეობის დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, ადმინისტრაციული სამართალდარღვევის შემდეგ საქმის შეწყვეტისას.

ზიანი არ უნდა ანაზღაურდეს თუ მოქალაქემ თვითგანთქმის გზით ხელი შეუშალა ჭეშმარიტების დადგენას.

დღევანდელი სამოქალაქო კანონმდებლობა არ იცნობს უკანონო განკარგულების შესრულებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებას — ვინ უნდა აანაზღაუროს ზიანი: პირმა რომელმაც გასცა განკარგულება, თუ მისმა შემსრულებელმა. სხვათა შორის, არც სხვა ქვეყნების კოდექსებს აქვთ მოწესრიგებული ეს საკითხი. დღეს პირის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საერთო პრინციპით წყდება მსგავსი საკითხები. ვფიქრობთ, საჭიროა მისი ცალკე მუხლად ჩამოყალიბება და შემსრულებლის პასუხისმგებლობაც უნდა გამოიკვეთოს. მუხლი შეიძლება ასე გადმოიციეს:

„თანამდებობის პირის მიერ მისდამი დაქვემდებარებული მუშაკისადმი გაცემული უკანონო განკარგულებით მიყენებული ზიანი ანაზღაურდება საერთო საფუძვლებით.

იმ პირის პასუხისმგებლობა, რომელმაც განკარგულების შესრულებისას უშუალოდ ჩაიდინა უკანონო მოქმედება, დგება მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ მას შეგნებული ჰქონდა გაცემული განკარგულების უკანონობა, მაგრამ არ მიიღო მისგან დამოკიდებული ზომები დამდგარი შედეგის თავიდან ასაცილებლად“.

ახლებურად უნდა ჩამოყალიბდეს მუხლი რამდენიმე პირის მიერ ერთად მიყენებული ზიანისათვის პასუხისმგებლობაზე. მართალია, ეს პირები დაზარალებულის წინაშე პასუხს აგებენ სოლიდარულად, მაგრამ კანონში უნდა იყოს ამ პირებს შორის პასუხისმგებლობის განაწილების თაობაზე — თითოეულის ქმედების არამართლზომიერების ხარისხის შესაბამისად. თუ ზიანის ერთად მიყენებაში მონაწილე პირების ქმედების ცალკეულად შეფასება შეუძლებელია, ზიანი მათ შორის თანაბრად უნდა განაწილდეს. ამის მიხედვით განისაზღვრება იმ პირის უკუმოთხოვნის ოდენობა დანარჩენისაგან, რომელმაც ზიანი გადაიხადა.

ვფიქრობთ, დასაშვებია სოლიდარული პასუხისმგებლობიდან გადახვევაზე მითითებაც, მაგრამ იმ აუცილებელი პირობით, რომ ეს არ დაემუქრება ზიანის ანაზღაურებას და ანაზღაურება არ გადაიდება მნიშვნელოვანი დროით.

ზიანისათვის პასუხს უნდა აგებდეს არა მარტო ის, ვინც იგი უშუალოდ მიაყენა, არამედ ისიც, ვინც იგი დაიყოლია ან მისი ხელშემწყობი იყო, ასევე, ისიც, რომელმაც შეგნებულად ისარგებლა სხვაზე მიყენებული ზიანით.

საინტერესოა არასრულწლოვანის მიერ მიყენებული ზიანის ანაზღაურების საკითხის გადაწყვეტა. მოქმედი კანონით არასრულწლოვანის დელიქტუზნარიანობის საკითხი გადაწყვეტილია მოქალაქის ქმედუნარიანობის დადგომასთან კავშირში. სახელდობრ, ისე როგორც 15 წლამდე მოქალაქე არაქმედუნარიანია და 15 წლის შემდეგ 18 წლამდე — შეზღუდულად ქმედუნარიანი, პასუხისმგებ-

ლობა დელიქტისათვის 15 წლამდე არ ღებება, ხოლო 15 წლის შემდეგ სრულწლოვანებამდე, ღებება ნაწილობრივ. დელიქტუნარიანობის ასეთი კავშირი უნარიანობასთან, ვფიქრობთ, მისაღებად არ უნდა ჩაითვალოს. ზიანის მიყენების დროს ასეთი დიდი ასაკის პირისათვის პასუხისმგებლობის მთლიანად გამორიცხვა თითქმის არსად არ გვხვდება.

საფრანგეთის კანონმდებლობა მიუთითებს არასრულწლოვანზე ზოგადად და სრულწლოვანებამდე ასაკის დაყოფას საერთოდ არ იცვალისწინებს. გერმანიის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი ქვეყნის კანონი მთლიანად გამორიცხავს პასუხისმგებლობას მხოლოდ 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანისათვის, ხოლო ამ ასაკიდან სრულწლოვანებამდე იგი პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის, თუ მართლსაწინააღმდეგო მოქმედების ჩადენისას არ ესმოდა თავისი მოქმედების მნიშვნელობა. შესაძლებელია ასეთი მოხერხებული ვარიანტი მივიღოთ ჩვენთანაც, მაგრამ ჩვენი ქვეყნის სპეციფიკურობის გათვალისწინებით, შვიდი წლის ნაცვლად პასუხისმგებლობის გამომრიცხავ ასაკად შემოვიღოთ ათი წელი.

დავას იწვევს დავტოვოთ თუ არა მოქმედი წესი, რომლის თანახმად ორივე მშობელი პასუხს აგებს იმ შემთხვევაშიც, თუ ისინი ერთად არ ცხოვრობენ, რასაც იმით ასაბუთებენ, რომ ცალკე მცხოვრები მშობელი არ არის მოკლებული საშუალებას განახორციელოს უფლება შვილის მიმართ და ამდენად ეკისრება მოვალეობაც. საფრანგეთის, ლათინური ამერიკის ზოგიერთი კანონმდებლობა ცნობს მხოლოდ შვილთან ერთად მცხოვრები მშობლების პასუხისმგებლობას. გერმანიის კანონი მშობლებს საერთოდ არ გამოყოფს და ზოგადად მიითითებუ-  
ლია არასრულწლოვანის ზედამხედველ პირზე.

ცალკე მცხოვრები მშობლები, როგორც არ უნდა ცდილობდნენ მონაწილეობა მიიღონ შვილის აღზრდაში, ეს არ არის აღზრდა იმ გაგებით, რასაც კანონი გულისხმობს — ყოველდღიური, სისტემატური მეთვალყურეობა და კონტაქტი ბავშვებთან, რაც აუცილებელია მათი ფსიქიკის ჩამოყალიბებისათვის. ამიტომ, ობიექტურობისა და რეალური მდგომარეობის თვალთახედვით სწორა იქნებოდა შემოგველო ერთად მცხოვრები მშობლის პასუხისმგებლობა ასეთი დამატებით: „ორივე მშობელი პასუხს აგებს მაშინაც, თუ ერთ-ერთი მათგანი, მართალია, არ ცხოვრობს შვილთან, მაგრამ ყოველდღიურ აღზრდაში მონაწილეობას მოკლებულია თავისი ბრალით“. ეს გამორიცხავს არაკეთილსინდისიერი ოჯახისა და შვილების მიმტოვებელი მშობლის პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევას.

მოსაფიქრებელია, უნდა დარჩეს თუ არა კოდექსის 466-ე მუხლის რედაქცია, რომელიც მხოლოდ არაქმედუნარიანად აღიარებული მოქალაქის დელიქტუნარიანობას გამორიცხავს და მაშასადამე, დაბადებიდან სულით ავადმყოფი, თუ იგი არ არის აღიარებული არაქმედუნარიანად, პასუხს აგებს მიყენებული ვნებისათვის. უფრო მეტიც, თუ იგი ზიანის მიყენების შემდეგ ცნეს არაქმედუნარიანად, მაინც თვითონ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი.

სხვა ქვეყნების თითქმის არცერთი კანონმდებლობა არ უკავშირდება ასეთა ავადმყოფობის პასუხისმგებლობის საკითხს მიყენებული ზიანისათვის მის არაქმედუნარიანად აღიარებას. გერმანიის კანონი სულიერად და ფიზიკურად სუსტი პირის დელიქტუნარიანობაზე მიუთითებს, სამხრეთ-ამერიკის ზოგი ქვეყნის კანონი — სულით ავადმყოფზე, უნგრეთის — გონების არმქონე ან შეზღუდული გონების მქონე პირზე და სხვ.

ვინაიდან არაქმედუნარიანად აღიარება საკმაოდ რთული პროცესია და სასამართლოს წესით ხდება, გარდა ამისა, მოსახლეობის ფართო ფენებისათვის

უცნობია იურიდიული შედეგი, რაც არაქმედუნარიანად აღიარებას მოჰყვება ასეთ ავადმყოფთა უდიდესი უმრავლესობა არაქმედუნარიანად არ არის გამოცხადებული და მაშასადამე, დელიქტუნარიანად ითვლება, რაც ეწინააღმდეგება რეალური ანაზღაურების პრინციპს, დაუცველს ტოვებს დაზარალებულს და ქმნის საზოგადოებისათვის საშიშ სიტუაციას, ვინაიდან პირი, რომელიც მოვალე შედამხედველობა გაუწიოს ავადმყოფს, პასუხისმგებლობის ვარგეში რჩება.

ვფიქრობთ, უფრო მომგებიანი იქნება ეს მუხლი ასე ჩამოყალიბდეს:

„მოქალაქე, რომელსაც სულით ავადმყოფობის ან ჭკუასუსტობის გამო არ შეუძლია შეიგნოს თავისი მოქმედების მნიშვნელობა ან გაუძღვეს მას პასუხს არ აგებს მიყენებული ზიანისათვის, მის მაგივრად პასუხს აგებს კანონის ან ხელშეკრულების ძალით მისი მეთვალყურე ან იურიდიული პირი, რომელიც ვალდებულია მას მეთვალყურეობა გაუწიოს, თუ ვერ დაამტკიცებს, რომ სათანადოდ ასრულებდა მოვალეობას და ზიანი მაინც დადგებოდა მეთვალყურეობის უნაკლოდ შესრულების მიუხედავად.

აღნიშნული წესი გამოიყენება იმ პირების მიმართაც, რომლებიც მართალია კანონისა და ხელშეკრულების ვარგეში, მაგრამ მუდმივად უწყვეტ მეთვალყურეობას პირებს, რომლებსაც ფსიქიური მდგომარეობის გამო მათი ქმედება არ შეიძლება შეერაცხთ ბრალად“.

პრაქტიკაში შეიძლება დადგეს საკითხი, როცა ავადმყოფს არ ჰყავს მეთვალყურე, ან ამ უკანასკნელის პასუხისმგებლობა არ იქნა დადგენილი, ვინ უნდა აანაზღაუროს მიყენებული ზიანი? შეიძლება ვისარგებლოთ ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით, რომლის თანახმად და ასეთ შემთხვევაში პასუხისმგებლობა გამონაკლისის სახით, მთლიანად ან ნაწილობრივ ამ პირს დაეკისროს თუ გაანინა ქონება (მხარეების ქონებრივი მდგომარეობის შედარების გათვალისწინებით). ეს ვარიანტი მით უფრო მისაღებია, რომ დღეს მოქმედი კანონით სულით ავადმყოფი და გონებასუსტი, თუ არაქმედუნარიანად არ არის აღიარებული, ისედაც პასუხისმგებლობის სუბიექტად ითვლება.

# დანაშაულის ცნების პრობლემა სისხლის სამართლის თეორიასა და კანონმდებლობაში

სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში არსებულ მრავალ პრობლემათაგან ერთ-ერთი ურთულესია დანაშაულის ცნების საკითხი. იგი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს დღეს, ჩვენს რესპუბლიკაში შექმნილი კრიმინოგენული ვითარებისა და სასამართლო რეფორმის მიმდინარეობის პირობებში.

ბუნებრივია, დანაშაულის ცნება არ შეიძლება იყოს ერთნაირი ყველა დროისა და ხალხისათვის. საზოგადოების ეკონომიკური ფორმაციების ცვლილებასთან ერთად იცვლება წარმოდგენა დანაშაულის არსზე, მის ცნებაზე. იცვლება დანაშაულად მიჩნეული ქმედობათა წრეც. მაგრამ ეს არ გვაძლევს დანაშაულის ცნების ჩამოყალიბებაზე უარის თქმის საფუძველს.

დანაშაულის ცნების დღემდე არსებული განმარტებებიდან სრულყოფილად ვერც ერთი ვერ ასახავს დანაშაულებრივი ქმედობის არსს და მის ძირითად ნიშნებს. ჩემი აზრით, დანაშაულის ცნების უფრო სწორი განსაზღვრებაა მოცემული იაპონიის სსკ-ში, რომლის თანახმად, დანაშაულად მიჩნეულია „სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ბრალეული, მართლსაწინააღმდეგო ქმედობა“. დანაშაული, პირველ ყოვლისა, ადამიანის ქცევის ნაირსახეობა, ქცევის კონკრეტული აქტი ან მათი ერთობლიობაა.

როგორც მართებულად აღნიშნავენ თ. წერეთელი და გ. ტყეშელიაძე, სისხლის სამართლის კანონით ისჯება მხოლოდ ადამიანის ნებელობითი მოქმედება, ე. ი. „ადამიანის შეგნებული მიზანმიმართული ზემოქმედება გარემომცველ ობიექტურ სამყაროზე“<sup>1</sup>.

ამ სწორი დებულების რეალიზაციისათვის აუცილებელია შემდეგი გარემოებების არსებობა: ქმედობის განმახორციელებელი პირის შერაცხადობა და მისი დამოუკიდებლობა ფიზიკური და დაუძლეველი ძალისაგან.

მოქმედ სისხლის სამართლის კოდექსში მოცემული დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განმარტება მეცნიერ-იურისტთა შორის გარკვეულ დავასა და აზრთა სხვაობას იწვევს. ნაწილი ავტორებისა წინააღმდეგნი არიან დანაშაულის ცნებაში საზოგადოებრივი საშიშროების ნიშნის შეტანისა. ზოგიერთი კი მოითხოვს მასში ამორალურობისა და დასჯადობის ნიშნების შეტანასაც. მაგრამ ჩემი აზრით, თვით ეს მოსაზრებებიც სადაოა, თანაც ამომწურავი არ არის და გარკვეულ დახვეწას საჭიროებენ.

საზოგადოებრივი საშიშროება კონკრეტულ-ისტორიული კატეგორიაა. მისი ცვლილება ობიექტურად განპირობებულია საზოგადოებაში წარმოებული სოციალურ-ეკონომიკური პროცესებით. ამიტომ, ბუნებრივია, ის, რაც საზოგადოებრივ

1 თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, მოძღვრება დანაშაულზე, თბ., 1969.

საშიშროებას წარმოადგენდა გუშინ, შეიძლება დღეს არ ატარებდეს ასეთ ხასიათს სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის გამო.

ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრა ფაქტის საკითხია. რაც უფრო მეტია ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება და დიდია ზიანის მოცულობა, მით უფრო ადვილია ქმედობის საზოგადოებრივი საშიშროების დასაბუთება და პირიქით.

კონკრეტული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების ზარისხის განსაზღვრისას მხედველობაში მიიღება მისი ჩადენის ობიექტური და სუბიექტური ნიშნები, შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებები.

საზოგადოებრივი საშიშროება დანაშაულებრივი ქმედობის ობიექტური დამახასიათებელი თვისებაა, რომელიც რეალურ სინამდვილეში არსებობს. მაგრამ კანონმდებლის მიერ არ არის განსაზღვრული საზოგადოებრივი საშიშროების ის სპეციფიკური ზარისხი, რომელიც დანაშაულს სხვა სამართალდარღვევებისაგან გამიჯნავს.

საზოგადოებრივი საშიშროება ობიექტური კატეგორიაა, რომელიც არსებობს იმისდამოუხედავად კანონმდებლის მიერ გამოცხადებულია თუ არა იგი დასჯად ქმედობად. მაგალითად, მკვლელობა საზოგადოებრივად საშიშია მაშინაც, როცა იგი ჩადენილია უკიდურესი აუცილებლობის, ან აუცილებელი მოგერიების ფარგლებში, მიუხედავად იმისა, რომ ამ შემთხვევაში პირი თავისუფლდება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობისაგან. ასევე ითქმის მთელ რიგ დაუშვარებელ დანაშაულზეც, მაგრამ უნდა შევნიშნოთ, რომ ერთი და იგივე ობიექტის ხელყოფის მცდელობა, რომელიც ჰქმნის დანაშაულებრივი შედეგის განხორციელების უშუალო შესაძლებლობას, საზოგადოებრივად საშიშად და დანაშაულებრივად ითვლება მაშინ, როცა ამავე ობიექტის ხელყოფის მომზადება შეიძლება არც იყოს საზოგადოებრივად საშიში. მაგრამ აქაც მხედველობაში მიიღება ხელყოფის ობიექტის საზოგადოებრივი ღირებულება. ამიტომ სასამართლოს შეუძლია ქმედობა საზოგადოებრივად საშიშად მიიჩნიოს მაშინაც, როცა მოქმედებას არ შეუქმნია ამ ობიექტის დაზიანების რეალური საფრთხე, როცა ადგილი არ ჰქონია თვით დანაშაულის ჩადენის მცდელობასაც. მაგალითად, ცეცხლსასროლი იარაღის უკანონოდ შექმნას და ა. შ.

აქედან გამომდინარე, სადავოა საზოგადოებრივი საშიშროების მიჩნევა დანაშაულებრივი ქმედობის დამახასიათებელ ნიშნად და დანაშაულის ცნებაში მისი შეტანა, რადგან დანაშაულის ცნების სხვა ელემენტებისაგან განსხვავებით, იგი ცვალებადი და შეფასებითი კატეგორიაა. მართალია, საზოგადოებრივი საშიშროება ახასიათებს დანაშაულებრივ ქმედობას, მაგრამ არ წარმოადგენს მის სპეციფიკურ, სხვა სამართალდარღვევებისაგან განმასხვავებელ ნიშანს. ამიტომ საჭიროდ მიგვაჩნია, რომ საზოგადოებრივი საშიშროება ან საერთოდ ამოვიღოთ დანაშაულის ცნებიდან, ან დაზუსტდეს და განიმარტოს თუ კონკრეტულად რა სახის და ზარისხის საზოგადოებრივი საშიშროება უნდა ახასიათებდეს დანაშაულს და მოცემული იქნას საზოგადოებრივი საშიშროების საკანონმდებლო განმარტება. ამასთან დაკავშირებით უფრო სწორად მიგვაჩნია საზოგადოებრივი საშიშროების ასეთი ცნობილი განმარტება: „საზოგადოებრივად საშიშად ითვლება ისეთი მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც ზიანს აყენებს ან ჰქმნის ასეთის მიყენების შესაძლებლობას სისხლის სამართლის კანონით დაცული საზოგადოებრივი ურთიერთობებისათვის“. მაგრამ აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ეს განმარტება ზოგადია და ერთნაირად მისაღებია

როგორც ადმინისტრაციული, ისე სამოქალაქო სამართალდარღვევების საზოგადოებრივი საშიშროების განსაზღვრისათვის და ვერ გვაძლევს ნათელ წარმოდგენას ქმედობის დანაშაულებრივად აღიარებისათვის საზოგადოებრივი საშიშროების საჭირო ხარისხის შესახებ.

როგორც აღვნიშნეთ, დანაშაულის ცნების მეორე აუცილებელ ნიშნად მიჩნეულია ქმედობის მართლწინააღმდეგობა.

ქმედობა შეიძლება იწვევდეს ადმინისტრაციულ ან სამოქალაქო სამართლებრივ პასუხისმგებლობას, ან იყოს საზოგადოებრივი თვალსაზრისით ამორალურიც და საზოგადოებრივად საშიშიც, მაგრამ კანონი არ აცხადებდეს მას დასჯადად. მართლწინააღმდეგობაში იგულისხმება ქმედობის წინააღმდეგობა სამართლის იმ ნორმასთან, რომლის დარღვევაც სისხლის სამართლის კანონით ისჯება.

საქართველოს რესპუბლიკის სსკ მერვე მუხლის II ნაწილის თანახმად, დანაშაულად არ ჩაითვლება მოქმედება ან უმოქმედობა, რომელიც თუმცა ფორმალურად შეიცავს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებულ რაიმე ქმედობის ნიშნებს, მაგრამ მცირე მნიშვნელობის გამო არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საშიშროებას. მაშასადამე, ასეთი ქმედობა ვერ აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების იმ ხარისხს, რაც აუცილებელია მისი დანაშაულად აღიარებისათვის. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: ამავე დროს ასეთი ქმედობა არის თუ არა მართლსაწინააღმდეგო? ამის შესახებ იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია ორი შეხედულება. კერძოდ, პროფ. ა. ტრანინი დანაშაულის შემადგენლობისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში აღნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევაში ქმედობა ფორმალურად დანაშაულებრივია და „ფორმალურად რჩება დასჯად ქმედობად გათვალისწინებული სახით“. ამასთან, მისი აზრით, ასეთი ქმედობა, მართალია, მოკლებულია საზოგადოებრივად საშიშ ხასიათს, მაგრამ მაინც შეიძლება განვიხილოთ როგორც დამთავრებული დანაშაული.

პროფ. მ. ა. შნეიდერი კი სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში უარყოფს ასეთ შეხედულებას და მიუთითებს, რომ ქმედობა არ შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, ვინაიდან იგი არ შეიცავს სისხლის სამართლის კანონით აკრძალულ დასჯად დარღვევას და, ამდენად, არ არის საზოგადოებრივად საშიში და არ შეიცავს დანაშაულის არანაირ ნიშნებს.

ზემოთ აღნიშნული საკანონმდებლო განსაზღვრებიდან გამომდინარეობს, რომ ასეთ შემთხვევაში ქმედობა, მართალია, ფორმალურად, მაგრამ მაინც შეიცავს დანაშაულის ნიშნებს, მათ შორის სისხლის სამართლებრივ მართლწინააღმდეგობას. და, თუმცა კანონმდებელი მას არ აკუთვნებს დანაშაულებრივ ქმედობათა რიცხვს, მაინც არ გამორიცხავს მისთვის სხვა სახის პასუხისმგებლობის დადგომის შესაძლებლობას.

სისხლის სამართალში პროფ. ბელინგის მიერ წამოყენებული იყო მოსაზრება, რომ მართლწინააღმდეგობასთან ერთად დანაშაულის ცალკე ნიშნად გველიაჩვენებინა ქმედობის შესაბამისობა შემადგენლობისადმი, ვინაიდან, მისი აზრით, ქმედობა შეიძლება იყოს მართლსაწინააღმდეგო, მაგრამ არ შეესაბამებოდეს დანაშაულის შემადგენლობას და პირიქით, შეესაბამებოდეს დანაშაულის შემადგენლობას, მაგრამ არ იყოს მართლსაწინააღმდეგო.

პროფ. ნ. ღურმანოვი დანაშაულის ცნებისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში აკრიტიკებს აღნიშნულ მოსაზრებას და აღნიშნავს, რომ შემადგენლობისადმი შესაბამისობა არა თუ არ არის, არამედ არც შეიძლება იყოს დანაშაულის ცნების ერთ-ერთი ნიშანი. მაგრამ თავის ამ შეხედულების დასასაბუთებლად ვერ მოჰყავს დამაჯერებელი არგუმენტები.



მართალია პროფ. ბელინგის მიერ მოცემული დანაშაულის ცნების ზემოთ აღნიშნული მოსაზრება, ნამდვილად არის *idem per idem* განმარტება და შეიძლება არსებობდეს მხოლოდ სამართლებრივ სახელმწიფოში, სადაც გაბატონებული იქნება კანონის უზენაესობა და სისხლის სამართლის აღიარებული პრინციპები, რისთვისაც ჩვენს დემოკრატიულ რესპუბლიკას, სამწუხაროდ, ჯერ არ მიუღწევია, მაგრამ ეს არ გვაძლევს საფუძველს უარი ვთქვათ უფრო დახვეწილ დანაშაულის ცნების განმარტებაზე, მით უმეტეს, რომ დღეს დაჩქარებული ტემპით მიმდინარეობს სამართლებრივი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესი და სასამართლო რეფორმა. ამიტომ, სავსებით მართებულად და მისაღებად მიმაჩნია ბელინგის ეს შეხედულება: ქმედობის შემადენლობისადმი შესაბამისობა სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში მიცემის აუცილებელი პირობაა. თუ ქმედობა რაიმე ნიშნით არ შეესაბამება დანაშაულის შემადენლობას, მაშინ იგი არც შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივ ქმედობად. დანაშაულის ცნებაში ამ მოთხოვნის შემოტანა, ვფიქრობთ, კიდევ უფრო დახვეწდა და დაზუსტებდა დანაშაულის განსაზღვრებას, ამასთან კანონის ანალოგიის არარსებობის პირობებში კიდევ უფრო აუცილებელი ხდება დაცვა პრინციპისა „*nulum crimen sine lege*“.

სისხლის სამართალში მოქმედებს პრინციპი: არ არსებობს დანაშაული სასჯელის გარეშე და არ არსებობს სასჯელი კანონში მისი გათვალისწინების გარეშე. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს უმნიშვნელოვანესი პრინციპიც არ არის ასახული სათანადოდ დანაშაულის საკანონმდებლო განსაზღვრებაში.

დანაშაულის ცნებაში დასჯადობის დამოუკიდებელ ელემენტად შეტანის საკითხთან დაკავშირებით იურიდიულ ლიტერატურაში ორი ძირითადი შეხედულება არსებობს. პროფ. ტაგანცევი უარყოფდა დასჯადობას, როგორც დანაშაულის ნიშანს და აღნიშნავდა რომ სსკ-ში ვხვდებით მთელ რიგ დანაშაულებრივ ქმედობებს, რომლებიც არ იწვევენ სასჯელს ან რომელთა სასჯელი არსებითად დისციპლინარული სახდელის თანაზომიერიაო. ასევე, დიდი ქართველი მეცნიერის ანდრონიკაშვილის აზრით დასჯადობა არ უნდა ჩაითვალოს სისხლის სამართლის დანაშაულის აუცილებელ ელემენტად. პროფ. გ. ტყეშელაიძის და თ. წერეთლის აზრით კი დანაშაულის ცნების განმარტება დასჯადობის მომენტსაც უნდა შეიცავდეს.

შესაძლებელია სათანადო სიღრმით ვერ ჩაეწვდი პროფ. ტაგანცევის და ანდრონიკაშვილის ზემოთ აღნიშნულ მოსაზრებას, მაგრამ იგი მაინც სადაოდ მიმაჩნია. მართალია, სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებს ისეთ ქმედობებსაც, რომლებიც პირდაპირ არ იწვევენ სისხლის სამართლის პასუხისმგებლობას, ან ითვალისწინებენ პასუხისმგებლობისაგან და სასჯელისაგან გათავისუფლებასაც, მაგრამ დანაშაულის ცნებაში დასჯადობის შეტანაზე უარის თქმის ასეთი მოტივირება, ჩემი აზრით, საკმარისი არ არის. სსკ, მართალია, ითვალისწინებს ქმედობებს, რომლებსთვისაც პირს საერთოდ ან განსაზღვრულ შემთხვევებში არ ეკისრება პასუხისმგებლობა, მაგრამ აქ იგულისხმება, რომ ეს ქმედობანი მხოლოდ მოცემულ შემთხვევაში და ფარგლებში, ან მოცემული პირის მიერ ქმედობის ჩადენისას არ შეიცავენ დანაშაულისათვის დამახასიათებელ ყველა ნიშანს (სსკ 13, 15, 16, 18, მუხ.). ამასთან დასჯადობის, როგორც დანაშაულის ნიშნის უარყოფა არსებითად ეწინააღმდეგება სისხლის სამართლის უმთავრეს პრინციპს.

სისხლის სამართლის ნორმა სახელმწიფოს მიერ დადგენილი ქცევის წესია, რომლის შესრულება უზრუნველყოფილია სახელმწიფოს იმულებით. თვითონ სისხლის სამართლის ნორმა თავისთავად მართლწინააღმდეგობას და დასჯა-

დობასაც მოიცავს, თუ ნორმა არ ითვალისწინებს სანქციას, მაშინ იგი კარგავს სისხლისსამართლებრივ მნიშვნელობას. „არ იქურდო“ თავისთავად სანქციის გარეშე (ან ქურდობა — სხვისი ქონების ფარულად დაუფლება) არ წარმოადგენს სამართლის ნორმას. იგი ზნეობის ნორმაა. სანქცია გამოხატავს ქმედობის თვისებას — მის სიმძიმეს, ხასიათს, საზოგადოებრივი საშიშროების ხარისხს. სსკ-ში ნორმის არსებობა თავისთავად არ განსაზღვრავს მის სისხლისსამართლებრივ ხასიათს. მაგ., სსკ 250<sup>2</sup> მუხ. ფაქტობრივად დისციპლინური გადაცდომაა, რადგან ასეთი ქმედობისთვის (ცხოველებისადმი სასტიკი მოპყრობა) პირი შეიძლება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობაში იქნეს მიცემული, თუ მის მიმართ ასეთივე ქმედობისათვის ერთი წლის განმავლობაში გამოყენებული იყო აღმინისტრაციული სახდელი.

აქედან გამომდინარე, ჩემი აზრით, დასჯადობა, როგორც სახელმწიფოს მიერ სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული აკრძალული ქმედობის ჩადენისათვის დადგენილი იძულებითი ღონისძიება, დანაშაულის ცნების აუცილებელ და დამახასიათებელ ნიშნად უნდა მივიჩნიოთ.

რაოდენ დიდი საზოგადოებრივი საშიშროების, მართლწინააღმდეგობის და დასჯადობის შემცველი არ უნდა იყოს ქმედობა, იგი არ იქნება დანაშაული და მის ჩამდენ პირს არ დაეკისრება სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ბრალეულობის გარეშე, ვინაიდან საქართველოს რესპუბლიკის სსკ მე-3 მუხლის თანახმად: „სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა ეკისრება და სასჯელი ედება მხოლოდ იმ პირს, ვისაც ბრალი მიუძღვის დანაშაულის ჩადენაში“. ამიტომ მიზანშეწონილად მიმაჩნია, დანაშაულის ცნების საკანონმდებლო განსაზღვრებაში მითითებული იყოს აგრეთვე პირის ბრალეულობა.

იურიდიულ ლიტერატურაში სადაოდაა მიჩნეული დანაშაულის ცნებაში ამორალურობის ნიშნის შეტანა. ეს საკითხი თვით სისხლის სამართლის სახელმძღვანელოებშიც ერთნაირად არ არის გადაწყვეტილი. ა. ა. გერცენზონი, ვლადიმეროვი და სხვანი ამორალურობას განიხილავენ დანაშაულის ცნების დამოუკიდებელ ნიშნად და იგი შეაქვთ მის მეცნიერულ განსაზღვრებაში. ასევე ბ. ზორნაბუჯელის აზრით დანაშაული სხვა სამართალდარღვევებისაგან განსხვავებით საზოგადოებისთვის ყოველთვის ამორალური, შეუთავსებელი ქმედობაა და ეს თვისება, სხვა ნიშნებთან ერთად, ასახული უნდა იყოს დანაშაულის ცნებაში.

პროფ. ა. ი. გრიშაევი 1982 წელს გამოცემულ სისხლის სამართლის სახელმძღვანელოში აღიარებს დანაშაულის ამორალურობას, მაგრამ იქვე აღნიშნავს, რომ არა ყოველგვარი ამორალური ქმედობა აღწევს საზოგადოებრივი საშიშროების იმ ხარისხს, როცა მისთვის გათვალისწინებული უნდა იყოს სისხლის სამართლის სასჯელი. თ. წერეთელისა და გ. ტყეშელიაძის აზრით, ამორალურობის შეტანა დანაშაულის განსაზღვრებაში იქნებოდა იმის აღიარება, თითქოს დანაშაულის სხვა ნიშნებში ეს მომენტი მოცემული არ იყოს<sup>2</sup>.

ასევე პროფ. შ. ფაფიაშვილი არასწორად თვლის ამორალურობის ნიშნის შეტანას დანაშაულის ცნებაში. თანამდებობრივი დანაშაულისადმი მიძღვნილ მონოგრაფიაში იგი წერს, რომ ამორალურობა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას დანაშაულის ცნების ნიშნად, რადგან, ჯერ ერთი, არა ყოველგვარი ამორალური ქმედობაა დანაშაული და, მეორეც, ძნელია მოიძებნოს ისეთი ობიექტური კრიტერიუმი, რომელიც განასხვავებს ამორალურ დანაშაულებრივ ქმედობას, ამორალური არადანაშაულებრივი ქმედობისაგან.

ის, რომ ყოველგვარი დანაშაული ამორალური ქმედობაა, ერთხმად იყო

<sup>2</sup> თ. წერეთელი, გ. ტყეშელიაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 60.

ადიარებული როგორც წინა საუკუნეების, ისე თანამედროვე იურისტების მიერ თეოკრატიულ სახელმწიფოში, სადაც სამართალი ძალიანად ემყარებოდა რელიგიას, დანაშაული და ამორალურობა ცოდვის ერთიან სფეროში იყო შერწყმული (მაგალითად, ავესტა, შარიათი, და სხვ.). მოგვიანებით ხდება ცოდვის სფეროსა და დანაშაულის გამიჯვნა. კანონიკური სამართალი, ნომოკანონი და სხვანი ცოდვად მიიჩნევდნენ იმასაც, რაც სახელმწიფოს აზრით საკვებით მართლზომიერი და სავალდებულოც იყო. სახელმწიფოს როლის გაზრდისა და ეკლესიის უფლებების შეზღუდვის კვალობაზე შემდეგ უფრო მკვეთრად იქნა ურთიერთგამიჯნული ამორალური, ცოდვილი საქციელი და დანაშაული.

თუმცა ყოველგვარი დანაშაული ამორალურია, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იძლევა იმის საფუძველს, რომ ამორალურობა მიეიჩნით დანაშაულის ცნების აუცილებელ ნიშნად. ამორალურობის ცნება უფრო ფართოა ვიდრე დანაშაულისა. მორალის ნორმები მოიცავენ საზოგადოებრივ ურთიერთობებს ცხოვრების ყველა სფეროში, ხოლო სისხლის სამართალი იცავს მხოლოდ უმნიშვნელოვანეს საზოგადოებრივ ურთიერთობებს და ისიც მხოლოდ მაშინ, როცა მათი დაცვა სისხლისსამართლებრივი სასჯელების დაწესების გზით ყველაზე ეფექტიანია. მოქმედი სისხლის სამართლის კანონით დასჯად ქმედობადაა მიჩნეული არა მარტო დამთავრებული დანაშაული, არამედ თვით დანაშაულის მომზადება და მცდელობაც. ამიტომ დანაშაულის ცნებაში ეს გარემოებაც გარკვეულ წილად უნდა აისახოს.

ზემოთ აღნიშნულიდან გამომდინარე, დანაშაულის ცნების საკანონმდებლო და მეცნიერულ დეფინიციებს შორის დღეს არსებული შეუსაბამობის თავიდან ასაცილებლად, ჩემი აზრით, მიზანშეწონილია ახალ სისხლის სამართლის კოდექსში დანაშაულის ცნება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად:

„დანაშაულად ითვლება სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული განზრახ ან გაუფრთხილებლობით ჩადენილი დასჯადი ქმედობა (მოქმედება ან უმოქმედობა), რომელიც ხელყოფს (ზიანს აყენებს ან ქმნის ასეთის მიყენების რეალურ საფრთხეს) სისხლის სამართლის კანონით დაცულ ობიექტებს“.



## ჩვენი ინტერვიუ

ვინც გულისხმობს ადევნებს თვალს ქართულ პერიოდულ პრესას, ალბათ უცნო არ იქნება მისთვის ის მკვეთრად გამოხატული უარყოფითი მოსაზრებები, რაც არაერთხელ გამოუთქვამს საარბიტრაჟო სასამართლოსა და მის პრაქტიკულ საქმიანობაზე, ჩვენი ჟურნალის რედკოლეგიისა და საქართველოს იურისტთა კავშირის პრეზიდიუმის წევრს, კერძო საადვოკატო საქმიანობის ფირმა „პირადი ადვოკატის“ პრეზიდენტს ბატონ ნოდარ ნაბიერიძეს.

საუბარი, რომელიც ამასწინათ შედგა ჟურნალ „სამართლის“ პ/მგებელ მდივანს ანზი არსენაშვილსა და ბ.ნ. ნოდარ ნაბიერიძეს შორის, სწორედ ამ თემას შეეხება და ვფიქრობთ, იგი საინტერესო უნდა იყოს ჩვენი მკითხველისათვის. გთავაზობთ ამ საუბრის ჩანაწერს და იმედს გამოვთქვამთ, რომ სამეურნეო სამართლის სპეციალისტები, იურისტები, თავიანთ მოსაზრებებს აუცილებლად გამოთქვამენ საარბიტრაჟო პრაქტიკის საკვანძო პრობლემებზე.

**კორესპონდენტი:** ბატონო ნოდარ, თქვენ არა ერთი და ორი მწვავე მოსაზრება გამოაქვეყნეთ პრესის ფურცლებზე საქართველოს უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს სტრუქტურებსა და იმ „სამართალგამოყენებით“ საქმიანობაზე, რომელსაც ეს უწყება ეწევა. უფრო მეტიც, ჩვენს ჟურნალში გამოქვეყნებულ სტატიაში („სამართალი“, № 3-92 წ.). საარბიტრაჟო სასამართლო საქართველოს იუსტიციის ზედმეტ რეგულაციას კი მიიჩნით. მას შემდეგ წელიწადზე მეტი გავიდა. ხომ არ შეგეცვალათ აზრი ან რა მოხდა ამ წნის მანძილზე?

**ნოდარ ნაბიერიძე** – 1992 წელს ჟურნალ „სამართლის“ მესამე ნომერში დაიბეჭდა ჩემი პოლემიკური სტატია „რატომ შეიქმნა მეორე უზენაესი სასამართლო“, ამ სტატიაში ასეთმა ფრაზამაც „გაიჟღერა“: „საქართველოს ე. წ. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლო წმინდა იურიდიული ნონსენსია“.

ეს შეურაცხმყოფელი სტრიქონები „ხაზვიით“ შემრჩა... საარბიტრაჟო სასამართლოს „ბოსებმა“ დუმილი არჩიეს. მერე და მერე მთლად „ავიში“ და სხვადასხვა გაზეთებში ერთი „ვაიუშველებელი“ ავტეხე: რა ეპითეტები არ ვინმარე უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს „შესამკობად“... ჩამოგითვლით მხოლოდ სათაურებს: „ეკონომიკის ცენტრი“, „საარბიტრაჟო სასამართლო უნდა გაუქმდეს“, („თბილისი“ 12.06.93 წ.) „უკანონობა კანონის ნიღბით“ („დრონი“ 31.06.92 წ.). პასუხად კვლავ დუმილი. ბოლოს მთლად გავკადნიერდი და საარბიტრაჟო სასამართლოს „აზდაკის სასამართლო“ ვუწოდე (გაზ. „დრონი“ 25.12.92 წ.), მაშინ კი ვიფიქრე: თუ დუელში არავინ გამომიწვევს, ოფიციალურ სასამართლოში მაინც მიხმობენ მეთქი „სამართალმწარმოებელი“ ორგანოს შეურაცხყოფისათვის, მაგრამ გაგიგონიათ?! „აზდაკის სასამართლო“-მ ყურიც არ შეიბერტყა... სამაგიეროდ, რესპუბლიკის პროკურატურის საერთო ზედამხედველობის პროკურორის ბ.ნ. იური ვაბისონიას „უმტყუნა ნერვებმა“ და გავეთ „თბილისის“ ფურცლებზე „ლოგიკისა და კორექტულობის დეფიციტის“ უქონლობაში დამადანაშაულა. პროკურორის გამოსარჩლებამ, მართალია, მთლად კარგი შთაბეჭდილება ვერ დატოვა (პროკურორებს უჭირთ ადვოკატობა!), მაგრამ ჩემი ოპონენტის მადლობელი ვარ, რომ გამეპაექრა მაინც! მოგესხნებათ

კამათში ჭეშმარიტება იბადება. ასე რომ, ჩემი (და არა მართო ჩემი) უარყოფითადამოკიდებულება ე. წ. უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს მიმართ, უფრო და უფრო ღრმავდება. საქმეში მეცნიერ იურისტებიც ჩაებნენ. როგორც მოგეხსენებათ, უფრო „სამართალში“ (№ 1-2, 1993 წ.) დაისტამბა სამართლის ინსტიტუტის დირექტორის პროფესორ თენგიზ ლილუაშვილის სტატია – „სასამართლო რეფორმის კონცეფცია“, სადაც ბ-ნი თენგიზი მეცნიერულად ასახულებს, რომ „საარბიტრაჟო სასამართლოს არსებობის შენარჩუნება მომავალში აღარ შეიძლება“. არადა, ეს „მომავალი“ ძალზე გრძელი გამოდგა, რადგან საარბიტრაჟო სასამართლო მესამე წელია უკანონოდ საქმიანობს, ყოველი მისი გადაწყვეტილება ეკონომიკური დივერსიაა და მეტი არაფერი. თვითონ განსაჯეთ – მესამე წელია საარბიტრაჟო სასამართლოს „ნომენკლატურა“ ამოდ ჯახირობს, რომ როგორმე იქნას მიღებული არბიტრაჟის წარმოების კოდექსი, მაგრამ იუსტიციის სამინისტრომ სრულიად კანონიერად გადაუღობა გზა ამ კოდექსს. მართლაცდა, ყოველად დაუშვებელია ერთი სახელმწიფოს ფარგლებში, სამოქალაქო უფლებრივ ურთიერთობებს არეგულირებდეს ორი დიამეტრალურად ურთიერთსაწინააღმდეგო საპროცესო კოდექსი და აბსოლიტურად სხვადასხვა პრინციპებით მოქმედი ორი უზენაესი სასამართლო! მე პირადად იმის შთაბეჭდილება შემექმნა, რომ არბიტრაჟის მესვეურთ, არც აწყოთ ამ კოდექსის მიღება.

– კი მაგრამ, საარბიტრაჟო სასამართლოს კანონში ხომ არის მითითებული ის ნორმატიული აქტები, რომლებითაც საარბიტრაჟო სასამართლო ხელმძღვანელობს თავის პრაქტიკულ საქმიანობაში?

– სწორედ აქ მარხია „ძალის თავი“, რადგან საარბიტრაჟო სასამართლოს კანონში მითითებული სასამართლო წარმოების კოდექსი, როგორც ძირითადი სამართალწარმოების ნორმატიული აქტი, ბუნებაში არ არსებობს! სამაგიეროდ წინა ხელისუფლებამ, „მრგვალმა“ კანონმდებლებმა, ჩვენ საარბიტრაჟო სასამართლოს უფლება მისცეს: „კანონით დადგენილ შემთხვევებში გამოიყენოს როგორც სსრკ-ის, ასევე სხვა მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობაც, თუ ის საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას არ ეწინააღმდეგება“. (იხ. კანონის მე-3 მუხლი).

– აბა რაღას ვერჩით საარბიტრაჟო სასამართლოს?

– ნება მიბოძეთ ჩემი ნათქვამი დავადასტურო ფაქტებით. მე ხელთ მაქვს საარბიტრაჟო სასამართლოს პრაქტიკულ საქმიანობაში დაშვებული წინასწარ განზრახული არაერთი „შეცდომა“, რაც, ჩემის აზრით, ჰიუტევებელია. საქმე შემდეგში მდგომარეობს: საარბიტრაჟო სასამართლოს კანონის მე-3 მუხლი ყოფილი სსრ კავშირის და მოკავშირე რესპუბლიკების კანონმდებლობის გამოყენების უფლებას საარბიტრაჟო სასამართლოს მხოლოდ იმ შემთხვევაში აძლევს, თუ ის „კანონები არ ეწინააღმდეგება საქართველოს რესპუბლიკის კანონმდებლობას“. თუ ასეა (და ეს ნამდვილად ასეა) ისმის ბუნებრივი კითხვა: რატომ აიღო კურსი საქართველოს დღევანდელმა საარბიტრაჟო სასამართლომ მხოლოდ და მხოლოდ ყოფილი სსრ კავშირის კანონებზე? რატომ კეთდება ყველაფერი უკუღმა?

– თქვენ ნათქვამს ხომ არ განამტკიცებდით პრაქტიკული მაგალითებით?

– აიღეთ საარბიტრაჟო სასამართლოში გარჩეული ნებისმიერი საქმე და თქვენ დარწმუნდებით, რომ ყველა გადაწყვეტილება, როგორც წესი, დაფუძნებულია მხოლოდ და მხოლოდ არარსებული სსრ კავშირის კანონებზე, რომლებიც მხოლოდ მოსკოვშია რუსულად გამოცემული და ქართულად არც კი გვითარგმნია. ეს კანონებია:

1) „სსრ კავშირის არბიტრაჟების მიერ სამეურნეო დავების განხილვის წესები“. (დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს მიერ 1980 წლის 5 ივნისს; და ახალი რედაქციით 1988 წლის 16 აპრილს).

2) სსრ კავშირის რკინიგზის დებულება. (დამტკიცებულია სსრკ მინისტრთა საბჭოს 1964 წლის 6 აპრილის № 270 დადგენილებით).

3) სსრ კავშირის საიჯარო კანონმდებლობის საფუძვლები. (მიღებულია სსრკ უმაღლესი საბჭოს სესიაზე).

4) სსრ კავშირის სახელმწიფო არბიტრაჟის ინსტრუქციები და მეთოდურა მითითებები (მიღებულია სხვადასხვა დროს სსრკ არბიტრაჟის პრეზიდიუმის მიერ).

5) სსრ კავშირის კანონი პრეტენზიის წაყენების შესახებ და სხვა.

აქედან გამომდინარე, საარბიტრაჟო სასამართლოს ნებისმიერი გადაწყვეტილება ასე მთავრდება: ვიხელმძღვანელებ რა (?) სსრ კავშირის კანონით სამეურნეო დავის განხილვის წესების 49, 77-ე მუხლებით, 79-ე მუხლის პირველი პუნქტით, სასამართლოს წევრმა გადაწყვიტე... (იხ. საქმე № 19/1 23.02.93 წ. სასამართლოს წევრი მ. ნასარიძე). იმავე № 19/1 საქმეზე საარბიტრაჟო სასამართლოს სახელმძღვანელო კოლეგიის დადგენილებაში № ზ-1/50 (20.05.93 წ.) ვკითხულობთ: „იხელმძღვანელა რა, სსრ კავშირის კანონით, სამეურნეო დავების განხილვის 96-ე მუხლით, კოლეგიამ დაადგინა“ და ა. შ.. და ამ წესს არავითარი გამონაკლისი არა აქვს. როგორ მოგწონთ?

— ბატონო ნოდარ! თქვენ ალბათ გაეცანით ჩვენს ჟურნალში დასტამბულ (№ 5-6, 1993 წ.) საარბიტრაჟო სასამართლოს პრაქტიკას, რას გვეტყოდით ამის შესახებ?

— როგორც თქვენს ჟურნალში გამოქვეყნებული მასალიდან ჩანს, საარბიტრაჟო სასამართლოს თეორეტიკოსების „სამართლებრივი აზროვნება“ ყოფილა სსრ კავშირის რკინიგზის „უსტავის“ იქით ვერ მიდის. „პრაქტიკა“ გვაუწყებს, რომ საარბიტრაჟო სასამართლო სსრ კავშირის რკინიგზის „უსტავს“ იყენებს როგორც ნორმატიულ, სამართლებრივ აქტს და თავის გადაწყვეტილებას „უსტავის“ 173-ე და 169-ე მუხლებზე აფუძნებს. სამართლებრივი თვალსაზრისით ეს სრული აბსურდია, რადგან „უსტავი“ ანუ დებულება, ამა თუ იმ სახელმწიფო, კოოპერაციული თუ კერძო სტრუქტურული წარმონაქმნის სტრუქტურას, ფუნქციებს, კომპეტენციებს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს. მაგალითად, ავიღოთ დებულება მებაღეობის ამხანაგობის შესახებ. იგი სავალდებულოა მხოლოდ მებაღეობის ამხანაგობის წევრებისთვის და არავითარ უფლება-მოვალეობას არ წარმოშობს სხვა იურიდიული ან ფიზიკური პირებისთვის, რომლებიც მებაღეობის ამხანაგობის წევრები არ არიან.

ყოფილი სსრ კავშირის რკინიგზა ძველ არბიტრაჟსა და ახლანდელ საარბიტრაჟო სასამართლოში მონაწილეობდა როგორც სამართლის სუბიექტი (გადამხიდავი ორგანიზაცია). კანონის ძალით სამართლის სუბიექტები სასამართლოს წინაშე თანაბარი უფლებებით უნდა სარგებლობდნენ. სამწუხაროდ, კომუნისტურმა კანონმდებლებმა რკინიგზას „ლომის უფლებები“ მისცა, ხოლო მის კლიენტებს კურდღლისა. აბა წარმოიდგინეთ საარბიტრაჟო „რინგზე“ ლომისა და კურდღლის შერკინება, იმ ლომისა, რომელიც მოსამართლე არბიტრის მეშვეობით თავის მოწინააღმდეგეს ლომის წესებით („უსტავით“) ელაპარაკება! საწყალი კურდღელი!!!

როგორც მოგესვენებთ, საქართველოს რკინიგზა დღეს აღარ შედის სსრ კავშირის რკინიგზის შემადგენლობაში, იგი დამოუკიდებელი დეპარტამენტია. მაგრამ ჩვენ საარბიტრაჟო სასამართლოში მაინც ლომად დარჩა, რადგან ლომური „უსტავი“ კვლავ ორლესული მახვილივითაა აღმართული კურდღლების

თავზე. ყოველ შემთხვევაში, თქვენს ჟურნალში დაბეჭდილი პრაქტიკა ამაზე მეტყველებს...

ამასწინათ ჩვენი რკინიგზის „ლომებმა“ გროხნოში მამასისხლად ნაყიდი ორი ვაგონი ბენზინი თბილისის მისადგომებთან ააყირავეს. დაიდვარა ოქროსავით სითხე; კერძო ფირმა „ვაზისუბანმა“ 27.738.000 მანეთი იზარალა. (1 კგ. ბენზინი 134 მანეთად იყო ნაყიდი). დაზარალებულის დაცვა ჩემმა ფირმამ იკისრა და პრეტენზიაც ვაახლეთ ბ-ნ რეში ვაშაკიძეს. როგორც წესი, რკინიგზის „ლომებმა“ პრეტენზია უარყვეს. მეც „ეშმაკური“ ხერხით, საქმე ჩვეულებრივ სასამართლოს გადავეცი და საქართველოს კანონებით მოვითხოვე ზარალის ანაზღაურება, მაგრამ ოფიციალურმა იუსტიციამ, ოფიციალური განჩინებით დამიბრუნა საქმე... ჩვენი განსჯადი არ არისო და საარბიტრაჟო სასამართლოსაკენ მიმითითეს! როგორ მოვიქცე არ ვიცი. აბა მითხარით, ღირს ამ საქმის საარბიტრაჟო სასამართლოში აღძვრა? 27 მილიონ ზარალს კიდევ 15 პროცენტით სახბაჟოც უნდა გადავაყოლო? ხომ ვიცი, განწირული ვარ!

— თქვენ ძალიან მუქი ფერებით დაგვიხატეთ საქმის ვითარება, გამოსავალს რაში ხედავთ?

— გამოსავალი ერთია, საარბიტრაჟო სასამართლომ, დაე, თავისი საქმე აკეთოს. პროფ. თენგიზ ლილუაშვილი ცამდე მართალია. თუ მაინცდამაინც არ უნდათ, რომ შეეღიონ ამ კომუნისტურ წარმონაქმნს, სახელმწიფო არბიტრაჟმა სახელმწიფო ორგანიზაციების სარჩელები უნდა განიხილოს, კერძო სტრუქტურებმა კი თავისი უფლებების დასაცავად ჩვეულებრივ სასამართლოს უნდა მიმართონ. ყოველ შემთხვევაში, კერძო სტრუქტურებს უნდა ჰქონდეთ (და აქვთ კიდევაც) არჩევანის უფლება.

ამ რთული პრობლემის შესახებ საარბიტრაჟო სტრუქტურებს „პირველი ტორპედო“ ჯერ კიდევ 1988 წელს ვესროლე; „არბიტრაჟი — მედლის ორი მხარე“ (გაზ. „თბილისი“ 14.07.88 წ.), რომელსაც მწვავე წერილების სერია მივაყორლე. ოფიციალურმა იუსტიციამ დასმულ პრობლემას წააყრუა, ხოლო არბიტრაჟში კი „გაისუსნენ“. გახსოვთ ალბათ, ჩემი ერთ-ერთი სტატია, რომელიც ოფიციალურ პრესაში დაისტამბა: „სუუ? კი ბატონო სუუ! მაგრამ როდემდე?“ (გაზ. კომუნისტი“, 4.03.90 წ.) სამწუხაროდ, „წაყრუება“ და „გაისუსვა“ მეხუთე წელია გრძელდება, ხოლო სასამართლოს რანგში აყვანილი წისქვილი კი ფქვავეს და ფქვავეს ქვასა და ღორღს...

მინდა მივმართო ჩვენს პარლამენტს, პატივცემულ კოლეგებს, საყვარელ მასწავლებლებსა და მეგობრებს, იურისტებს, ბატონებს; გივი ინწიკრველს, სერგო ჯორბენაძეს, თედო ნინიძეს, მინილა უგრეხელიძეს, თენგიზ ლილუაშვილს, ლადო ჭანტურიას, დავით მელიქიშვილს, შალვა ნათელაშვილს და სხვებს...

ბატონებო, დამიჭირეთ მხარი ჩემს სამართლიან ბრძოლაში უზენაესი საარბიტრაჟო სასამართლოს წინააღმდეგ, რომელიც დიდხანია შეიმჩნევა! ე. წ. „სამართალგამოყენებით დივერსიაში“. თუ გვინდა რომ კანონი კანონობდეს, თუ ნამდვილად გვსურს ავაშენოთ სამართლებრივი სახელმწიფო, ჩემი ღრმა რწმენით — „კართაგენი უნდა დაინგრეს“.

— დიდი მადლობა, ბატონო ნოდარ, გულახდილი და პირუთვნელი საუბრისათვის. მისი შეფასება კი სეციალისტებისათვის მივინდია.



ბათიანა დელა მარა

## პროკურატურა „ახალ“ რუსეთში\*

(სისხლის სამართლის პროცესში ბრალდების ფუნქციის გამოკვლევისათვის)

1. რუსეთის სწრაფვა ახალი ორგანიზაციული სტრუქტურებისაკენ, რომელთა ზუსტი საზღვრები ჯერ კიდევ გაურკვეველია, დაიწყო გარდაქმნისა და საჯაროობის საფუძველზე. თანდათანობით აღმოსავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში და განსაკუთრებით რუსეთში, აღმოცენდა ძირითადი ლიბერალური პრინციპები. მათ შორის უმნიშვნელოვანესია სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი; მაგრამ ეს პრინციპი განხორციელდება მხოლოდ მაშინ, როცა შესრულდება მისი არსებობისათვის აუცილებელი ყველა პირობა (ხელისუფლების განაწილება, კანონის უზენაესობა, ადამიანის, მისი უფლებებისა და ძირითადი თავისუფლებების გადაფასება).

ბრძოლა ახალი კონსტიტუციური კანონიერების დამკვიდრებისათვის გულისხმობს აგრეთვე სისხლის სამართლის პროცესის საბჭოური მოდელის საფუძვლიან რეფორმას. სასამართლო ორგანოების პარტიული სტრუქტურებისადმი მკაცრი დაქვემდებარების პირობებში აღმოცენებული საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესი გამოხატავს პიროვნებისა და სახელმწიფოს ურთიერთობის იმ კონცეფციას, რომელიც დაფუძნებულია სახელმწიფო დამსჯელი ორგანოების მოთხოვნათა უზენაესობაზე მოქალაქეთა თავისუფლების გარანტიებთან მიმართებაში.

საუბარია კონტინენტური ტრადიციის მსგავს მორფოლოგიურად შერეულ პროცესზე, სადაც გამოძიების ელემენტები სასამართლო განხილვის სტადიაზე შეხამებულია შეჯიბრებითობის ზოგიერთ ტიპურ ასპექტთან. რეალურად არა მარტო გამოძიებელი და პროკურორი, არამედ თვით სასამართლოც ახორციელებს პროცესში ბრალდების ფუნქციას „ყოველმხრივი, სრული და ობიექტური“ გამოკვლევის შესაბამისად. არსებითად აქედან წარმოსდგება სისხლის სამართლის პროცესის სუბიექტებს შორის რამდენადმე შესამჩნევი განსხვავების არარსებობა: არა მარტო სასამართლო ხელისუფლებაა აღრეული ბრალდებასთან, არამედ პროცესის ერთიდაიმავე სუბიექტს ეკისრება სხვადასხვა ხასიათის ამოცანის გადაწყვეტა; სასამართლო ყალიბდება სუბიექტებისაგან, რომელთაც ნიშნავს ბრალდება; პროცესის წარმმართველებს ენიჭებათ ბრალდების, დაცვისა და სასამართლოს ფუნქციები; ამასთან, პროკურორი, ერთი მხრივ, აწარმოებს გამოძიებას და მეორე მხრივ, საგამოძიებო აქტების კანონიერებაზე ზედამხედველობას; გადამწყვეტი მნიშვნელობის ფაქტების შეგროვება ხდება გამოძიებისაგან საიდუმლოდ, სადაც დომინირებს გამოძიების ინტროსპექტული ტექნიკა; სასამართლო ხშირად ცარიელი ფორმალურია.

რუს იურისტთაგან დღეს არავინ უარყოფს, რომ აუცილებელია საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის რეფორმა. ამის საილუსტრაციოდ გამოდგება სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის საფუძვლების პროექტის ოთხი ვარიანტის შემუშავება, რაც ყველა ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკაში გან-

\* სტატია იბეჭდება მცირეოდენი შემოკლებით.



ვითარების საერთო ნორმატიულ ტენდენციას წარმოადგენს, აგრეთვე, რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის ორი პროექტის არსებობა.

გამოიკვეთა ტენდენცია, რომ განსხვავებული აზრისათვის რეპრესიებისა და ბრალეულობის პრეზუმფციის უარყოფასთან ერთად აუცილებელია განხორციელდეს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის „დემოკრატიზაცია“, სასამართლო ხელისუფლება გადაიქცეს სახელმწიფო ხელისუფლების ერთ-ერთ განშტოებად; გამოიხატოს სისხლის სამართლის პროცესებზე კანონის დაცვის საგარანტიო მექანიზმები, განხორციელდეს იმ სამოქალაქო უფლებების დაცვა, რომლებიც სისხლის სამართლის პროცესის სფეროს განეკუთვნებიან; დაძლეულ იქნას პრაქტიკოსთა წინააღმდეგობა, რომელიც სისხლის სამართლის იუსტიციის ოფიციალური მოდელიდან გამომდინარეობს.

2. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმაზე მომუშავენი ყურადღებას, უწინარესად, პროკურატურას მიაპყრობენ, რომელიც ძირითადად ჩვენი სახელმწიფო სამინისტროს მსგავსია. სწორედ სახელმწიფო ბრალდების სფეროში წარმოიქმნება თითქმის ყველა ის სიძნელე და პრობლემა, რომლებიც აბრკოლებენ დანაშაულის გამოძიების სახელმწიფოებრივ საქმეს.

საკითხის სირთულე საფუძველშივე უარყოფს რაიმე სისრულის პრეტენზიას. ამ მხრივ მიუთითებენ მხოლოდ ორ პრობლემაზე, რომლებიც დღეს საბჭოურ დოქტრინაში საფუძვლიანი განხილვის საგანია: ერთი მათგანი დაკავშირებულია პროკურატურის უფლებამოსილებასთან, ხოლო მეორე — პროკურატურის ადგილთან სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების პირობებში.

თითქმის ყველა ყოფილ სოციალისტურ ქვეყანაში პროკურატურა არის განსაკუთრებული ორგანო, რომლის ძირითადი უფლებამოსილება გამოიხატებოდა ქვეყნის ადმინისტრაციულ და სამართლებრივ ცხოვრებაში სოციალისტური კანონიერების პრინციპის დაცვაზე ზედამხედველობით.

სისტემის არათანაზომიერება, თავის მიზნად აცხადებდა „სოციალურ დაცვას ნებისმიერ ფასად“ და კანონიერებაზე ზედამხედველობის ორგანოდან პროკურატურა მაინც გადააქცია იძულების ინსტრუმენტად პარტიის ხელში. პროკურატურა ხშირად იყო დაკავებული ადმინისტრაციული საკითხების გადაწყვეტით, ითვისებდა მისთვის უჩვეულო კომპეტენციას და ხშირად ერეოდა სასამართლოს გადაწყვეტილებებში. თუ გავიხსენებთ, რომ ხელმძღვანელებს ირჩევდნენ ადგილობრივ ხელისუფალთაგან,<sup>1</sup> რომელთაც უნდა გამოეყობ შენობა სასამართლოსათვის და საცხოვრებელი ბინები თვით მოსამართლეებისათვის, მაშინ გასაგებია, თუ რატომ იყო მოსამართლეთა დამოუკიდებლობის პრინციპი მხოლოდ ლიტონი ფორმულა, ასე ხშირად რომ მოიხსენიებოდა საბჭოთა ნორმატიულ აქტებში. გავრცელებული იყო აზრი, რომ სისხლის სამართლის პროცესში სასამართლოს არ შეეძლო ისეთი განაჩენის დადგენა, რომელიც განსხვავებულა იქნებოდა პროკურორის პოზიციისაგან.

მართლმსაჯულების განხორციელების სფეროში იმდენად ხშირი იყო ვარედან ჩარევის შემთხვევები, რომ თვით საბჭოთა იურისტები არაერთხელ აღნიშნავდნენ ტელეფონის განსაკუთრებულ მნიშვნელობას — ირონიულად მიუ-

<sup>1</sup> P. BISGARETTI DI RUFFIA, G. GRESPI RECHIZZI, La Costituzione sovietica del 197, Milano, 1979, 265; W. E. BUTLER, Soviet Law, London, 1988, 107, M. NADIN, Le droit retrouve? Essai sur les droits de l'homme en URSS, Paris, 1989, 26; R. GALVINO, Notre idee nella realta istituzionale del sistema giudiziario sovietico, in Critica del diritto, 1992, n. 2-3, 15; T. NAPOLITANO, Prokuratura, in Noviss dig. it., 1957, 66.

თითებდნენ სამართლის ისეთი დარგის არსებობაზე, როგორცაა „სატელეფონო სამართალი“. იმისათვის, რომ არ გადაესინჯათ განაჩენი, რაც დიდ ნაკლად ითვლებოდა, პირველი ინსტანციის მოსამართლეებმა დაამკვიდრეს ზემდგომ სამართლო მოხელეებთან სატელეფონო კონსულტაციების პრაქტიკა, რათა რჩევა მიეღოთ ამა თუ იმ დანაშაულის კვალიფიკაციის თაობაზე და დაეჭვების შემთხვევაში, გაეგოთ მათი აზრი უფრო მკაცრი სასჯელის გამოყენების შესახებ.

ძნელად წარმოსადგენია პროკურორის გამოეჩინა პროცესუალური ინიციატივა, რომელიც პოტენციურად ეწინააღმდეგებოდა პარტიის ინტერესებს, ვინაიდან მისი მოქმედება უნდა მოქცეულიყო სოციალისტურ საზოგადოებაში მიღებული სტანდარტების ფარგლებში.

ამრიგად, შეიქმნა „ეკლექტიკური წნული“, რომელმაც შექმნა თეორიული კონცეფცია, რომლის თანახმად პროკურორი, ერთი მხრივ, „საჯარო ხელისუფლების წარმომადგენელია“, მეორე მხრივ კი, კანონრებაზე ზედამხედველობის ორგანო სახელმწიფო საქმიანობის ყველა სფეროში, მათ შორის იურიდიულ საქმიანობაში. სამართლებრივ სახელმწიფოში პროკურორის როლის ზუსტ განსაზღვრაში ეკლექტიკა გახდა თეორიული და პრაქტიკული ხასიათის პარადოქსებისა და სირთულეების საფუძველი.

3. ბუნებრივია, რომ სამომავლოდ სისხლის სამართლის პროცესის რეფორმისათვის აქტუალური და პრიორიტეტულია სასამართლოს ნამდვილი დამოუკიდებლობის გარანტიათა პრობლემა, მისი საბოლოო გათავისუფლება საპროკურორო ზედამხედველობისაგან. ეს იდეა ახალი როდია; ჯერ კიდევ 1884 წელს გამოჩენილი რუსი იურისტი ნ. მურავიევი წერდა: „კანონის დაცვა თვით სასამართლოს დანიშნულებაა და სასამართლოზე ზედამხედველობა შესაძლებელია მხოლოდ ზემდგომი სასამართლოს მხრიდან“. საერთოდ, შეიძლება ითქვას, რომ პროკურატურის ფუნქციებისა და ამოცანების შესაბამისად საბჭოური დოქტრინის შემუშავებაში არსებობს ორი ორიენტაცია: ერთნი მოითხოვენ პროკურატურისაგან არაპროცესუალური ფუნქციების მოხსნას, რათა მან პროცესში შეასრულოს თავისი, ე. ი. სახელმწიფო ბრალმდებლის როლი; მეორენი კი მისაღებად თვლიან, რომ პროკურატურას შეუნარჩუნდეს კანონის ზუსტ გამოყენებაზე ზედამხედველობის ერთადერთი ფუნქცია, პროცესში მონაწილეობის ფუნქციის გამოკლებით. პროკურატურის პირველ მოდელში ჩანს სასამართლოს დამოუკიდებლობის რეალიზაციისა და პროცესში შეჯიბრებითობის პრინციპის ვანვითარებისაკენ სწრაფვა, მეორეში კი იგულისხმება სურვილი, არ აღუკვეთონ საზოგადოებას კანონიერებაზე ზედამხედველობის მნიშვნელოვანი ინსტრუმენტი. მეორე მოდელის მომხრეები არ ხსნიან, თუ რომელმა სახელმწიფო ორგანომ უნდა განახორციელოს ბრალდების ფუნქცია. წარმოდგენელია ბრალდების ფუნქციის უგულვებელყოფა და, მასთან ერთად, შეჯიბრებითობის პრინციპისა, რომელიც ერთ-ერთი ძირითადი პროცესუალური გარანტიაა.

რუსეთის ფედერაციის 1992 წლის 17 იანვრის ახალი კანონი პროკურატურის შესახებ ამზადებს ნიადაგს სისხლის სამართლის პროცესის რეფორმისათვის და განსაზღვრავს პროკურატურის საქმიანობის მიზნებსა და ორგანიზაციულ პრინციპებს.

კანონის პირველი წაკითხვისთანავე იგრძნობა ახალი პოლიტიკური აზროვნება: უკვე აღარაა იდეოლოგიურ შტამებზე აგებული ისეთი გამოთქმები, როგორცაა „სოციალისტური კანონიერება“, „სოციალური შეგნება“, „სოციალისტური მორალი“, „სოციალისტური საკუთრება“, რასაც წინა რეჟიმის კანონმდებლობა ფართოდ იყენებდა. მაგრამ, პროკურატურასთან მიმართებაში გვთავაზ-



ზოგენ კომპრომისულ გადაწყვეტილებას: ერთი მხრივ, მას რჩება კანონის ზუსტ გამოყენებაზე ზედამხედველობის შესაძლებლობა, მეორე მხრივ, პროკურორს ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს სასამართლოში საქმის განხილვაში როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი. როგორც იქნა, საპროკურორო ზედამხედველობიდან ამოირიცხა მართლმსაჯულება. ამასთან, საყურადღებო უარყოფა ორატორი განიხილა (რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის რეფორმის პროექტებში კვლავ რომ გვხვდება), რომლის მიხედვით, გამოძიებაზე კონტროლის განხორციელებისას პროკურორი ვალდებულია აღმოფხვრას კანონის დარღვევა, „ვისგანაც არ უნდა მომდინარეობდეს იგი“. ამდენად, როგორც ეს აღნიშნეს პირველმა კომენტატორებმა, აქ სასამართლოც შეიძლება იგულისხმებოდეს. პროკურატურის ასეთი უფლებამოსილების აღიარება იქნებოდა ფაქტობრივად სასამართლო ხელისუფლების დამოუკიდებლობის უგულვებელყოფის ტოლფასი და სასამართლოზე მალა პროკურატურის დაყენების პრაქტიკის გაგრძელება. პირიქით, ახალ სისტემაში სასამართლო უნდა აკონტროლებდეს პროკურორის პროცესუალურ მოქმედებათა მნიშვნელოვან ნაწილს.

რაც შეეხება პროკურატურის უფლებამოსილებას სისხლის სამართლის პროცესში, ახალი კანონი შემოიფარგლება იმით, რომ პროკურატურა აწარმოებს გამოძიებას და ამასთან, მონაწილეობს სასამართლოში საქმის განხილვაში როგორც სახელმწიფო ბრალმძებელი; სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში კი აისახება მისი უფლებამოსილების შესაბამისი განსაზღვრა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ შეჯიბრებითობის პრინციპი აღარ არის „ბურჟუაზიული პროცესის ქვაკუთხედი“, პროკურორის საპროცესო პოზიცია გამოიხატება დაცვასთან მისი თანასწორობით. გარდა ამისა, უპრიანი იქნებოდა სადუპუტატო იმუნიტეტისა და სახელმწიფო და პარტიული ფუნქციონერების ხელშეუხებლობის მრავალწლიანი პრაქტიკის უცვლელი გამოყენების შემდეგ (რაც არცერთი კანონით გათვალისწინებული არ არის, მაგრამ არსებობს პრაქტიკაში), დაზუსტდეს, რომ პროკურორები უნდა იყვნენ „მიუკერძოებელი“.

რაც შეეხება სისხლის სამართლის პროცესში პროკურატურის სახელმძღვანელო საქმიანობას, უნდა ითქვას, რომ იგი ვრცელდება მოკვლევისა და წინასწარი გამოძიების ორგანოების მხრიდან კანონების ზუსტ გამოყენებაზე და მათი გადაწყვეტილებების კანონიერებაზე; სწორედ აქ იჩენს თავს იმ სისტემის არათანმიმდევრულობა, რომელიც ერთდროულად ანიჭებს პროკურატურას გამოძიებისა და გამოძიებაში კანონიერების დაცვაზე ზედამხედველობის უფლებას: შეიძლება ითქვას, რომ პროკურორი აკონტროლებს თავის თავს (!). პროკურორი მეთვალყურეობს აგრეთვე განაჩენის დასაბუთებულობას და კანონიერებას, რომელზეც შეიძლება წარდგენილ იქნას საჩივარი, ხოლო თუ საქმე ეხება მსჯავრდებულისადმი გამოტანილ განაჩენს, შეიძლება მოხდეს მისი გადასინჯვა; გარდა ამისა, პროკურორი ახორციელებს ზედამხედველობას საგამოძიებო იზოლიატორებსა და სასჯელის აღსრულების ადგილებში კანონიერების დაცვაზე. რაც შეეხება ხელმძღვანელებს, მათ შეუძლიათ ნებისმიერ დროს შევიდნენ თავისუფლების აღკვეთის ადგილებში, შრომა-გასწორებით და სხვა დაწესებულებებში და შეკითხვებით მიმართონ მსჯავრდებულებს.

პროკურატურას შეუნარჩუნდა აგრეთვე ძირითადად ადმინისტრაციული ხასიათის ფუნქციები, ისეთი, როგორცაა ზედამხედველობა წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ხელისუფლების ადგილობრივ, ასევე მმართველობის სახელმწიფო და ეკონომიკურ ორგანოებზე, აგრეთვე კონტროლი იურიდიულ პირებზე, საზოგადოებრივ ორგანიზაციებსა და მათ საქმიანობაზე.



უფლებამოსილება უწინარესად, გამოძიების შესაძლებლობა; პროკურორს შეუძლია თავისუფლად შევიდეს მისი მეთვალყურეობის ქვეშ მყოფი დაწესებულებების შენობებსა და ტერიტორიაზე, მოითხოვოს და შეამოწმოს ინფორმაცია, დოკუმენტები, სტატისტიკური მასალები.

კანონის დარღვევის შემთხვევაში, პროკურორს შეუძლია სადაო გახადოს აქტი, რომელიც ეწინააღმდეგება კანონს, მიმართოს სასამართლოს, გამოიყენოს იძულების ღონისძიება ან შეიმუშაოს რეკომენდაციები კანონის დარღვევის აღმოფხვრისათვის. პროკურორი მოქმედებს საკუთარი ინიციატივით ან მოქალაქეთა განცხადებების საფუძველზე.

პროკურატურაში შეტანილი ყველა განცხადება განხილულ უნდა იქნას ერთიანი ვადაში ან, თუ განცხადებაში საუბარია კონსტიტუციური უფლებების დარღვევაზე, — ხუთდღიან ვადაში. მეხსიერებას შემორჩა პოლიტიკურ პროცესებში ბრალდებულთა ოჯახებისა და მეგობრების უპასუხოდ დატოვებული საჩივრები. ანდრეი სინიაკსკის მეუღლემ და ალექსანდრე პოდრაბინეკმა არ მიიღეს პასუხი საჩივარზე, რომლითაც სსრკ გენერალურ პროკურორს მიმართეს მათი მიმოწერის საიდუმლოების დარღვევის თაობაზე. უპასუხოდ დარჩა, აგრეთვე, გალაზკოვისა და ვინზბურგის განცხადებები წინასწარი პატიმრობის ვადის კანონით გათვალისწინებულზე მეტი დროით გაგრძელების თაობაზე; ბუკოვსკისა და პოდრაბინეკს უარი ეთქვა ყოლოდათ ნდობით აღჭურვილი დამცველი. შეიძლება გავიხსენოთ კიდევ ბევრი „მივიწყებული“ შემთხვევა.

„სოციალისტური სამოთხის“ მრავალწლიანი შენების შემდეგ მოქალაქეს პირველად მიეცა შესაძლებლობა საკუთარი უფლებების, აგრეთვე სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური თავისუფლებების დასაცავად მიმართოს უშუალოდ სასამართლოს. გაჩნდა იმედი, რომ კანონი მოიპოვებს კონკრეტულ იურიდიულ მნიშვნელობას და არ დარჩება იმ პრინციპების ლიტონ დეკლარაციად, რომელთა რეალიზაცია ხელისუფლების ადგილობრივი ორგანოების ნებაზეა დამოკიდებული. მიუხედავად ყოველივე ამისა, რუსი ხალხი ჯერ კიდევ ვერ შეეჩვია მის ახალ უფლებას და მიმართავს პროკურატურას: შარშან პროკურატურას მიმართა დაახლოებით 3 მილიონმა ადამიანმა.

4. სახელმწიფო ხელისუფლების დანაწილების სისტემაში პროკურატურის როლის შესახებ.

რუსეთის ფედერაციის პროკურატურას გააჩნია არსებული ადმინისტრაციული დაყოფის შესაბამისი იერარქიული სტრუქტურა. ფედერაციის ტერიტორიაზე არსებულ დაწესებულებათა ფართო ქსელი წარმოქმნის ერთიან სისტემას, რომელშიც ქვემდგომი ორგანოები იერარქიულად ემორჩილებიან ზემდგომთ. ასეთი დაქვემდებარება გამოიხატება იმაში, რომ ამ ორგანოების ფორმირება ხდება რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორის მიერ, პროკურორის ზემდგომი პროკურორებისადმი და გენერალური პროკურორისადმი აუცილებელ ანგარიშგებაში, აგრეთვე გენერალური პროკურორის შესაძლებლობაში, გადააყენოს პროკურორი. თავის მხრივ, რუსეთის ფედერაციის გენერალური პროკურორი — უმაღლესი პასუხისმგებელი პირი — უშუალოდ დაკავშირებულია უზენაეს საბჭოსთან, რომელიც ნიშნავს და ათავისუფლებს მას (რუსეთის ფედერაციის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარის წარდგინებითა და სახალხო დეპუტატთა ყრილობის შემდგომი თანხმობით); იგი ვალდებულია ყოველწლიური ანგარიში წარადგინოს პროკურატურის საქმიანობის შესახებ.

კანონი ხაზგასმით აღნიშნავს ხელისუფლების სახელმწიფო და ადმინისტრაციული ორგანოებისაგან, საზოგადოებრივ-პოლიტიკური ორგანიზაციებისაგან და მოძრაობებისაგან, აგრეთვე მასობრივი ინფორმაციის საშუალებებისაგან პრო-

კურატურის დამოუკიდებლობის პრინციპს.<sup>2</sup> ეს არ არის ახალი პრინციპი, ფორ-  
მალურად წინა რეჟიმის დროსაც ჰქონდა პროკურატურას „ავტონომიური და  
დამოუკიდებელი“ სახე; სინამდვილეში კი პოლიტიკური ხელისუფლება მიი-  
ცავდა ადმინისტრირების, კანონმდებლობისა და იურისდიქციის მთელ სფეროს.  
გენერალური პროკურორის დანიშვნა და გადაყენება შეემლო პრეზიდიუმს, რო-  
მელიც ცვლიდა უმაღლეს საბჭოს მიერ ყოველწლიურ ორ სესიას შორის პერ-  
ოდში. პროკურატურის „ცენტრალიზაციის“ პრინციპი ნიშნავს ქვემდგომი პრო-  
კურორების შეუსლუდავ დაქვემდებარებას ზემდგომი პროკურორებისადმი და  
გენერალური პროკურორისადმი მკაცრ ბიუროკრატიულ სისტემაში, სადაც შე-  
მოჭრილია დაქვემდებარებული ორგანოების ნება და ინიციატივა. დღეს  
რუსული დოქტრინა უახლოვდება პროკურორის მატერიალური და პერსონა-  
ლური დამოუკიდებლობის აუცილებლობას.


ამ მიმართებით ახალი კანონი პროკურატურის შესახებ ახლებურად განი-  
ხილავს რუსეთის რესპუბლიკის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის  
248-ე მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებში ჩამოთვლილ პრინციპებს. გასათვალის-  
წინებელია ისიც, რომ პროკურორი სასამართლოში საჯარო ბრალდების გან-  
ხორციელებისას ხელმძღვანელობს კანონითა და საკუთარი მრწამსით; შენარ-  
ჩუნებულია, აგრეთვე, პროკურორის მოვალეობა, მოხსნას ბრალდება, თუ იგი  
არ მტკიცდება განხილვის პროცესში.

რეგოლუციამდელი საკანონმდებლო სისტემისაგან განსხვავებით, რომელ-  
შიც რომანულ-გერმანულ სამართლის მსგავსად, პროკურორები „ინიშნებოდნენ“  
სასამართლოსგან დამოუკიდებლად და შედიოდნენ იუსტიციის სამინისტროს  
სტრუქტურაში, სსრკ-ში მოქმედი არცერთ კანონი არ განსაზღვრავდა პროკუ-  
რატურის მდგომარეობას სახელმწიფო ორგანოებთან მიმართებაში. ეს არც არის  
გასაკვირი, რადგან, საუბარია სახალხო სუვერენიტეტის მარქსისტულ-ლენინურ  
სისტემაზე, რომლის მიხედვით, ერთიანი ხალხი ნებას ერთიანი ხელისუფლე-  
ბის მეშვეობით გამოხატავს.

ამ ინსტიტუტის თავისებურებამ და შედარებითა ავტონომიამ, რაც ფორ-  
მალურად აღიარებულია კონსტიტუციის დამოუკიდებელ თავში (XXI, მუხ. 164-  
168), განსაზღვრა პროკურატურის, როგორც სახელმწიფო ხელისუფლების მე-  
ოთხე განშტოების, მმართველობის საბჭოთა ფორმის მეოთხე ნაირსახეობის დო-  
ქტრინა.

რუსეთის ფედერაციის ახალი კანონი პროკურატურის შესახებ არ განსაზღ-  
ვრავს პროკურატურის ადგილს სამართლებრივ სახელმწიფოში. დოქტრინა კი  
პროკურატურის რეგოლუციამდელი მდგომარეობისაკენ იხრება და გულისხმობს  
მის ჩართვას აღმასრულებელ ხელისუფლებაში. ამ მხრივ, 1990 წელს რუსეთის  
ფედერაციის იუსტიციის მინისტრმა ნ. ფეოდოროვმა გამოთქვა წინადადება, რა-  
თა იუსტიციის სამინისტროს მიეცეს „აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა  
ნორმატიულ აქტზე საკუთარი აზრის გამოთქმის შესაძლებლობა“. ეს კი შესაძ-  
ლებელს გახდიდა იუსტიციის სამინისტროსათვის მიენიჭებინათ სახელმწიფოს,  
სამინისტროებსა და ადმინისტრაციული ორგანოების (უწყებების) ნორმატიულ  
აქტებთან მიმართებაში ერთგვარი „ფილტრის“ ფუნქცია. რუსეთის ფედერა-  
ციის მთავრობამ კი 1992 წლის მაისში გამოსცა № 305 დადგენილება „ადმი-  
ნისტრაციული ორგანოების ნორმატიული აქტების სამთავრობო რეგისტრაციის  
შესახებ“, რომლის თანახმად, სამინისტროებისა და ადმინისტრაციული ორგა-  
ნოების ნორმატიული აქტები, რომლებიც ეხება მოქალაქეთა კანონიერ უფ-  
ლებებსა და ინტერესებს, ხელმძღვანელის ხელმოწერის შემდეგ აუცილებლად უნ-  
და გადაეცეს იუსტიციის სამინისტროს. ფაქტობრივად, რეგისტრაციის მექა-

2 P. L. ZAGGHETTA, in *Questioni Giustizia*, 1991, № 3, c. 752.



ნიშნის მეშვეობით, იუსტიციის სამინისტროს გადაეცემა ადმინისტრაციულ ორგანოთა ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქცია. ამ დონისძიების კრიტიკოსები აღნიშნავენ იუსტიციის სამინისტროსათვის შეუთავსებელი ფუნქციების გადაცემას, რაც არ შეესაბამება არც პროკურატურის შესახებ ახალი კანონის მე-20 მუხლს, რომელიც უნარჩუნებს პროკურატურას სამინისტროების ნორმატიული აქტების კანონთან შესაბამისობაზე ზედამხედველობის ფუნქციას, და არც რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციას, რომლის მიხედვით მხოლოდ მთავრობას აქვს სამინისტროებისა და ადმინისტრაციული ორგანოების აქტების ანულირების უფლება, რომელიც არ შეიძლება დელეგირებულ იქნეს სხვა ორგანოსადმი. საერთოდ, პროკურატურის იუსტიციის სამინისტროში ან აღმასრულებელი ხელისუფლების სხვა სტრუქტურაში ჩართვის მოწინააღმდეგენი თვლიან, რომ ეს თვისებრივად შეცვლიდა ზედამხედველობის ფუნქციის შინაარსს: უმაღლესი ზედამხედველობა გადაიქცეოდა იერარქიულ კონტროლად; ამასთან, პროკურატურის კომპეტენციის სფეროდან უნდა ამოირიცხოს ზედამხედველობა ხელისუფლების წარმომადგენლობით ადგილობრივ ორგანოებზე, სისხლისა და სამოქალაქო სამართლის პროცესებზე, კანონის გამოყენებაზე; ფაქტობრივად, ეს ნიშნავს პროკურატურის საზედამხედველო ფუნქციის უარყოფას ტრადიციული საბჭოური გაგებით. ამ შემთხვევაში პროკურატურას ჩამოშორდება პოლიტიკური ზეგავლენა, რომლითაც სარგებლობს მთავრობა სამინისტროს სტრუქტურაში შემავალი პროკურორის მეშვეობით.

ავტორთა მეორე ნაწილი პროკურატურას წარმოადგენს როგორც სასამართლო ორგანოს, რომელიც არც ქვემდგომია და არც ზემდგომი სასამართლოსთან მიმართებაში, გაერთიანებულია მასთან საერთო მიზნით და განსხვავდება ოპერატიულობით. ასეთმა გარდაქმნამ გამოიწვია სასამართლოსა და ბრალდების ორგანიზაციის გამიჯვნის პრინციპის მომხრეთა რეაქცია. ამასთან, აღმოჩნდა, რომ 1992 წლის 26 ივნისის კანონი „რუსეთის ფედერაციის მოსამართლეთა სტატუსის შესახებ“ იმის მაგივრად, რომ მხოლოდ მოსამართლეთათვის გადაეცა სასამართლო ხელისუფლება, რომელთა ერთადერთი ფუნქცია მართლმსაჯულების განხორციელებაა, არ ეთანხმება ამ წინადადებას. სხვებმა კი აუცილებლად ჩათვალეს პროკურატურის ჩართვა საკანონმდებლო ხელისუფლების სისტემაში, რადგან რუსული პროკურატურა შეიქმნა საუკუნენახევრის წინ და ფუნქციონირებდა როგორც კანონის დაცვაზე ზედამხედველი ორგანო. ეს მოსაზრებები დასტურდება იმით, რომ წინა რეჟიმის დროს გენერალური პროკურორი ინიშნებოდა და თავისუფლდებოდა უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოების მიერ. არა მარტო ახალი კონსტიტუციის პროექტმა, არამედ პროკურატურის შესახებ ახალმა კანონმაც „ახლებურად გადახლართეს“ პროკურატურა საბჭოებთან.

რა თქმა უნდა, რეალობის აღქმის გზაზე წარმოშობილი დაბრკოლება კვლავაც ბევრია: და არა მარტო იმიტომ, რომ თითქმის შეუძლებელია ნორმატიული ბაზის სასამართლო პრაქტიკაში მოქმედების შემოწმება, არამედ პოლიტიკური არასტაბილურობის უარყოფითი გავლენის მიზეზითაც.

კანონი პროკურატურის შესახებ თითქოს გამოკიდებულია ინსტიტუციურ იურიდიულ სისტემასა და იმ ახალ სისტემას შორის, რომელიც გამოიხატება ხელსუფლების მერყეობასა და ჯერ კიდევ უპასუხოდ დატოვებულ თავისუფლების მოთხოვნებს შორის. ადვილი შესაძლებელია, რომ აქ საუბარია ახალ მდგომარეობაზე, გარდამავალ დონისძიებებზე, რომელთა არსი ჯერჯერობით ბოლომდე გაურკვეველია.

საპუილ პ. კანტიბაძე

# დემოკრატიის მესამე ტალღა\*

## კულტურა

დასაბუთებულია, რომ მსოფლიოს დიდი ისტორიული კულტურული ტრადიციები მნიშვნელოვნად დამოკიდებულია იმისაგან, თუ ამ ტრადიციების მატარებელი ღირებულებები, განწყობები, რწმენები და ქცევები რამდენად უწყობენ ხელს დემოკრატიის განვითარებას. ამკარად არადემოკრატიული კულტურა შეზღუდავს საზოგადოებაში დემოკრატიული ნორმების განშტობას, გააუქმებს დემოკრატიული ინსტიტუტების ლეგიტიმურობას, და ამდენად ძალზე გაართულებს, თუ არ მოსპობს საერთოდ, ამ ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას. კულტურული პრინციპები ორი ფორმით შექმნიან. ერთი ვერსიის თანახმად, მხოლოდ დასავლეთის კულტურა ქმნის დემოკრატიული ინსტიტუტების დამკვიდრებისათვის ხელსაყრელ საფუძველს, და რომ დემოკრატია ვერ მიუღდება არადასავლურ საზოგადოებებს. მესამე ტალღის ადრეულ წლებში ეს არგუმენტი წამოაყენა ჯორჯ კენანიმა. „დემოკრატია, — მისი აზრით, — იყო მმართველობის ფორმა, რომელიც აღორძინდა ჩრდილო-დასავლეთ ევროპაში XVII-XIX საუკუნეებში, განსაკუთრებით იმ სახელმწიფოებში, რომლებიც ესაზღვრებოდნენ მანძის სრუტეს და ჩრდილოეთ ზღვას (ზოგიერთი გაფართოებით ცენტრალური ევროპისაკენ), და რომელიც გავრცელდა მსოფლიოს სხვა ნაწილებში, მათ შორის ჩრდილოეთ ამერიკაში, სადაც ძირითადად დასახლდა ხალხი იგივე ჩრდილოდასავლეთ ევროპიდან კოლონიებად და დაამყარეს სამოქალაქო საზოგადოების მოდელი“. ამდენად, დაასკვნის ჯორჯ კენანი, დემოკრატია მისაღებია მხოლოდ ჩრდილო-დასავლეთი და შესაძლოა ცენტრალური ევროპის ქვეყნებისათვის და მათი გენეტიკური შტოსათვის.

დასავლური კულტურის ეს თეზისი დაუყოვნებლივ გავრცელდა ბალკანეთის და საბჭოთა კავშირის სახელმწიფოებში. ისტორიულად ეს რეგიონები წარმოადგენდნენ ცარიუსტული და ოტომანური იმპერიების ნაწილებს: მათი მთავარი რელიგიები იყო მართლმადიდებლობა და ისლამი, მაგრამ არა დასავლური ქრისტიანობა. ამ რეგიონებისათვის უცნობი იყო დასავლეთ-ევროპული ფეოდალიზმი, რენესანსი, რეფორმაცია, განმანათლებლობა, საფრანგეთის რევოლუცია და ლიბერალიზმი. როგორც ვილიამ ვალასმა დაასაბუთა: ცივი ომის დასასრულმა და რკინის ფარდის გაქრობამ არსებითად შესცვალა კრიტიკული გამყოფი პოლიტიკური ზოლი დასავლეთ და აღმოსავლეთ ქრისტიანობას შორის. იწყება ჩრდილოეთში და ეს ზოლი მიემართება საზღვრებისაკენ, რომელიც გამოყოფს ფინეთსა და ბალტიის რესპუბლიკებს რუსეთისაგან ბელორუსიის და უკრაინის გავლით, რომელიც კათოლიკურ უკრაინას გამოყოფს აღმოსავლეთ მართლმადიდ-

\* დასასრული. დასაწყისი იხ. ჟურნ. „სამართალი“, 1993 წ. № 5-6.

დებელ უკრაინისაგან, რუმინეთის სამხრეთს და დასავლეთს, ტრანსნილვანიას და ნარჩენი ნაწილისაგან, ხოლო შემდეგ მიემართება იუგოსლავიისაკენ სლოვენისა და ხორვატიის გამყოფი ხაზის გასწვრივ. მთლიანად ეს ზოლი გამოყოფს რეგიონებს, სადაც დემოკრატია ყალიბდება, იმ რეგიონებისაგან, სადაც დემოკრატია ჯერ არ არის.

კულტურული დაბრკოლების შემზღუდავი არგუმენტი მდგომარეობს იმაში, რომ არადასავლური კულტურები ემტერებიან დემოკრატიას. ამ თვალთახადით ორ კულტურას ასახელებენ ხშირად — კონფუციანიზმს და ისლამს. სამი კითხვა განაპირობებს ამ ორი კულტურის გავლენას დემოკრატიზაციისათვის დაბრკოლების შექმნაზე. პირველი: რა ზომით მტრობენ დემოკრატიას ტრადიციული კონფუციანიზმისა და ისლამის ღირებულებები და სარწმუნოებრივი დოგმები? მეორე: თუ კი ისინი არსებობენ, მაშინ ფაქტობრივად რა ზომით უშლიან ხელს ეს კულტურები დემოკრატიისაკენ პროგრესს? მესამე: თუ კი ისინი მნიშვნელოვნად ჩამორჩნენ დემოკრატიულ პროცესს წარსულში, მაშინ რა ზომით გააგრძელებენ ისინი ამას მომავალში?

### კონფუციანიზმი

თითქმის არავითარი მეცნიერული აზრთა სხვაობა არ არსებობს იმ დებულების გამო, რომ ტრადიციული კონფუციანიზმი ერთდამივე დროს იყო არადემოკრატიულიცა და ანტიდემოკრატიულიც. კლასიკური ჩინური სახელმწიფო მმართველობის ერთადერთი უდაო ღირსება ის იყო, რომ კარიერა გახსნილა იყო ტალანტებისათვის დამოუკიდებლად მათი სოციალური წარმოშობისა. თუმცა ასეთი სისტემა მხარდაჭერას იმსახურებდა, მაგრამ ის მაინც ვერ გახდა დემოკრატიის საფუძველი. მეორე მხრივ, ვერავინ დაახასიათებს თანამედროვე არმიას როგორც დემოკრატიულს, რადგან ოფიცრების დაწინაურება დამოკიდებულია მათ უნარზე. კლასიკური ჩინური კონფუციანიზმი და მათი გამოვლინებები კორეაში, ვიეტნამში, სინგაპურში ტაივანში და იაპონიაში (სახემეცვლილი ფორმით), განსაკუთრებულ უპირატესობას ანიჭებს კოლექტივის ინდივიდზე, ავტორიტეტს თავისუფლებაზე და პასუხისმგებლობას უფლებებზე. კონფუციანისტურ საზოგადოებას აკლია ადამიანის უფლებების სახელმწიფოს მიმართ პრიორიტეტის ტრადიცია, რადგან იგი თვლის, რომ ინდივიდუალური უფლებები არსებობენ იმდენად, რამდენადაც ისინი დადგენილი არიან სახელმწიფოს მიერ. ჰარმონიას და ერთიანობას უპირატესობა მიენიჭა დისჰარმონიაზე და კონკურენციაზე. წესრიგის სიმყარე და ხელისუფალთაგან მორჩილება იყო ძირითადი ღირებულებები. იდეათა, ჯგუფებისა და პარტიების ჭიდილი განიხილებოდა როგორც საშიში და კანონსაწინააღმდეგო. რაც მთავარია, კონფუციანიზმმა შთანთქა საზოგადოება (და თვით სახელმწიფოც კი) და არ უზრუნველყო ავტონომიური რელიგიური ინსტიტუტების ლეგიტიმურობა ეროვნულ დონეზე.

აღმოსავლეთ ევროპაში მხოლოდ ორმა ქვეყანამ — იაპონიამ და ფილიპინებმა — შესძლო დაეგროვებინა გამოცდილება დემოკრატიულ მმართველობაში 90-იანი წლებისათვის. ორივე შემთხვევაში, დემოკრატია იყო ამერიკული გავლენის შედეგი. გარდა ამისა, იაპონიაში კონფუციანისტური ღირებულებები გადააფასეს და შთანთქეს ადგილობრივმა კულტურულმა ტრადიციებმა. ფილიპინები კი თითქმის მთლიანად კათოლიკურია.

ჩინეთს არ ჰქონია დემოკრატიული მმართველობის გამოცდილება, აქ დასავლური ვარიანტის დემოკრატია მხარი დაუჭირა რადიკალური დისიდენტების



შედარებით მცირე ჯგუფმა და ისიც მხოლოდ დაახლოებით ერთი წლით. ჩინეთის რეფორმატორები „კონფუძიელ ლენინისტებად“ დარჩნენ. 80-იანი წლების ბოლოს, როდესაც ჩინეთის ეკონომიკის აღმავლობამ მოითხოვა ახალი სურია პოლიტიკური რეფორმებისა და დემოკრატიისა სტრუქტურების, ინტელექტუალების და ქალაქის საშუალო კლასის მიმართ, კომუნისტურმა ლიდერებმა ამას უპასუხეს ორი გზით. პირველი, მათ გამოაცხადეს „ახალი ავტორიტარიზმის თეორია, დაფუძნებული ტაივანის, სინგაპურის და კორეის გამოცდილებაზე, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ ეკონომიკური განვითარების ჩინური ტიპის ქვეყანა საჭიროებდა ავტორიტარულ მმართველობას, ეკონომიკურ წინსვლასა და განვითარების უამრავი შედეგების შეკავებას შორის ურთიერთმოქმედების დაბალანსებისათვის. მეორე, ამ ქვეყნების ლიდერებმა 1989 წელს ძალის გამოყენებით ჩაახშეს დემოკრატიული მოძრაობა ყველგან.

კორეაში კლასიკური კულტურა მოიცავდა დემოკრატიასთან შეუთავსებელი მოძარობისა და ეგალიტარიზმის ელემენტებს შეერთებულს კონფუძიურ კომპონენტებთან...

დასავლეთში დომინირებული პარტიული სისტემებისაგან განსხვავებით, აღმოსავლეთში დომინირებული პარტიული სისტემები ჩართული არიან ხელისუფლებისათვის ბრძოლაში და არჩევნების გზით ხელისუფლების შეცვლაში. პოლიტიკური სისტემის ეს ტიპი არჩევს დემოკრატიას გადატრიალების გარეშე. იგი ცდილობს დასავლეთის დემოკრატიული პრაქტიკა შეაგუოს არა შეჯიბრებითობის და ცვლილებების დასავლურ ღირებულებებს, არამედ კონსერვისსა და სტაბილურობის აზიურ ღირებულებებს.

დასავლეთის დემოკრატიული სისტემები ნაკლებად არიან დამოკიდებულნი კანონიერების განხორციელებისაგან, ვიდრე ავტორიტარული სისტემები. ამიტომ, აღმოსავლეთ აზიის საზოგადოებებმა, რომლებმაც აღიარეს ან ცდილობენ აღიარონ დასავლეთის დომინირებული პარტიული სისტემები, მიაღწიეს არნახულ ეკონომიკურ აღმავლობას 60-80-იან წლებში.

მაგრამ იქ, სადაც პოლიტიკური შეჯიბრის დონე საკმარისი არ არის, მთავრობის უუნარობა პოლიტიკურ პარტიებს აიძულებს მიმართონ დემონსტრაციებს, პროტესტებს, აჯანყებებს და მთავრობის დასამხობად ხალხის მობილიზაციას. ამის საპასუხოდ მთავრობა იძულებული გახდება დააწესოს ავტორიტარული კონტროლი. შემდეგი საკვანძო კითხვაა: აღმოსავლეთში დომინირებულ პარტიულ სისტემებში რა ხარისხით არის მოცემული განუხრელი და არსებითი ეკონომიკური აღმავლობის შესაძლებლობები? შესძლებენ კი ეს სისტემები იარსებონ, თუ კი ამ ქვეყნებში მოხდება ეკონომიკური დაქვეითება ან სტაგნაცია?

## ისლამი

„კონფუძიანური დემოკრატია“, ისევე როგორც „ისლამური დემოკრატია“, აშკარად ეწინააღმდეგება სადღესო მოთხოვნებს. ეგალიტარიზმი და ვოლუნტარიზმი წარმოადგენენ ისლამის ცენტრალურ თემებს. ისინი ასევე ეწინააღმდეგებიან დემოკრატიის მოთხოვნებს, რადგან ისლამი უარყოფს რაიმე განსხვავებას რელიგიურ გაერთიანებასა და პოლიტიკურ გაერთიანებას შორის. ისლამური ფუნდამენტალიზმი მოითხოვს, რომ მუსულმანურ ქვეყნებში პოლიტიკური მმართველები პრაქტიკოსი მუსულმანები იყვნენ, „შარიატი“ აღიარონ ძირითად სამართლად, ხოლო „ულემს“ უნდა ქონდეს გადამწყვეტი ხმა მთავრობის პოლიტიკის ჩამოყალიბებაში, აღიარებასა და რატიფიკაციაში. ამრიგად, ისლამის პოლიტიკური კონცეფცია განსხვავდება და ეწინააღმდეგება დემოკრატიული პოლიტიკის წანამძღვრებს.

ისლამური დოქტრინა, ამავე დროს, შეიცავს ელემენტებსაც, რომლებიც შეიძლება ესადაგებოდნენ ან არ ესადაგებოდნენ დემოკრატიას. პრაქტიკულად, რა თქმა უნდა, ერთადერთი ისლამური ქვეყანა, სადაც ჩამოყალიბდა სრული დემოკრატიული პოლიტიკური სისტემა, არის თურქეთი, სადაც მუსტაფა ქემალ ათათურქმა ფაქტობრივად უარყო ისლამური კონცეფცია საზოგადოების და პოლიტიკის შესახებ, და ყოველმხრივ ცდილობდა შეექმნა განათლებული, თანამედროვე დასავლური ტიპის ქვეყანა. დემოკრატიის თურქულ ექსპერიმენტს ნაწილობრივ წარმატება ჰქონდა სხვაგანაც. ისლამურ სამყაროში პაკისტანმა სამჯერ სცადა დაემყარებინა დემოკრატია, მაგრამ არც ერთმა მათგანმა დიდ ხანს არ იარსება. მაშინ, როდესაც თურქეთს ჰქონდა დემოკრატიის წყვეტილობა სამხედრო ინტერვენციების გამო, პაკისტანს კი ჰქონდა ბიუროკრატიული და სამხედრო მმართველობის წყვეტილობა დემოკრატიული არჩევნებით.

ერთადერთი არაბული ქვეყანა, რომელმაც დაამყარა დემოკრატია ხანგრძლივი დროის განმავლობაში, იყო ლიბანი. მისი დემოკრატია რეალურად ამაღლდა კონსოციალურ ოლიგარქიამდე, თანაც 40—50 პროცენტი მოსახლეობისა აქ ქრისტიანი იყო. მაგრამ ერთხელაც მუსულმანებმა იმძლავრეს და ლიბანის დემოკრატიამ მარცხი განიცადა. 1981 და 1991 წლებში 37 მუსულმანური ქვეყნიდან მხოლოდ 2 იქნა აღიარებული როგორც „თავისუფალი“: გამბია ორი წლის განმავლობაში და კვიპროსის თურქული ნაწილი ოთხი წლის განმავლობაში.

ავტორიტარული რეჟიმების მოწინააღმდეგე ოპიზიციური მოძრაობები სამხრეთ და აღმოსავლეთ ევროპაში, ლათინურ ამერიკაში და სამხრეთ აზიაში მუდმივად მხარს უჭერდნენ დასავლური დემოკრატიის ღირებულებებს და აცხადებდნენ სურვილს დაემყარებინათ დემოკრატია თავიანთ ქვეყნებში. ამის საპირისპიროდ, ავტორიტარულ ისლამურ საზოგადოებებში დემოკრატიული პოლიტიკის მხარდამჭერი კამპანია შედარებით სუსტი იყო და ყველაზე ძლიერი ოპოზიცია ისლამური ფუნდამენტალიზმით იყო წარმოდგენილი.

80-იანი წლების ბოლოს შინაურმა ეკონომიკურმა პრობლემებმა დემოკრატიზაციის „გუნდაობის“ ზეგავლენით ზოგიერთი ისლამური ქვეყნის მთავრობა აიძულა შეემსუბუქებინა კონტროლი ოპოზიციაზე და მოეხდინა თავისი ლეგიტიმურობა არჩევნების მეოხებით. ამ ღონისძიების მთავარი მამოძრავებლები იყვნენ ისლამური ფუნდამენტალისტური ჯგუფები. ალჟირში ისლამის ფრონტმა დიდი უპირატესობით გაიმარჯვა 1990 წლის ადგილობრივ არჩევნებში — პირველ თავისუფალ არჩევნებში მას შემდეგ, რაც 1962 წელს ქვეყანამ მიაღწია დამოუკიდებლობას. იორდანიაში 1989 წლის არჩევნებში ისლამურმა ფუნდამენტალისტებმა მოიპოვეს 36 ადგილი 80-დან. ეგვიპტეში „მუსლიმანთა სამომში“ გაერთიანებული ბევრი კანდიდატი არჩეული იქნა პარლამენტში. საერთოდ, ისლამური ჯგუფების მაღალი მაჩვენებლები ნაწილობრივ განპირობებული იყო სხვა ოპოზიციური პარტიების არარსებობით ან მთავრობის მიერ ასეთი პარტიების კანონგარეშე გამოცხადებით, ან იმის გამო, რომ ასეთმა პარტიებმა ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს. ჩანს, ფუნდამენტალიზმი უფრო და უფრო ძლიერდება შუა აღმოსავლეთის ქვეყნებში, კერძოდ, ახალგაზრდა ერებში. ამ ტენდენციის ზრდა, მაგალითად, ტუნისის, თურქეთის სახელმწიფო მეთაურებს აიძულებს პოლიტიკურად დაიცვან ფუნდამენტალისტები და პოლიტიკური ყვესტებით მოახდინონ მათ მიმართ პატივისცემის დემონსტრირება.

ლიბერალიზაციამ ისლამურ ქვეყნებში გააძლიერა მნიშვნელოვანი სოციალური და პოლიტიკური მოძრაობანი, რომელთა განწყობა ისლამისადმი სუსტი არის. ზოგიერთ ასპექტში, 1990 წლის დამდეგიდან ისლამურ საზოგადოებებში

ფუნდამენტალისტური პარტიების პოზიციამ წინ წამოსწია ის საკითხები, რომლებიც დააყენეს კომუნისტურმა პარტიებმა 1940 წელს და განმეორებთ 1970 წელს. გააგრძელებენ თუ არა არსებული მთავრობები ღია პოლიტიკის წარმოების და არჩევნების ისეთი სისტემის შენარჩუნებას, რომლის დროსაც ისლამური ჯგუფები მოიპოვებენ მოსახლეობის უმრავლესობის მხარდაჭერას? თუ ისინი გაიმარჯვებენ არჩევნებში, დაუშვებენ თუ არა სამხედროები, რომლებიც საკმაოდ არიან ისლამურ ქვეყნებში (მაგალითად, ალჟირში, თურქეთში, პაკისტანში და ინდონეზიაში), რათა ისლამისტებმა შეადგინონ მთავრობა? და თუ მათ შეადგინეს მთავრობა, გაატარებენ თუ არა ისინი რადიკალურ ისლამურ პოლიტიკას, რომელიც აუქმებს დემოკრატიას და ეწინააღმდეგება თანამედროვე და დასავლეთზე ორიენტირებულ საზოგადოებებს?

## კულტურულ დაბრკოლებათა ლიმიტირება

დემოკრატიზაციის ძლიერი კულტურული დაბრკოლებანი არსებობენ კონფუციურ და ისლამურ საზოგადოებებში. არანაკლები მიზეზები არსებობენ ეჭვისათვის — შესძლებენ თუ არა ისინი უდაოდ გაჰყვენ დემოკრატიული განვითარების გზას?

პირველი, ზოგიერთი კულტურული არგუმენტი წარსულში არ გამართლდა. მაგალითად, მეცნიერთა ერთი ჯგუფი ამტკიცებდა, რომ კათოლიციზმი იყო დემოკრატიის დამაბრკოლებელი ფაქტორი. მეორენი, ვებერიანულ ტრადიციებში, თვლიდნენ, რომ კათოლიკურ ქვეყნებს არ სურდათ ეკონომიკურად განვითარებულიყვნენ იმავე გზით, როგორც პროტესტანტული ქვეყნები. მიუხედავად ამისა, 60—70-იან წლებში კათოლიკური ქვეყნები გახდნენ უპირობოდ დემოკრატიულნი, უფრო მეტიც ჰქონდათ ეკონომიკური განვითარების უფრო მაღალი რეიტინგი, ვიდრე პროტესტანტულ ქვეყნებს. ასევე, ერთი მხრივ, ვებერი და სხვანი ამტკიცებდნენ, რომ კონფუციური კულტურის ქვეყნებმა ვერ მიაღწიეს წარმატებას კაპიტალისტური განვითარების გზაზე. მაგრამ 80-იანი წლების მეორე ნახევარში მეცნიერთა ახალმა თაობამ კონფუციანიზმში დაინახა უმთავრესი მიზეზი ეკონომიკური აღმავლობისა აღმოსავლეთ აზიის ქვეყნებში. დაისვა კითხვა: თეზისი, რომ კონფუციანიზმი, როგორც დემოკრატიული განვითარების ხელშემშლელი, უფრო სიცოცხლუნარიანია თუ კონფუციანიზმი, როგორც ეკონომიკური განვითარების ხელშემშლელი? არგუმენტები, რომ პარტიკულარულ კულტურები აბრკოლებენ ცვლილებებს, განსაზღვრული სკეპტიციზმით გამოიყურებიან.

მეორე. ისლამის და კონფუციანიზმის მსგავსი დიდი კულტურული ტრადიციები წარმოადგენენ კომპლექსურად განსხვავებულ იდეებს, რწმენებს და დოქტრინებს. ბევრ კულტურას, მათ შორის კონფუციანიზმს, აქვს ბევრი ისეთი ელემენტი, რომელიც მას აახლოებს დემოკრატიასთან, ისევე როგორც კაპიტალიზმს და პროტესტანტიზმს აქვს ელემენტები, რომლებიც აშკარად არადემოკრატიულნი არიან. მაგრამ კონფუციანიზტური დემოკრატია წინააღმდეგობრივია არსებითად, კონფუციური საზოგადოება დემოკრატიას არ საჭიროებს.

მესამე, კულტურები ისტორიულად დინამიურნი და არა სტაგნაციურნი არიან. დომინანტური რწმენები და განწყობები საზოგადოებაში იცვლებიან. 50-იან წლებში ესპანური კულტურა ტიპურად შეიძლება დახასიათებულიყო როგორც ტრადიციული, ავტორიტარული, არქაული, ღრმად რელიგიური. მაგრამ 70—80-იან წლებში ზემოაღნიშნულ სიტყვებს უკვე მცირე ადგილი ეკავათ ესპანელთა განწყობაში და ღირებულებებს შორის.



სოციალურ, ეკონომიკურ და პოლიტიკურ ფენომენებს შორის მცირე ურთიერთმოქმედებანი უფრო ძლიერია, ვიდრე ეკონომიკური განვითარებისა და დემოკრატიული პოლიტიკის დონეებს შორის. ჯანსაღი ქვეყნების უმრავლესობა დემოკრატიულია, და დემოკრატიულ ქვეყანათა უმრავლესობა (ინდოეთი დრამატული გამოწვევისა) ჯანსაღია. თანაფარდობა სიჯანსაღესა და დემოკრატიას შორის გულისხმობს იმას, რომ დემოკრატიაზე გადასვლა უნდა განხორციელდეს საშუალო ეკონომიკური განვითარების ქვეყნებში. ღარიბ ქვეყნებში დემოკრატიზაცია არ არის მიმზიდველი, ხოლო მდიდარ ქვეყნებში იგი ჩვეულებრივ უკვე ხდება. არსებობს აგრეთვე „პოლიტიკურად გარდამავალი ზონა“: საშუალო ეკონომიკური პოტენციის მქონე ქვეყნებში არსებობს მდრეკილება დემოკრატიისაკენ. ისევე როგორც განვითარებული ეკონომიკის ქვეყნებს, გარდამავალ ზონაში მყოფ ქვეყნებს აქვთ დემოკრატიზაციისაკენ კარგი პერსპექტივები.

ფაქტობრივად, ავტორიტარიზმიდან დემოკრატიაზე გადასვლა მესამე ტალღის განმავლობაში უპირატესად კონცენტრირებული იყო ამ გარდამავალ ზონაში. საერთო დასკვნა ნათლად იკვეთება: თანასწორობა სიღარიბეში ანუ სიღარიბე არის პრინციპული დაბრკოლება დემოკრატიული განვითარებისათვის. დემოკრატის მომავალი დამოკიდებულია ეკონომიკური განვითარების მომავლისაგან, დაბრკოლებანი ეკონომიკურ განვითარებაში არის დაბრკოლება დემოკრატიის გაგრძელებისათვის.

მეორე მხრივ, შეინიშნება მეორე ტენდენცია: 1970-1990 წწ. დემოკრატიზაციამ აქსელერაცია განიცადა მთელი მსოფლიოში, მაგრამ გლობალურმა ეკონომიკურმა აღმავლობამ კლება იწყო. უფრო მეტიც, შეინიშნებოდა არსებითი განსხვავება განვითარებაში რეგიონებს შორის. 1970-1980 წწ. განვითარების მაღალ დონეს მიაღწია აღმოსავლეთ აზიამ, ხოლო სამხრეთ აზიაში მან დაცემა განიცადა. მეორე მხრივ, ამავე პერიოდში აღმავლობის დონე მაღალი იყო შუა აზიაში, ჩრდილო აფრიკაში, ლათინურ ამერიკაში და კარიბის აუზის ქვეყნებში.

მსოფლიო ბანკი არის უფრო ოპტიმისტურად განწყობილი ჩინეთის და სამხრეთ აზიის არადემოკრატიული ქვეყნების ეკონომიკური აღმავლობის მიმართ, ეს კი ხელს შეუწყობს ამ ქვეყნებში დემოკრატიზაციის პროცესს.

შუა აღმოსავლეთის და ჩრდილოეთ აფრიკის ქვეყნების (გაერთიანებული არაბული ემირატები, კუვეიტი, საუდის არაბეთი, ერაყი, ირანი) ეკონომიკა მთლიანად დამოკიდებულია ნავთობის ექსპორტზე, რაც აძლიერებს სახელმწიფო ბიუროკრატის კონტროლს. მაგრამ ეს დემოკრატიზაციას როდი ქმნის შეუძლებელს. სახელმწიფო ბიუროკრატის აღმოსავლეთ ევროპაში გაცილებით დიდი ძალაუფლება ჰქონდა, ვიდრე ნავთობის ექსპორტიორ ქვეყნებს.

1988 წლისათვის შუა აღმოსავლეთის და ჩრდილო აფრიკის ქვეყნებს შორის აღჭირმა მიაღწია დემოკრატიზაციის სათანადო დონეს, სირია მიუახლოვდა მას, ხოლო იორდანია, ტუნისმა, მაროკომ, ეკვიპტემ და ჩრდილო იემენმა „გარდამავალი ზონის“ ქვეყნებს შორის ყველაზე უფრო განიმტკიცეს პოზიციები. დემოკრატიის ტალღას, რომელმაც 70-80-იან წლებში მთელ მსოფლიოს გადაუარა, აქვს დომინანტური მომავალი შუა აღმოსავლეთსა და ჩრდილო აფრიკაში 90-იან წლებში. რა პოლიტიკური ფორმები დამყარდებიან ამ ქვეყნებში, როდესაც ეკონომიკური აღმავლობა ურთიერთმოქმედებას დაიწყებს ისლამურ ღირებულებებთან და ტრადიციებთან? ჩინეთში დემოკრატიზაციის დაბრკოლებანი პოლიტიკური, ეკონომიკური და კულტურულია, აფრიკაში ისინი უპირატესად ეკონომიკურია, ხოლო აღმოსავლეთ აზიის სწრაფად განვითარებად ქვეყნებში და ბევრ ისლამურ ქვეყანაში უმთავრესად კულტურული ხასიათისაა.


ბევრ ქვეყანაში არსებობს დემოკრატიის გავრცელების საწინააღმდეგო და სახიფათო დაბრკოლება. მესამე ტალღა ანუ „გლობალური დემოკრატიული რევოლუცია“ მუდმივად ვერ გავრცელდება. მას შეიძლება მოჰყვეს ავტორიტარიზმის უფრო ძლიერი ტალღა, რომელიც დაამკვიდრებს მესამე უკუტალღას. ეს, რა თქმა უნდა, ხელს ვერ შეუშლის მეოთხე ტალღას XXI საუკუნეში. ვიზიარებთ წარსულს და მივდივართ იმ დასკვნამდე, რომ ორმა გადამწყვეტმა ფაქტორმა იქონიეს გავლენა დემოკრატიის განმტკიცებაზე და გავრცელებაზე: ეკონომიკური განვითარება და პოლიტიკური ხელმძღვანელობა.

ბევრი ღარიბი საზოგადოება დარჩება არადემოკრატიული იმ დროით, რა დროითაც ის იქნება ღარიბი. მაგრამ სიღარიბე არ არის გარდუვალი. წარსულში, ბევრმა ქვეყანამ (სამხრეთ კორეის მსგავსად), რომლებიც ეკონომიკურად ყველაზე ჩამორჩენილთა რიგში მოიხსენიებოდნენ მსოფლიო განაცვიფრეს განვითარების ტემპებით.

მაგრამ არის ორი მიზეზი, რომელმაც შეიძლება შეასუსტოს ჩვენი იმედები. პირველი, გვიანგანვითარებადი ქვეყნების ეკონომიკური წინსვლა — უმთავრესად აფრიკაში — გაჭირდება. მეორე, ავტორიტარიზმის ახალი ფორმები შეიძლება დამკვიდრდნენ ჯანსაღ, ინფორმაციულ ღია და ტექნოლოგიურად განვითარებულ ქვეყნებში. თუ კი ეს არასასურველი შესაძლებლობა არ მატერიალიზდება, ეკონომიკურ განვითარებას შეუძლია შექმნას პირობები ავტორიტარული პოლიტიკური სისტემის დემოკრატიულად გარდასაქმნელად. დრო დემოკრატიის მხარეზეა.

ეკონომიკური განვითარება დემოკრატიას შესაძლებელს გახდის, ზოლო პოლიტიკური ლიდერები ამ შესაძლებლობას რეალობად აქცევენ. ზოგიერთი ახლად მოსული და მომავალი პოლიტიკური ელიტა შესაძლებელია ირწმუნებს, როგორც მინიმუმს, რომ დემოკრატია ძალზე ცუდი ფორმაა მართველობისათვის და საზოგადოებისათვის და მათთვისაც. მაგრამ ისინი აუცილებლად იგრძნობენ დემოკრატიზაციაზე გადასვლის საჭიროებას, როგორც კი დაუპირისპირდებიან რადიკალურ ოპოზიციონერებსა და მკაცრი ავტორიტარიზმის მიმდევრებს. დემოკრატია გაფართოვდება იმდენად, რომ ისინი ვინც ახორციელებენ ხელისუფლებას მსოფლიოში და კონკრეტულ ქვეყნებში, მოისურვებენ მის შემდგომ გაფართოებას. საუკუნუნახევრის წინ ტოკვილმა იწინასწარმეტყველა თანამედროვე დემოკრატიის გარდაუვალობა ამერიკაში, დემოკრატიზაციის წარმატებულმა ტალღებმა გადარეცხეს დიქტატურის ნიადაგი. უნარჩუნებდა რა ეკონომიკურ პროგრესს ძალას, დემოკრატიის თითოეული ტალღა ამოძრავებდა შემდგომს, უფრო ძლიერად, ვიდრე მისი წინამორბედი. ისტორია იცვლის მეტაფორას და წინ სწორხაზოვნად არ მიემართება, მაგრამ როდესაც დახელოვნებული და გაბედული ლიდერები საჭესთან იმყოფებიან, იგი მყარად მოძრაობს წინ.

თარგმნა თსუ საერთაშორისო ურთიერთობათა და საერთაშორისო სამართლის ფაკულტეტის მესამე კურსის სტუდენტმა სანდრო სავანელმა.



გიორგი ნაღარავიშვილი

## „უჯუარობით დამტკიცება“

ფეოდალური ხანის ქართულ დოკუმენტებში გვხვდება იურიდიული გამოთქმა — კლაუზულა „უჯუარობით დამტკიცება“.

ცნობილ ოპიზის სიგელში, რომელიც ბაგრატ მეოთხის (1027-1072) დროსაა შედგენილი, საბუთის ბოლოს, რომელსაც ჩვენამდე სრული სახით არ მოუღწევია, ნათქვამია: „და თქუნ, წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოსო, და წმიდანო მღვდელთ-მომღუარნო უჯუარო“...<sup>1</sup>

მოსალოდნელია, რომ წინადადება მთავრდებოდა ფრაზით — „უჯუარობით დაუმტკიცეთ“... და საბუთის გამომცემლებსაც ასე აქვთ აღდგენილი ტექსტის ნაკლული ნაწილი.

1073 წლის სიგელში გიორგი მეფისა მღვიმისადმი ვკითხულობთ: „და თქუნ წმიდაო მეუფეო ქართლისა კათალიკოსო, და ყოველნო მღვდელთმოდღუარნო, უჯუარობით და წყევით დაუმტკიცეთ დაწერილი სიგელი ესე“.

მეფე დავით აღმაშენებლის ანდერძში, რომელიც დაახლოებით 1123-1124 წლებში უნდა იყოს შედგენილი, საბუთის ბოლოს უმაღლეს საეკლესიო პირებისადმი მიმართვაში ნათქვამია:

„უკეთუ უამი მომცეს ღმერთმან და სსუაი უახლესი ანდერძი დავწერო, იგი თქუნ, თქუნემიერთა კანონითა, უჯუარობითა, წყევითა და შერუენებითა დაამტკიცეთ, წმიდაო მეუფეო, ქართლისა კათალიკოსო და ყოველნო მღვდელთმოდღუარნო!“

1170 წლით დათარიღებულ მეფეს გიორგი მესამის სიგელში მღვიმისადმი, საბუთის ბოლოს ნათქვამია:

„აწ ვინცა კნახოთ ბრძანებაჲ და სიგელი ესე ჩუენი, ყოველთავე დაუმტკიცეთ და ნუ ვინ უშალავთ, თუინიერ შეწვევისა და თანადგომისა. და თქუნ წმიდაო მამათავარო ქართლისა კათალიკოსო, და წმიდანო მღვდელთმოდღუარნო უჯუარობითა დაამტკიცეთ“.

ჩვენამდე მოღწეულია ერთი საინტერესო საბუთი — ერთგულების წიგნი მანგლელ-თბილელ იოანესი კათალიკოს თეოდორესადმი, რომელიც შედგე-

<sup>1</sup> „ქართული ისტორიული საბუთები IX-XIII ს. ს.“, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილაგავამ, ნ. შოშიშვილმა, „მეცნ.“, თბ., 1984, №3, გვ. 34; №6, გვ. 48; № 8, გვ. 59; № 11, გვ. 70.

ნილი უნდა იყოს დაახლოებით 1437 წელს, სადაც ვკითხულობთ: „ესე წიგნი გკადრეთ და მოგახსენეთ, თქვენ წმიდასა დედაქალაქსა მცხეთასა...“<sup>2</sup> ქართლისა კათალიკოსსა თეოდორეს მე, მანგლელ-თბილელ მთავარებისკოპოსმან იოანე, მას ჟამსა ოდეს გამიწყერ და ომფორი წამილე და მერმე კიდეე მიბოძე.

და მე ესე საერთგულო წიგნი მოგახსენე: ვიყუნეთ დღეს და დღესისაგან წაღმა თქუენნი ერთგულნი და ერთგულად მლოცველთ მოსამსახურენი, მტერთა ზედა მტერნი და მოყუარეთა ზედა მოყუარენი. ვისცა გაუწყრეთ და შეაჩუენეთ, ჩუენცა შევაჩუენოთ და უჯუარო ვყუნეთ; და ვისცა თქუენ სწყალობდეთ, ჩუენცა მათნი მლოცველნი ვიყვნეთ“...<sup>2</sup>

მოტანილ დოკუმენტში გამოთქმა „უჯუარო ვყუნეთ“ შეჩვენებას უკავშირდება და ამ შეჩვენებას ამაგრებს. ვფიქრობთ, რომ არა მხოლოდ XV საუკუნის საბუთში, არამედ ჩვენს მიერ ზემოთ მოტანილ მეთერთმეტე-მეთორმეტე საუკუნეების ძეგლებშიც უჯუარობა შეჩვენებას უკავშირდება... ეს კარგად ჩანს დავით აღმაშენებლის ანდერძიდან, სადაც მეფე მიმართავს რა უმაღლეს სასულიერო პირებს, მიანიშნებს, რომ თუ ის მათს წინაშე დაწერილს ანდერძს მამავალში სხვა უახლოესი ანდერძით შეცვლის, უმაღლესი საეკლესიო პირები მას თანახმად საეკლესიო კანონებისა „უჯუარობით, წყევით და შეჩვენებით“ დაამტკიცებენ.

XV საუკუნის, დაახლოებით 1459 წ. შედგენილ, ლასურისძე კუმურდოელი იოვანეს მიერ კათალიკოს დავითისადმი მიცემულ ერთგულების წიგნში ნათქვამია: „...ოდეს მაწყურელი და სამცხისა ებისკოპოზნი თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნეს საფარისა თავზედა; და თქუენ დიდითა ზუაიშნითა მაკურთხეთ. აწ დღესითგან წაღმა ჩემად დღედ სიკუდილამდი ვიყო თქუენიდა თქუენისა საყდრისა ერთგული მეფეთა მლოცველი და ყოველთა წირვათა და ლოცვათა შინა თქუენ მოგიხსენებდეთ.

ვინ თქუენგან უჯუარო და შეუნდობელნი იყუნენ, ჩუენგანცა უჯუარო და შეუნდობელი იყო; თქუენგან შეუნდობელთა ებისკოპოზთა გუერდით ჟამი არა ვწიროთ და არცა მათსა სამწყსოსა უწიროთ, სადამდის თქუენგან ახსნითობისა და შენდობისა ნიშანი არა მოგუივიდეს...“<sup>3</sup>.

უჯუარობა და შეუნდობლობა მსგავსი და შესაძლოა ერთმანეთთან დაკავშირებული ღონისძიება იყო. კუმურდოელი პირდება ქართლის კათალიკოსს, რომ ვისაც ის უჯუაროდ და შეუნდობლად გამოაცხადებს, თვითონაც ისევე მოეპყრობა როგორც უჯუაროს და შეუნდობელს, „სადამდის თქუენგან ახსნითობისა და შენდობის ნიშანი არა მოგუივიდეს“-ო.

ანალოგიურ ფორმულა-კლაუზულას ვხვდებით იმავე ხანებში (დაახლ. 1466-1479 წწ.) შედგენილ „ერთგულების წიგნში“ ანჩელ არქიმანდრიტისა დავით კათალიკოზისადმი<sup>4</sup>.

ჩვენამდე მოღწეულია „ერთგულების წიგნი“ ზოსიმე კუმურდოელისა ბასილ კათალიკოზისადმი (შედგენილი დაახლოებით 1529 წელს). ზოსიმე კუმურდოელი პირდება კათალიკოსს, რომ მისი ერთგული იქნება და ვისაც

<sup>2</sup> „ქართული სამართლის ძეგლები“, ტ. III, საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (XI-XIX), ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. ი. დოლიძემ. გამ., „მცენიერება“, თბ., 1970, დოკ. 26, გვ. 184.

<sup>3</sup> იქვე, დოკუმენტი, № 31, გვ. 197.

<sup>4</sup> იქვე, გვ. 219.



„სჯულის საქმეზე“ „პატრიარქ კათალიკოზი“ ბასილი გაუწყრება და შეუნდობლად ამყოფებს, კუმურდოელისაგანაც შეუნდობელი იქნება. „ერთგულების წიგნის“ ბოლოს ნათქვამია:

„ვინც ეს გიტყუოს თქუენგან უჯუარო იყოს და წმიდათა მოციქულთა და მამათა კანონთა ქუეშემც მყოფ არს“<sup>5</sup>.

მოტანილიდან აშკარად ჩანს, რომ „უჯუაროდ ყოფნა“ საეკლესიო სასჯელია.

1187 წელს შედგენილ თამარ მეფის სიგელში გელათისადმი, რომელსაც ახლავს კრულევითი და განკარგულება-ბრძანებითი ნაწილიც, ვკითხულობთ:

„და თქუენ, წმიდანო კათალიკოზნო და წმიდანო მღვდელმობღუარნო, უჯუარობითა დაუმტკიცეთ“<sup>6</sup>.

ზემოხსენებულ სიგელს ერთვის „ქრისტეს მიერ ქართლის კათალიკოზის“ თევდორეს მტკიცებითი ხასიათის მინაწერი („მოწამე და დამამტკიცებელი ვარ“). ამ მინაწერში ვკითხულობთ:

„ვინ და რამანცა გუარმან კაცმან, რაისაც უამსა, რაისაცა მიზეზის მოღებითა ხელ-ყოს შლად და ქცევად ამას ბრძანებასა და გაგებულსა, კრულმცა არს პირველად დაუსაბამოისა ღმრთისა პირითა, ათორმეტთა მოციქულთა ჯუართითა, შვიდთა კრებათა მადლითა, ხუთთა პატრიაქთა ჯუართითა, კათოლიკე ეკლესიისა (და) შენ, ღმრთივადმართებულის სუეტისა ცხოველის მადლით, ყოველთა პატრიარქთა ჯუართითა და მღვდელთმობღუართათა და ჩემ, გლახაკისა-ცა, ჯუართითა“...<sup>7</sup>

„ჯუარი“ ზემოთმოტანილ მინაწერში მოჩანს, როგორც კრულების საშუალება; ცალკეა გამოყოფილი საერთოდ პატრიარქთა ჯვრები და მათ შორის საქართველოს კათალიკოსის ჯვარიც. წაშასადამე, „უჯუარობით დამტკიცება“, როგორც სპეციფიკური გამოთქმა ემსახურებოდა საბუთის სიმტკიცეს, სიგელის სიმტკიცეს. ვინც ხელს შეუშლიდა მეფის მიერ გაცემული სიგელის სიმტკიცეს, „ხელყოფდა“ მას „შლად და ქცევად“, მას აღეკვეთებოდა ჯვარის მადლი და შეჩვენებული იქნებოდა.

დაახლოებით 1250 წელს შედგენილ ვრიგოლ სურამელის „დაწერილს“ მღვიმისადმი თან ახლავს კრულევითი ნაწილიც, სადაც ნათქვამია, რომ თუ ვინმე ხსენებულ საბუთში დადგენილ-დაწესებულის დაშლის და ხელყოფს, მას თავისი ჯუარით რისხავდესო ქრისტე ღმრთის ხატი, რომელიც „მდგომარე არს“ სამთავროს ტაძარსა შინა-ო. ვინც „დაწერილთ“ დადგენილს დაარღვევს, ის ქართლის კათალიკოზის „ჯუართითა კრულია ცოცხალი და მკუდარი გაუხსნელად“.

ზემოთ ხსენებულ საბუთს თან ახლავს მინაწერი „უჯუარობითა და კანონით დამტკიცების შესახებ“. („...უჯუარობითა და კანონითა დაუმტკიცებია“ არსენ მანგლელს).

საბუთის კრულევით ნაწილში ნათქვამია: „შემცვალეხნი ამისნი იყვნენ კრულ, წყეულ და შეჩუენებულ ცათა შინა და ქუეყანასა ზედა სიტყვიითა ღმრთისაითა, ათორმეტთა მოციქულთა ჯუართითა და მადლითა“... და ა. შ.

დაახლოებით 1272 წელს შედგენილ დავით მეფის სიგელს ხახულის ღვის-მშობლისადმი თან დართული აქვს ასეთი მიმართვა: „თქუენ წმინდანო

<sup>5</sup> იქვე, გვ. 252.

<sup>6</sup> „ქართული ისტორიული საბუთები“, გვ. 79, საბუთი № 14.

<sup>7</sup> იქვე, გვ. 81.



მღვდელთ-მოძღუარნო, აფხაზეთისა და ქართლისა კათალიკოზნო, უჯუარობით დაამტკიცეთ“-<sup>8</sup>.

1208 წლის სიგელში გიორგი მეფისა გელათისადმი, იგივე მიმართვა კლავს უზულა: „და თქუენ, წმინდანო მეუფენო: აფხაზთა და ქართლისა კათალიკოზნო და წმინდანო მღვდელთ-მოძღუარნო, უჯუარობითა დაამტკიცეთ“<sup>9</sup>.

1282 წელს ნიკოლოზ ქართლის კათალიკოსის მიერ გაცემულ საბუთს ასეთი კრულვითი მინაწერი ახლავს:

„და ვინ და რამანცა გუარმან კაცმან, რამ გინდა მიზეზის მიღებითა შეგიცვალოს, რისხავსმცა, მამაი, ძე და სული წმიდაი, კრულმცა არს დაუსაბამოსა ღმრთისა პირითა, ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა ჯვარითა და მადლითა, შვიდთა კრებათა მადლითა და ჯვარითა, ხუთთა პატრიარქთა ჯვარითა და მადლითა“ და ა. შ.

როგორც ვნახეთ, „უჯუარობით დამტკიცება“ პირდაპირ უკავშირდება ასევე შესაძლოა ანალოგიურიც კია „ათორმეტთა წმიდათა მოციქულთა ჯვარითა და მადლითა“ „შვიდთა კრებათა მადლითა და ჯვარითა“ დაკრულვასთან, დაწყევლასთან და შეჩვენებასთან.

„ჯვარობა“ ნიკო ჩუბინაშვილის „ქართული ლექსიკონის“ მიხედვით არის „მსოფლიურად დღეობა რომლისადმე წმინდის სალოცავისა“...

ჯვარი ქრისტიანული რელიგიის სიმბოლო იყო და არის. და არ არის გამორიცხული რომ „ჯვარობამ“ ერთ ხანს მიიღო ქრისტიანული ლოცვა-კურთხევის, ხოლო „უჯვარობამ“ მისი საწინააღმდეგო — ჯვარით შეჩვენება დაწყევლის მნიშვნელობა.

<sup>8</sup> „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი“, გვ. 176.

<sup>9</sup> იქვე, გვ. 106.

40138/3

